რეფერენდუმი შევარდნაძის გაპრემიერმინისტრების წინააღმდეგ A2

სამართალდამცველებმა საშიში დამნაშავეები დააკავეს A4

TV პროგრამა A8

www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

სამშაბათი, 9 სექტემბერი, 2003 წელი. №241 (453)

ფასი 30 თეთრი

პოლიტკომპოზიტი „ჟვანია-სააკაშვილი" ისტორიის კუთვნილებაა

სოფო ბუკია

პოლიტიკური მეტყველებიდან გუშინ საბოლოოდ ამოვარდა თითქმის ერთ ცნებად ქცეული პოლიტკომპოზიტი "ჟვანია-სააკაშვილი". "დარწმუნებული ვარ, პრეზიდენტმა ხვალ ჟვანიას რომ დაუძახოს, "დემოკრატების" ლიდერი უყოყმანოდ დადგება შევარდნაძის გვერდით. ამის აღიარება ჩემთვის ძალიან მტკივნეულია..." – ეს სიტყვები ზურაბ ჟვანიას ყოფილ თანაგუნდელს მიხეილ სააკაშვილს ეკუთვნის. სააკაშვილი ჟვანიას პრინციპების ღალატში ადანაშაულებს და "ფლუგერს" ადარებს, რომელიც გამუდმებით იცვლის თავის პოზიციას.

გაგრძელება A2 გვერდზე

მიხეილ სააკაშვილმა საბოლოოდ წერტილი დაუსვა ოპოზიციის გაერთიანების პერსპექტივას. REUTERS

პარტიების რეიტინგები და "მაჟორიტარული ომი"

თამარ ხორბალაძე

სექტემბრის დასაწყისია და პოლიტიკური პარტიები უკვე გავიდნენ წინასაარჩევნო მარათონის ბოლო სწორ ხაზზე. მათ უკვე ხელთ აქვთ მეტ-ნაკლებად რეალური "წინასწარი", ე.წ. "შიდა მოხმარების" რეიტინგი, რომელიც თავად პარტიებს საკუთარი ძალების განსაზღვრის საშუალებას აძლევს. ეს რეიტინგი, რომლის ცალკეული დეტალები "24 საათისთვისაც" გახდა ცნობილი, საინტერესო უნდა იყოს საზოგადოებისთვისაც, რადგან გარკვეული დასკვნების გამოტანის და პროგნოზების გაკეთების საშუალებას იძლევა.

ამ მონაცემების მიხედვით, სახელისუფლებო ბლოკის რეიტინგი 3 პროცენტის მიდამოებში გახლდათ, თუმცა ეს ფაქტი ოპოზიციისთვის უფრო მეტი საშიშროების მაუწყებელია, ვიდრე – სახელისუფლებო პარტიისთვის.

ხელისუფლებას არ აქვს საზოგადოების მხარდაჭერა და, რაც ყველაზე საინტერესოა მაინცდამაინც არც ცდილობს მის მოპოვებას. სახელისუფლებო პარტიას, როგორც თავად ირწმუნებიან, არ აქვს საჭირო თანხები (ყოველ შემთხვევაში, სახელისუფლებო ძალის წარმომადგენლებს პრივატულ და საჯარო საუბრებში ხშირად უყვართ იმის გამეორება, რომ ფული არა აქვთ, რომ "მოქალაქეთა კავშირის" აპარატს ოთხი თვეა ხელფასი არ აუღია, არა აქვთ პლაკატების დაბეჭდვის საშუალება და რომ შევარდნაძე პარტიას ფულის მოზიდვაში არ ეხმარება, და ა.შ.). რამდენად სარწმუნოა ეს წუწუნი, ცალკე საკითხია, მით უფრო მაშინ, როცა შევარდნაძის გვერდით სულ უფრო და უფრო ხშირად ჩნდებიან ცნობილი მდიდრები.

გაგრძელება A3 გვერდზე

"ხალხი ვერ შესწვდა ძეხვსაო, პარლამენტია დღესაო"

ლადო პაპავა

მოახლოებული საპარლამენტო არჩევნების ფონზე, როცა ფორმალურად "მოქმედ" პარლამენტს თავისი თვალსაჩინო უმოქმედობის ფონზე უფლებამოსილების ვადა ეწურება, იბადება კითხვა: მაინც ვისი დამსახურებაა, რომ ხალხი კვლავინდებურად ვერ იღებს ხელფასს, პენსიას. მთავრობას მათ დარიგებაზე უკეთ პარლამენტის დადანაშაულება ეხერხება, ხოლო ხელისუფლებისადმი განსაკუთრებით აგრესიულად განწყობილი პარლამენტარები და პარლამენტსგარეთ მყოფი პოლიტიკოსები სრულადაც არ ერიდებიან ბილწსიტყვაობის ზღვარზე შერჩეული ეპითეტებით პრეზიდენტისა და მისი გუნდის შემკობას. ხალხს კი ურთიერთბრალდებებით ვერ დააბურებ, თუმცა სიმართლის გარკვევის გარეშე ეს პრობლემა ვერც სამომავლოდ გადაწყდება.

პარლამენტარები, რომელთაც საქართველოს ჰიმნის მოსმენაც კი არ სურთ

რიგგარეშე საზაფხულო სესიის დანიშვნა ორმა ძირითადმა საკითხმა - ბეიკერის სახელთან დაკავშირებული საარჩევნო კანონმდებლობის მიღებისა და 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში "სეკვესტრის" სახელით ცნობილი ცვლილებების დამტკიცების აუცილებლობამ განაპირობა.

საზაფხულო სესია კი გაიხსნა, მაგრამ მისი დახურვა პარლამენტმა ვერ მოახერხა. ამის მიზეზი კი ძალზე მარტივი აღმოჩნდა - კვორუმი ტრადიციულად ვერ შეიკრიბა. შედეგად ვერც საქართველოს ჰიმნი აჟღერდა და არც შალახო დაუკრავს ვინმეს,

გაგრძელება A3 გვერდზე

ტერორიზმის დასამარცხებლად ბუში დამატებით 87 მილიარდ დოლარს ითხოვს

ლევან ღირსიაშვილი

გუშინ პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა ტელევიზიით ამერიკელ ხალხს მიმართა. მან განაცხადა, რომ ერაყში სტაბილურობის დამყარებისათვის ყველაფერს იღონებს. ოღონდ, ამისათვის კონგრესმა 87 მილიარდი დოლარი უნდა გამოყოს. **"თავისუფლების მტრებმა იქ უკანასკნელი თავზეხელაღებული ბრძოლა გაგვიმართეს და ისინი უნდა დამარცხდნენ,"** - განაცხადა ბუშმა. მან ამავე დროს აღიარა, რომ ერაყში ვითარების ნორმალიზაცია მოკლე დროში ვერ მოხერხდება. **"ამას დრო და თავგანწირვა სჭირდება. ჩვენ ყველა საჭირო ზომას მივმართავთ, რათა ტერორიზმთან ბრძოლაში გამარჯვებას მივაღწიოთ,"**

გაგრძელება A5 გვერდზე

პრეზიდენტი ბუში ამერიკელ ხალხს მიმართავს. REUTERS

ვაჟა ლორთქიფანიძე - სიის სათავეში, ავთანდილ ჯორბენაძე - ?

გუშინ საღამოს საქართველოს პრეზიდენტმა ვაჟა ლორთქიფანიძე ოფიციალურად წარუდგინა სახელისუფლებო ბლოკს, რითიც ბლოკის წევრებს უკმაყოფილების გამოთქმის სურვილი და საშუალება ერთბაშად და კატეგორიულად დაუკარგა.

უკვე სხდომის დაწყების წინ ბლოკის უკლებლივ ყველა ლიდერი სახელისუფლებო ძალის სათავეში ლორთქიფანიძის გამოჩენას (ავთანდილ ჯორბენაძეს გუშინ სახალხოდ თავისი პოზიცია არ დაუფიქსირებია) მიესალმებოდა.

თუმცა, აქვე, ცალკეული პარტიების წარმომადგენლები არ მალავდნენ, რომ შემომატებული "ქრისტიან-დემოკრატების" სასარგებლოდ საკუთარი კვოტის დათმობას არ აპირებდნენ. ამიტომ, ბლოკის წევრთა "გაზრდილი" მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, გავრცელებული ინფორმაციით, ბლოკმა გამსვლელი სია 70-დან 90 კაცამდე გაზარდა. თუმცა ეს, ბლოკის რეალური შანსებიდან გამომდინარე, სავარაუდოდ, პარლამენტში გასულ დეპუტატებში თითოეული პარტიის ცალკე აღებულ კვოტას თავისთავად შეამცირებს.

გუშინდელ თათბირზე, ასევე, კიდევ ერთხელ დადასტურდა ბლოკის პირველი ხუთეული: ვაჟა ლორთქიფანიძე (ქრისტიან-დემოკრატები), ვახტანგ რჩეულიშვილი (სოციალისტები), ირინა სარიშვილი-ჭანტურია (ედპ), ლევან მამალაძე ან ირაკლი გოგავა, თუმცა სასწორი უფრო ლევან მამალაძის მიმართ იხრება (მოქალაქეთა კავშირი) და გია გაჩეჩილაძე (მწვანეთა პარტია). საინტერესოა, რომ მოქალაქეთა კავშირის კანდიდატს სიაში მხოლოდ მეოთხე ადგილი ერგო. აღარაფერს ვიტყვით თავად პარტიის ერთ-ერთ ლიდერზე და საარჩევნო შტაბის დღევანდელ ხელმძღვანელზე ავთანდილ ჯორბენაძეზე, რომელიც არა თუ პირველ ხუთეულში, პირველ ათეულშიც არ ჩანს. როგორც ამბობენ, ბლოკში მისი ყოფნა-არყოფნის ბედი საბოლოოდ დღესაც გადაუწყვეტელია.

24 საათი

ყვარელში ნინო ბურჯანაძე ჰიტლერის აჩრდილს და სააკაშვილის რისხვას გადააწყდა

"ცნობისმოყვარენი" მრავლად არიან კახეთშიც: ნებისმიერ სოფელსა თუ რაიონულ ცენტრში მისვლისას, ნინო ბურჯანაძეს ხალხით გადაჭედილი დარბაზი და ყურადღებიანი მსმენელი "გარანტირებული" აქვს. "სავსე დარბაზები, რომლებიც აქ მხვდება, მიმტკიცებს რწმენას, რომ ადამიანებს ჯერ კიდევ არა აქვთ ყველაფერზე ხელი ჩაქნეული და ხვალინდელი დღის იმედი მაინც შემორჩათ", - ოპტიმიზმით აგრძელებს წინასაარჩევნო კამპანიას ბლოკ "ბურჯანაძე-დემოკრატების" ლიდერი.

A3

ამინდი

თბილისი	26
ქუთაისი	26
ბათუმი	24
სოხუმი	23
ფოთი	24
თელავი	25
ზუგდიდი	26
გორი	24
ახმეტა	24
ჭიათურა	25

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

აშშ დოლარი	2.1375
ევრო	2.3951
გირვანქა სტერლ	3.4322
რუბლი	0.0705

ცესკო-ს მომჭირნე თავმჯდომარე ჰყავს

ცენტრალური საარჩევნო კომისიის გამოთვლით, 2 ნოემბერს დანიშნული საპარლამენტო არჩევნებისა და მასთან ერთად რეფერენდუმის ჩასატარებლად 6 მილიონ 400 ათასი ლარია საჭირო. ცესკო-ს დადგენილებით, ეს თანხა ცენტრალური საარჩევნო კომისიის ანგარიშზე ფინანსთა სამინისტრომ უნდა ჩარიცხოს არა უგვიანეს 13 სექტემბრისა.

ლელა მჭედლიძე

ცესკო-ს ანგარიშზე ჯერ მხოლოდ 2 მილიონი ლარი დევს, თუმცა ცესკო-ს ახალი თავმჯდომარე, თავისი წინამორბედისგან განსხვავებით, დიდად არ ნერვიულობს, ალბათ, უფრო მეტად საკუთარი პოლიტიკური გამოცდილების გამო. **"ეს არჩევნები იმდენად მნიშვნელოვანია ყველასათვის - პირველ რიგში კი ხელისუფლებისათვის, რომ თუ თანხები დროზე არ გადმოირიცხა, ეს უკვე არჩევნებისათვის ხელის შეშლად აღიქმება",** - აცხადებს ნანა დევდარიანი. მისთვის აშკარად არ აქვს მნიშვნელობა, თუ სად გამოძებნის მთავრობა საჭირო თანხებს. თავად ცესკო-ს თავმჯდომარემ თავისი ვალი ნაწილობრივ მოიხადა, როცა გარკვეულ ღონისძიებებზე ეკონომია გასწია და არჩევნების ჩასატარებლად საჭირო თანხა მხოლოდ მინიმალურად გააზრდევინა. მაგალითისთვის, ნანა დევდარიანის რეფერენდუმისადმი დამოკიდებულებაც გამოდგება. პირველი ვარიანტით, რეფერენდუმის ჩასატარებლად (სპეციალურად დანომრილ-დანიშნული ბიულეტენების დასაბეჭდად და კიდევ სხვა ღონისძიებებისათვის) 165 ათას ლარამდე იყო საჭირო; მეორე ვარიანტით - სულ 24,300. დევდარიანმაც რეფერენდუმის ჩასატარებლად მეორე, მოკრძალებული ვარიანტი არჩია.

გაგრძელება A2 გვერდზე

პრეზიდენტის წინასაარჩევნო მესიჯები

გუშინ საქართველოს პრეზიდენტის ტრადიციული ბრიფინგი და რადიოინტერვიუ წინასაარჩევნო "მესიჯებით" იყო გაჯერებული. ეს მესიჯები თემატურადაა დალაგებული ქვესათაურებად.

თამარ ხორბალაძე

ევროატლანტიკური ინტეგრაციისკენ სწრაფვის სიმბოლო

ვაჟა ლორთქიფანიძის გამოჩენა სახელისუფლებო ბლოკში, პრინციპში, განსაკუთრებით მოულოდნელი არავისთვის ყოფილა, მით უფრო მას შემდეგ, რაც სახელისუფლებო ბლოკის მთავარი დამფინანსებელი ბადრი პატარკაციშვილი გახდა.

თუმცა, საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ ლორთქიფანიძის ბლოკის სათავეში გამოჩენასთან პატარკაციშვილის კავშირი კატეგორიულად გამორიცხა და, როგორც მოსალოდნელი იყო, ვაჟა ლორთქიფანიძის სახელი არა რუსული, არამედ დასავლეთ ევროპული ღირებულებების დამკვიდრების მცდელობასთან დააკავშირა:

საქართველოს პრეზიდენტმა გუშინ განაცხადა, რომ ყოფილი სახელმწიფო მინისტრი, "ქრისტიან-დემოკრატიული კავშირის" ხელმძღვანელი ვაჟა ლორთქიფანიძე **"საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციისაკენ სწრაფვის დადასტურებად იქცევა".**

"შესაძლოა, ვაჟა ლორთქიფანიძემ სახელისუფლებო ბლოკის საარჩევნო სიაში პირველი ადგილი დაიკავოს, რასაც სავსებით კონკრეტული მიზანი და დანიშნულება აქვს და ეს წინადადება სახელმწიფო მინისტრს, ბლოკის საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელს, ავთანდილ ჯორბენაძეს ეკუთვნის," - ასეთი ინფორმაცია მიაწოდა მოსახლეობას ედუარდ შევარდნაძემ.

გაგრძელება A2 გვერდზე

ციხეში დაწყებული ჟურნალისტური გამოძიება პროკურატურამდე მივიდა

თამარ კაციტაძე

გუშინ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარემ შოთა კოპაძემ საგანგებო პრესკონფერენცია მიუძღვნა ჟურნალისტ ვახტანგ კომახიძის კანონსაწინააღმდეგო ქმედებას.

როგორც დეპარტამენტის თავმჯდომარემ განაცხადა, დაახლოებით ორი თვის წინ ვახტანგ კომახიძე №1 დაწესებულებაში მყოფ, ყაჩაღობისთვის მსჯავრდებულ იაგო თედიაშვილს "გაურიგდა". მოლაპარაკების თანახმად, ჟურნალისტი, რომელიც ამავდროულად იუსტიციის სამინისტროსთან არსებული არასამთავრობო ორგანიზაციათა ზედამხედველობის საბჭოს წევრიცაა და ციხეში შესვლა თავისუფლად შეუძლია, პატიმარს თანხას გადაუხდიდა; ეს უკანასკნელი კი ამის სანაცვლოდ ფარულ ვიდეოკამერაზე ჩაწერილ მასალას მიაწვდიდა, სადაც დაფიქსირებულნი იქნებოდნენ დაწესებულების ის თანამშრომლები, რომლებიც მსჯავრდებულებისგან ვადაზე ადრე გათავისუფლებისთვის თანხას იღებდნენ. თედიაშვილის თქმით, კასეტაზე ასევე ასახული იქნებოდა ციხეში ნარკოტიკული ნივთიერებების "მოძრაობა".

გაგრძელება A4 გვერდზე

ენერგეტიკა - რუსეთის მთავარი იარაღი

შოთა უტიაშვილი

ორიოდე დღის წინ, ტელევიზიით გამოსვლისას, რაო-ს პრეზიდენტმა ჩუბაისმა განაცხადა, რომ მის კომპანიას ძალზე აგრესიული გეგმები აქვს დსთ-ს სახელმწიფოთა უმრავლესობის მიმართ და საქართველო ამ მხრივ მხოლოდ პირველი ნაბიჯია. საქართველოს მსგავსი სცენარით მოვლენები კიდევ ბევრ ქვეყანაში გამეორდება, – დასძინა მან.

საქართველო ჩუბაისისათვის იყო პირველი, თორემ სხვა რუსული ენერგეტიკული კომპანიები დსთ-ს სივრცეში მსგავს გეგმებს დიდი ხანია ახორციელებენ

როგორც ჩანს, საქართველოს შემდეგ რუსეთის ენერგეტიკულ კლანჭებში აღმოჩნდება უზბეკეთი, ქვეყანა, რომელიც ბოლო წლების მანძილზე, განსაკუთრებით კი - 11 სექტემბრის შემდეგ, რეგიონში აშშ-ს მთავარ დასაყრდენს წარმოადგენდა. აგვისტოში სამარყანდში გაიმართა რუსეთისა და უზბეკეთის პრეზიდენტების შეხვედრა, რომელიც უზბეკეთის საგარეო საქმეთა მინისტრის თქმით, ორმხრივ ურთიერთობებში "გარდამტეხი" აღმოჩნდა.

გაგრძელება A5 გვერდზე

A2 ამბები A3 ამბები A4 ამბები A5 ამბები A6 სპორტი A7 რევიუ A8 სხვადასხვა

პრეზიდენტის წინასაარჩევნო მესიჯები

პირველი გვერდიდან

საერთოდ, გუშინ საქართველოს პრეზიდენტი ისეთი სიხშირით იმეორებდა, ვაჟა ლორთქიფანიძე უშუალოდ ავთანდილ ჯორბენაძის კანდიდატურააო, რომ ეჭვიც კი გაჩნდა ჯორბენაძე-ლორთქიფანიძის დაპირისპირებაზე.

ედუარდ შევარდნაძემ ევროპარლამენტში "ქრისტიან-დემოკრატიული კავშირის" როლზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ ეს ორგანიზაცია **"გაერთიანებული ევროპის მშენებლობის განსახიერებად ითვლება".**

"ნინო ბურჯანაძის სახელისუფლებო ბლოკთან დაპირისპირება არარეალურია!"

პარლამენტის თავმჯდომარის ოპოზიციური იმიჯის შესარყევად ზრუნვა საქართველოს პრეზიდენტმა გუშინ საკმაოდ აშკარად დაიწყო: ჯერ იყო და, "გამოტყდა", რომ ნინო ბურჯანაძის ვიზიტებს და განცხადებებს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში თვალყურს ვერ ადევნებს; საერთოდ, ეს ვიზიტები საქართველოს ლამის ტურისტული მიზნებით მონახულებას მიაწერა; აღნიშნა, რომ თავადაც მონახულებული აქვს ეს რეგიონები, თუმცა ზოგიერთს, შესაძლოა, ისევ ეწვიოს; ბოლოს კი თქვა, რომ ამ ვოიაჟებში სახელისუფლებო ბლოკისთვის საგანგაშოს ვერაფერს ხედავს, რადგან ნინო ბურჯანაძის სახელისუფლებო ბლოკთან დაპირისპირება არარეალურად მიაჩნია.

ნორმალური ზამთარი

პრეზიდენტის განცხადებით, ხელისუფლებამ ყველაფერი გააკეთა, რათა ქვეყანამ ნორმალურად გამოიზამთროს და მოსახლეობას დენი და გაზი უწყვეტად ჰქონდეს.

"რუსული "Газпром"-იცა და "РАО ЕЭС"-იც საიმედო პარტნიორები არიან და დიდი იმედი მაქვს, რომ ზამთარში არ დაგვაღალატებენ. ზამთრისთვის ამ საკითხთან დაკავშირებული აჟიოტაჟიც მიწყნარდება. ზამთარში არავინ კითხულობს, რომელი წყაროდან ხდება ელექტროენერგიისა და გაზის მოწოდება," - განაცხადა ედუარდ შევარდნაძემ.

რაც შეეხება მიმდინარე კვირაში შექმნილ ენერგოკრიზისს და ენერგოკომპანია "იტერას" მიერ თბილისისათვის გაზმომარაგების შეწყვეტას, ედუარდ შევარდნაძემ ეს ფაქტი "ზოგიერთი არაკეთილსინდისიერი ადამიანის საბოტაჟს" და "იტერასთან" გაფორმებულ ხელშეკრულებაში "გარკვეული დეტალების შეუთანხმებლობას" დაუკავშირა.

"შეიძლება მოსახლეობის ნაწილი გაზის საფასურს არ იხდის," – უცებ აღმოაჩინა პრეზიდენტმა და აქცენტი იმ არაკეთილსინდისიერი ადამიანებიდან (რომლებიც მისი მთავრობის წევრები უნდა იყვნენ) ხალხზე გადაიტანა.

ტერიტორიული მთლიანობა და საკონსტიტუციო ცვლილებები

საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე მიიჩნევს, რომ არჩევნების პარალელურად, დეპუტატთა კორპუსის 235-დან 150-მდე შემცირებასთან დაკავშირებით რეფერენდუმის გამართვა დროული და აქტუალურია.

"აღნიშნული რეფერენდუმის დანიშვნა, რაც 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებს სხვა სახელმწიფოებრივ დატვირთვასაც აძლევს, დიდწილად ამომრჩეველთა სურვილმა განაპირობა, რომელთა 90 პროცენტი სადეპუტატო კორპუსის შემცირების მომხრეა", – განაცხადა ედუარდ შევარდნაძემ.

ამასთან, მისივე თქმით, მომავალმა პარლამენტმა ასევე უნდა განიხილოს საკონსტიტუციო ცვლილებების შესახებ მისი სხვა წინადადებებიც, რაც ორპალატიანი პარლამენტის და მინისტრთა კაბინეტის შემოღებას გულისხმობს.

"ამ საკონსტიტუციო ცვლილებებმა ხელი უნდა შეუწყოს ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას," - განაცხადა ედუარდ შევარდნაძემ.

ცესკო-ს მომჭირნე თავმჯდომარე ჰყავს

პირველი გვერდიდან

ახალი ცესკო არჩევნების მაქსიმალურად ეკონომიურად ჩატარებას უჭერს მხარს.

ნანა დევდარიანი დარწმუნებულია, რომ არჩევნების დღეს ამომრჩეველი აქტიური იქნება. ამის მიზეზი, მისი აზრით, არჩევნებზე მეტად მოსახლეობის რეფერენდუმით დაინტერესება იქნება. **"შეიძლება ხალხი კონკრეტული პარტიისთვის ხმის მისაცემად უბანზე არ მივიდეს, მაგრამ, დამიჯერეთ, რომ პარლამენტის წევრთა რაოდენობის შესამცირებლად ხმის მიცემას არ დააზარებს",** - ამტკიცებს დევდარიანი.

გუშინ ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ საოლქო და საუბნო კომისიის თავმჯდომარეების, თავმჯდომარის მოადგილის, კომისიის წევრების, იურისტებისა და ბუღალტრის ხელფასების ოდენობაც განსაზღვრა. მაქსიმუმი - 120 ლარი საოლქო კომისიის წევრებს ერგოთ; საუბნო კომისიის თავმჯდომარეებსა და წევრებს - 100-100 ლარი. საუბნო კომისიებში დასაქმებულ ზოგ მუშაკს კი 30-30 ლარი დაუწესდათ. დევდარიანის აზრით, ასეთი ხელფასი უმნიშვნელო შემოსავლად არ უნდა ჩაითვალოს რაიონებსა და სოფლებში მაცხოვრებლებისათვის; მათ ხომ შემოსავალი, ფაქტობრივად, არ გააჩნიათ. თავად დევდარიანის ხელფასი ახლა 520 ლარია, ცესკო-ს წევრის - 264 ლარი. თუმცა, დევდარიანი აცხადებს, რომ ხელფასები ჯერ კიდევ კარგა ხნის წინ განისაზღვრა. ისიც ფაქტია, რომ ცესკო-ს თავმჯდომარეზე ბევრად მეტი დატვირთვა მოდის, ვიდრე ადრე. ყოფილი ომბუდსმენის მთავარი დევიზი ახლა არჩევნების ეკონომიურად ჩატარებაა.

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ გუშინ 2 ნოემბრის არჩევნების ძირითად ღონისძიებათა გრაფიკიც დაამტკიცა. გთავაზობთ ამ ღონისძიებათა ნაწილს:

არა უგვიანეს 11 სექტემბრისა უნდა დასრულდეს საარჩევნო უბნების შექმნა; 12 ოქტომბრამდე - პარტიების საარჩევნო რეგისტრაცია; 13 ოქტომბრამდე - საარჩევნო უბნის საზღვრების, მასში შემავალი ნუსხისა დ მისამართების დაზუსტება; 17 ოქტომბრამდე - პარტიის მხარდამჭერთა სიის შემოწმება; პარტიის მიერ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა დანიშვნა; არა უგვიანეს 19 სექტემბრისა - საოლქო საარჩევნო კომისიის წევრების დანიშვნა; 20 სექტემბრამდე - პარტიების მიერ საარჩევნო ბლოკის შექმნისათვის განცხადების წარდგენა ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში; არა უგვიანეს 27 სექტემბრისა - ცესკო-ს მიერ ამომრჩეველთა ერთიანი სიის შედგენა და სიების საოლქო-საარჩევნო კომისიისათვის გადაცემა, გამოქვეყნება ინტერნეტით; 29 სექტემბრამდე - ოლქების მიერ საუბნო საარჩევნო კომისიებისათვის ამომრჩეველთა სიების გადაცემა; არა უგვიანეს 2 ოქტომბრისა - პარტიული სიის წარდგენა ცესკო-ში; 3 ოქტომბრამდე - სხვა სახელმწიფოებში ცესკო-ს მიერ საარჩევნო უბნების შექმნა; 8 ოქტომბრამდე - ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციების რეგისტრაცია; პარტიული სიების და პარტიის/ბლოკის მიერ ერთმანდატიან საარჩევნო ოლქებში წარდგენილი კანდიდატების საარჩევნო რეგისტრაცია ცესკო-ს თავმჯდომარის მიერ; არა უგვიანეს 19 ოქტომბრისა - საარჩევნო სუბიექტების რიგითობის დადგენა; 21 ოქტომბრამდე - პარტიული სიებისა და ოლქში წარდგენილ კანდიდატთა მონაცემების გამოქვეყნება; 28 ოქტომბრამდე - საერთაშორისო დამკვირვებელი ორგანიზაციების რეგისტრაცია ცესკო-ს მიერ; არა უგვიანეს 31 ოქტომბრისა - ამომრჩეველთა დაზუსტებული საერთო რაოდენობის გამოქვეყნება.

პოლიტკომპოზიტი „ჟვანია-სააკაშვილი" ისტორიის კუთვნილებაა

პირველი გვერდიდან

გუშინდელ პრესკონფერენციაზე სააკაშვილმა "მისდა სავალალოდ" აღიარა, რომ ზურაბ ჟვანიასთან რამდენიმეთვიანიმა კონსულტაციებმა შედეგი ვერ გამოიღო. **"ჩვენ ვერც ერთ პრინციპზე ვერ შევთანხმდით, სრულიად განსხვავებული ხედვა გვაქვს, ამიტომ ერთ ძალად ვერ ჩამოვყალიბდებით,"** – აცხადებს იგი და გამორიცხავს "ნაციონალური მოძრაობის" ყოფნას იმ ბლოკში, სადაც "შევარდნაძის კორუფციული სისტემის წარმომადგენლები" დავით სალარიძე და მისთანები არიან. სააკაშვილი გამორიცხავს ასევე "ბურჯანაძე-დემოკრატებისა" და "ახლების" შესაძლო გაერთიანებას და ამის თაობაზე გავრცელებულ ინფორმაციას ჭორს უწოდებს. ამ ორი ძალის გაერთიანების შემთხვევაშიც კი, "ნაციონალური მოძრაობა" თავს დანარჩენი ოპოზიციისგან გარიყულად არ მიიჩნევს.

"3 ივნისს "ნაციონალური მოძრაობა" სხვა ოპოზიციურ პარტიებთან ერთად გამოვიდა ქუჩაში. ჩვენ ერთმანეთს შევფიცეთ, რომ ვიბრძოლებდით ლოზუნგით "შევარდნაძე საქართველოს გარეშე". დღეს ეს ბრძოლა გრძელდება, ოღონდ მას მხოლოდ "ნაციონალური მოძრაობა" აგრძელებს, სხვები ამ ბრძოლას გამოეთიშნენ," – სააკაშვილმა პარლამენტის შენობის წინ გამართული თეატრალიზებული მიტინგები გაიხსენა, სადაც ოპოზიცია საარჩევნო კოდექსთან დაკავშირებით გამოვიდა. ბურჯანაძის მისამართით "ნაციონალების" ლიდერი საკმაოდ ლმობიერი იყო: **"ქალბატონ ნინოს მიმართ ამგვარი განწყობა ნამდვილად არა მაქვს, მაგრამ კარგად ვიცი, რომ იმ ბლოკში ყველაფერს ჟვანია წყვეტს,"** – არ ცხრებოდა სააკაშვილი.

გარდა ამისა, გუშინდელ პრესკონფერენციაზე სააკაშვილმა ჟურნალისტებს ბოლნისის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი "აზერბაიჯანელთა გაერთიანებული კავშირის" თავმჯდომარე კამალ მურადხანოვი გააცნო. **"მითი იმის შესახებ, რომ საქართველოში მცხოვრები ყველა აზერბაიჯანელი მამალაძის მხარდამჭერია, დიდი ტყუილია. საქართველოს აზერბაიჯანელი მოქალაქეები "ნაციონალურ მოძრაობას" უჭერენ მხარს,"** – აღნიშნა ბატონმა კამალმა და "ნაციონალების" ლიდერს ნდობისთვის მადლობა გადაუხადა.

გუშინვე ცნობილი გახდა კამალ მურადხანოვის თერჯოლელი კოლეგის ვინაობაც. თერჯოლის მაჟორიტარობას, "ნაციონალური მოძრაობის" სახელით, ფოთის საქალაქო სასამართლოს ყოფილი თავმჯდომარე ზაურ გურგენიძე შეეცდება.

გურგენიძე სასამართლოს თავმჯდომარეობიდან რამდენიმე დღის წინ გადადგა იმ მიზეზით, რომ "სასამართლო რეფორმების ინიციატორის სააკაშვილის ოპოზიციაში წასვლის შემდეგ, სასამართლო უპატრონოდ დარჩა და ხელისუფლება ცდილობდა მოსამართლეები ყურმოჭრილ მონებად ჰყოლოდა." გურგენიძე თავის "იდეურ მეგობრებს" – "ნაციონალებს" თერჯოლაში გამარჯვებას ჰპირდება.

■ ■ ■

გთავაზობთ პარლამენტართა კომენტარებს მიხეილ სააკაშვილის გუშინდელ განცხადებასთან დაკავშირებით:

გია ბარამიძე, "ბურჯანაძე-დემოკრატები": "ჩვენი გუნდი სააკაშვილთან პაექრობას არ აპირებს, რადგან წინასაარჩევნოდ მთავარ მოწინააღმდეგედ ხელისუფლებას მივიჩნევთ და არა ოპოზიციურ პარტიებს. უბრალოდ, ერთი კითხვა მექნება, თუ ჟვანია ასეთი არამდგრადი პოლიტიკოსი იყო, რატომ თანამშრომლობდა მასთან სააკაშვილი პარლამენტში, ან რატომ იდგა ხელიხელჩაკიდებული მასთან ერთად მიტინგებზე? საწყენია, რომ "ნაციონალური მოძრაობის" ლიდერმა წინასაარჩევნო ტაქტიკად ყოფილი პოლიტიკური პარტნიორების კრიტიკა აირჩია."

ელდარ შენგელაია, "ბურჯანაძე-დემოკრატები" : "აზრზე არა ვარ, რა ხდება, სააკაშვილის განცხადების შესახებ ჟურნალისტებისგან შევიტყვე. არ ეკადრება სააკაშვილს ამგვარი რამეები..."

გიგი წერეთელი, "ბურჯანაძე-დემოკრატები": "ყურადღებას ვერ მივაქცევ სააკაშვილის ამ განცხადებას. ამგვარი განცხადებებით იგი მხოლოდ შევარდნაძის ხელისუფლებას აძლიერებს".

აკაკი ასათიანი, "ტრადიციონალისტთა კავშირი": "ჟვანიასა და სააკაშვილს შორის წინასაარჩევნო დაპირისპირება მოულოდნელი არ გახლავთ, თუმცა, ძალიან საშიშია. დღეს ოპოზიციურ პარტიებს შორის ნებისმიერი დაპირისპირება ხელისუფლების წისქვილზე დაასხამს წყალს."

კოტე კემულარია, "ნაციონალური მოძრაობა": "ის, რაც ბატონმა მიხეილმა თქვა, ჩვენი საერთო გულისტკივილი უფრო იყო, ვიდრე მკვეთრი განცხადება. ჩვენ რამდენიმე თვის განმავლობაში ვაწარმოებდით ჟვანიასთან კონსულტაციებს. შემდეგ "დემოკრატების" რიგებში ისეთი ხალხი გამოჩნდა, ვისთანაც "ნაციონალური მოძრაობა" ერთ ძალად ვერ ჩამოყალიბდებოდა."

აფხაზებმა სამი ქართველი ქალის გაუვადიურება აღიარეს

ჭუბურხინჯის რიგგარეშე ოთხმხრივი შეხვედრა, აფხაზური მხარის გამოუცხადებლობის გამო, გუშინ მცირე ხნით გადაიდო. შეხვედრის მონაწილეები აფხაზებს ორი საათის განმავლობაში ელოდებოდნენ, რის გამოც შეხვედრა ოთხ საათზე დაიწყო.

შეგახსენებთ, რომ რიგგარეშე ოთხმხრივი შეხვედრის დანიშვნის მიზეზი 5 სექტემბერს გალის რაიონის სოფელ თაგილონში აფხაზ სეპარატისტთა მებაჟეების მიერ განხორციელებული ეგზეკუცია გახდა. ნასვამმა სეპარატისტებმა, რომელთა შორისაც ერთი სომეხი ეროვნებისა იყო, შვიდი ქართველი - დათო ჯოლოგუა, ვალერი შენგელია, ლევან და რობინ ოკუჯავები, ვაჟიკო გამსახურდია, რომელიც 80 წლისაა, ბადრი ბერაია და არქიფო ლეჟავა სასტიკად სცემეს. მძიმე მდგომარეობაში მყოფი ლევან ოკუჯავა ზუგდიდის საავადმყოფოში გადაიყვანეს. გარდა ამისა, სეპარატისტთა მესაზღვრეებმა გააუპატიურეს სამი ქალი, მათ შორის - ერთ-ერთი ნაცემის მეუღლე.

ჭუბურხინჯის გუშინდელი რიგგარეშე შეხვედრა, ქართველების მოთხოვნით, სწორედ მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით დაიგეგმა. შეხვედრაზე სეპარატისტთა მიყვანა გაერო-ს სამხედრო დამკვირვებელთა მისიამ და რუს სამშვიდობოთა სარდლობამ უზრუნველყო.

აფხაზურმა მხარემ აღიარა, რომ 5 სექტემბერს გალის რაიონის სოფელ თაგილონში მათმა მებაჟეებმა სასტიკად სცემეს შვიდი ქართველი, ხოლო სამი ქალბატონი გააუპატიურეს.

შეიქმნა საგამოძიებო ჯგუფი, რომელიც გაერო-ს, ქართული, რუსული და აფხაზური მხარეების წარმომადგენლებით დაკომპლექტდა. ქართული მხარიდან საგამოძიებო ჯგუფში შევიდნენ სამეგრელო ზემო-სვანეთის სამხარეო პროკურორის მოადგილე მებრძოლი ჭკადუა და გალის რაიონის გამგებლის მოადგილე ზურაბ ლოგუა, აფხაზური მხარიდან კი გალის აფხაზური უშიშროების სამსახურის უფროსი სერგეი ნარმანია, მილიციის უფროსი გენადი საბეკია და გალის რაიონის პროკურორი ესეი კაკალია. გაერო-ს მისიიდან ამ ფაქტს ინგლისელები გამოიძიებენ, რუსეთის მხრიდან კი - მშვიდობისმყოფელთა წარმომადგენლები.

24 საათი

ნატო-ს სწავლება "Medceur/Rescuer-2003"

ნატო-ს მრავალნაციონალური სწავლება "Medceur/Rescuer-2003", რომელიც საქართველოში 8-22 სექტემბერს ჩატარდება, გუშინ ვაზიანის სამხედრო ბაზაზე გაიხსნა. მანევრებში, რომელიც ნატო-ს პროგრამის "პარტნიორობა მშვიდობისათვის" ფარგლებში ტარდება, მონაწილეობას აშშ-ს, უკრაინის, მოლდავეთის, გერმანიის, ესტონეთის, ალბანეთის, ბულგარეთის, თურქეთისა და საქართველოს 700-მდე სამხედრო მოსამსახურე იღებს. სწავლებას აშშ აფინანსებს, რომელმაც საქართველოში ყველაზე მეტი - 200 სამხედრო გამოგზავნა. როგორც ორშაბათს თავდაცვის მინისტრმა დავით თევზაძემ განაცხადა, "Medceur/Rescuer-2003"-ის სწავლების მიზანია სამხედროებმა სტიქიური უბედურების შედეგების ლიკვიდაციისა და დაზარალებული მოსახლეობისათვის დახმარების დროს ერთობლივი მოქმედების უნარჩვევები გამოიმუშაონ.

აშშ-ს ელჩმა საქართველოში რიჩარდ მაილსმა განაცხადა, რომ სწავლებისთვის სპეციალურად გარემონტებულ სართიჭალისა და ფონიჭალის საავადმყოფოებში თვალებზე უფასო ქირურგიული ოპერაციები ჩატარდება. ელჩის თქმით, სუსტი მხედველობის მქონე 300 ადამიანს საშუალება ექნება, უფასო სამედიცინო დათვალიერება ჩაიტაროს. საჭიროების შემთხვევაში, ამერიკელი ექიმები მათ თან ჩამოტანილ სათვალეებს მოარგებენ. მაილსის თქმით, აშშ-ს მთავრობა საქართველოს თავდაცვის უწყებას 25 პორტატულ კომპიუტერს ("ნოუთბუკს") გადასცემს.

მანევრები"Medceur/Rescuer-2003" ორ ეტაპად - სამხედრო-სამედიცინო - "Medceur" და კომპიუტერულ საშტაბო-სამეთაურო "Rescuer" სწავლებად ჩატარდება.

საქართველოს მხრიდან სწავლებაში, თავდაცვის სამინისტროს გარდა, შსს-სა და უშიშროების სამინისტროს წარმომადგენლები, ასევე სამხედრო და სამოქალაქო ექიმები მიიღებენ მონაწილეობას.

სწავლების დროს თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტის ბაზაზე 200 ქართველი სტუდენტისათვის ნატო-ს ექიმები ლექციებსა და სემინარებს გამართავენ.

სწავლების ერთ-ერთი სცენარის თანახმად, მიწისძვრით დაზარალებულ მოსახლეობას დახმარებას აღმოუჩენენ. **პრაიმ-ნიუსი**

რეფერენდუმი შევარდნაძის გაპრემიერმინისტრების წინააღმდეგ

ტრადიციონალისტთა კავშირის თავმჯდომარის აკაკი ასათიანის ინფორმაციით, შევარდნაძე ცდილობს, ახალ პარლამენტში თავისი უმრავლესობა გაიყვანოს, რათა შემდეგ მოძებნოს ქვეყნის მმართველობის ისეთი ფორმა, რომელიც შესაძლებელს გახდის მის "დარჩენას." "ტრადიციონალისტები" აპირებენ რეფერენდუმის ჩატარებას პრემიერმინისტრის კაბინეტის შემოღებასთან დაკავშირებით. შეკითხვის ტექსტი ასეთია: "უჭერთ თუ არა მხარს საქართველოში მინისტრთა კაბინეტის შემოღებას იმ პირობით, რომ ყოფილ პრეზიდენტს არ ჰქონდეს უფლება, გახდეს პრემიერმინისტრი?"

ვერიკო თევზაძე

ტრადიციონალისტთა კავშირის თავმჯდომარე მხარს უჭერს რეფერენდუმს დეპუტატთა რაოდენობის შემცირების თაობაზე, მაგრამ ასევე აუცილებლად მიაჩნია საკონსტიტუციო ცვლილებების გატარება. ასათიანი მოვლენების შესაძლო განვითარებას სკეპტიკურად უყურებს. **"მომდევნო პარლამენტი უარესი აღმოჩნდება. ეს იქნება ალიევის პარლამენტი, სადაც მაჟორიტარები პრეზიდენტის მიერ ინიშნებიან, პარტიული სიით კი შეიძლება გავიდეს 20 კაცი, რომელთაგან ოპოზიციონერი ერთიორი თუ იქნება".**

აკაკი ასათიანის განცხადებით, დღეს პრეზიდენტის გარემოცვა ეძებს რაღაც ფორმას შევარდნაძის მმართველობის შესანარჩუნებლად; მინისტრთა კაბინეტი მათთვის ერთ-ერთი ხელსაყრელი ვარიანტია მიზნის მისაღწევად. ასათიანის შეფასებით, მას შემდეგ, რაც საქართველოს პრეზიდენტმა დასავლეთის მხარდაჭერა დაკარგა, შევარდნაძის რუსეთისკენ გადახრა აშკარაა: **"იგი იმისკენ იქნება, ვინც მისცემს უფლებას, რომ კიდევ დარჩეს."**

ტრადიციონალიტთა კავშირის თავმჯდომარე "დომხალს" უწოდებს სახელისუფლებო ბლოკის შემადგენლობას, ხოლო ბლოკის გამარჯვების შემთხვევაში, ასათიანის აზრით, **"ქვეყანას კატასტროფა ემუქრება".**

გუშინდელ პრესკონფერენციაზე აკაკი ასათიანმა მასმედიას განუცხადა, რომ იგი ამ ეტაპზე კონსულტაციებს აწარმოებს ბლოკ "ბურჯანაძე-დემოკრატებთან." ამ დღეებში "ტრადიციონალისტები" თხოვნით მიმართავენ ცესკო-ს თავმჯდომარეს, რათა რეფერენდუმის ჩასატარებლად ნებართვა მიიღონ და ხელმოწერების შეგროვება დაიწყონ.

მირიან გოგიაშვილი გენერალურ პროკურატურას მიმართავს

ნინო ნარჩემაშვილი

"ქართულ ბაზარზე სარეალიზაციოდ შემოსული თამბაქოს ნაწარმის 60 პროცენტი კონტრაბანდულია. მის შემოდინებას კი ხელს უწყობს ფინანსთა სამინისტრო და მისი ხელმძღვანელობა. მათივე ხელყოფით გაუქმდა საგანგებო ლეგიონი, რომელიც სიგარეტის კონტრაბანდას ებრძოდა. ფინანსთა მინისტრი უნდა გადადგეს." თამბაქოს საწინააღმდეგო ეროვნული ცენტრის დირექტორის გელა კობეშავიძის მიერ გამოთქმულ ამ ბრალდებებს ფინანსთა სამინისტრომ კოლეგიის საგანგებო სხდომა მიუძღვნა. ფინანსთა მინისტრის მირიან გოგიაშვილის განცხადებით, მისი უწყება იძულებულია, მიმართოს გენერალურ პროკურატურას, რათა აღიძრას სისხლის სამართლის საქმე, სათანადოდ იქნას განხილული წაყენებული ბრალდებები და "გაირკვეს ვინ რას მფარველობს." ჟურნალისტებისათვის გაკეთებული განცხადების შემდეგ კოლეგიის სხდომა დასრულდა. ფინანსთა სამინისტროში დავგვიანებით გამოცხადებულმა თამბაქოს საწინააღმდეგო ცენტრის დირექტორმა კამათი მინისტრის კაბინეტში გაანახლა და საკმაოდ მოუმზადებელი აღმოჩნდა საკუთარი პოზიციისა თუ ბრალდების არგუმენტირებისათვის. მირიან გოგიაშვილის საბოლოო დასკვნა ოპონენტის მიმართ კი ასეთი გახლდათ: **"თქვენ მოქმედებთ პოლიტიკური დაკვეთით. ვისი დაკვეთით – ამას გამოძიება დაადგენს."**

აღშფოთებული მირიან გოგიაშვილი პროკურატურას გამოძიების დაწყებას სთხოვს.

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

მოკლედ

ირაკლი წერეთელი დიდუბის მაჟორიტარობას აპირებს

"ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის" ლიდერი ირაკლი წერეთელი დიდუბის რაიონში მაჟორიტარ დეპუტატად იყრის კენჭს. როგორც გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე პარტიის ლიდერმა განაცხადა, მას გამარჯვების იმედი აქვს, თუ არჩევნები დემოკრატიულად ჩატარდება.

ერთადერთ კონკურენტად ირაკლი წერეთელი "ბურჯანაძე –დემოკრატების" ბლოკის წევრ გიორგი ბარამიძეს მიიჩნევს, რომელსაც მთლიანობაში დადებითად აფასებს, ბარამიძის ერთადერთ ნაკლად კი "კრიმინალურ დაჯგუფებებთან კავშირს" ასახელებს. წერეთლის მტკიცებით, მას "ბურჯანაძე – "დემოკრატების" ბლოკის ერთ-ერთი ლიდერის ზურაბ ჟვანიას "კრიმინალურობის" დამადასტურებელი დოკუმენტაცია გააჩნია, რომელსაც უახლოეს პერიოდში გამოაქვეყნებს. **ინტერ-პრესი**

აფხაზეთს თავს ძებნილი რუსეთის მოქალაქეებიც აფარებენ

აფხაზური მხარე აცხადებს, რომ ქართულ-აფხაზური კონფლიქტის შეზღუდული შეიარაღების ზონაში მდებარე დაბა ყულევში 26 აგვისტოს გაერო-ს სამხედრო დამკვირვებელთა მისიამ ერთი ერთეული მძიმე სამხედრო ტექნიკა აღმოაჩინა. მათი თქმით, ეს ტექნიკა შემდეგ ფოთის სამხედრო სასწავლო წვრთნებში იქნა გამოყენებული, - იტყობინება აფხაზური სააგენტო "აფსნიპრესი".

როგორც რუსი მშვიდობისმყოფელების სარდლის პრესმდივანი სერგეი მელიჩენკო აცხადებს, ქართულმა მხარემ ყულევში ამ ტექნიკის განთავსება იმით ახსნა, რომ აფხაზეთის ტერიტორიას თავს აფარებენ მძიმე დანაშაულებისთვის ძებნილი პირები, რომელთა შორისაც რუსეთის მოქალაქენიც არიან. ქართული მხარის თქმით, მათ შეუძლიათ ნებისმიერ დაინტერესებულ მხარეს (აფხაზურს და რუსულს) ამ პირთა სია წარუდგინონ. **მედია-ნიუსი**

ორი სიტყვით

თბილისი. 18 სექტემბერს თბილისში ქართულ-აფხაზური მოლაპარაკებების მორიგი რაუნდი გაიმართება. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, შეხვედრაზე მხარეები ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში უსაფრთხოების გარანტიებზე და საომარი მოქმედებების განახლების დაუშვებლობაზე იმსჯელებენ. მოლაპარაკებებს აფხაზური მხრიდან სოხუმის ხელისუფლების საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი შამბა უხელმძღვანელებს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. 12-13 სექტემბერს საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე ფოთში გაემგზავრება, სადაც ქალაქის პორტის დაარსებისა და დიდი ქართველი საზოგადო მოღვაწის, მეცენატ ნიკო ნიკოლაძის იუბილეს დაესწრება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. "ნაციონალური მოძრაობის" ერთ-ერთი ლიდერი დავით ბერძენიშვილი, რომელიც პარლამენტში მოხვედრას 2 ნოემბერს ბათუმიდან შეეცდება, მთავარ მეტოქედ აჭარის ლიდერს ასლან აბაშიძეს ასახელებს, თუმცა გამარჯვებაში დარწმუნებულია.

ბერძენიშვილი ერთმნიშვნელოვნად უწინასწარმეტყველებს აბაშიძეს დამარცხებას და აცხადებს, რომ დამოუკიდებელი ჯგუფების მიერ ჩატარებული სოციოლოგიური გამოკითხვების თანახმად, ბათუმსა და ქობულეთში "ნაციონალური მოძრაობა" ფავორიტ პარტიად დასახელდა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. სოციალისტური პარტიის ლიდერი ვახტანგ რჩეულიშვილი 7 სექტემბერს მის აგარაკზე მოწყობილ წვეულებას, სადაც სახელისუფლებო ბლოკის ლიდერების გარდა, „ახალი მემარჯვენეებიც" იყვნენ დაპატიჟებულნი, პოლიტიკას არ უკავშირებს და აცხადებს, რომ თავყრილობა თბილისის ვაკის ეკლესიის წინამძღვრის მამა ილიას სვეტიცხოველში გადაყვანასთან დაკავშირებით მოაწყო. მისივე განცხადებით, ვაკის ეკლესიის მრევლს სოციალისტების, სახელისუფლებო ბლოკის სხვა წევრების გარდა, „ახალი მემარჯვენეებიც" წარმომადგენლებიც შეადგენენ და ამას პოლიტიკასთან კავშირი არა აქვს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

სოხუმი. სოხუმი შეშფოთებას გამოთქვამს ორშაბათს ნატო-ს პროგრამის "პარტნიორობა მშვიდობისათვის" ფარგლებში ორკვირიანი მრავალნაციონალური სწავლების "Medceur/Rescuer-2003" დაწყების გამო. "თბილისს მხოლოდ ერთი პრობლემა აქვს - აფხაზეთი და ქართული მხარე უარს არ ამბობს სამხედრო გზაზე", - განაცხადა არაღიარებული რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრმა ვიაჩესლავ ეშბამ. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

სამხრეთ-ოსეთის არაღიარებული რესპუბლიკის შეიარაღებულმა ძალებმა, სხვადასხვა სახეობის საბრძოლო იარაღისა და ხელჩართული ბრძოლის უკეთ დაუფლების მიზნით, გეგმიური საბრძოლო წვრთნები დაიწყეს. "აუცილებელია გაიზარდოს ოსი სამხედროების პროფესიონალიზმი და ოსტატობა, ამაღლდეს ფსიქოლოგიური და მორალური გამძლეობა. ბრძოლისუნარიანი ჯარი - ეს არის სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობისა და მოსახლეობის სიმშვიდის მთავარი გარანტი", - განაცხადა სამხრეთ ოსეთის თავდაცვის მინისტრის მოვალეობის შემსრულებელმა ბალა ბესტაუთმა. მისი თქმით, სექტემბრის მესამე დეკადაში სწავლება საველე გასვლებით გაგრძელდება. **პრაიმ-ნიუსი**

— ორი სიტყვით —

თბილისი. გაზზომარაგების შეწყვეტამ თბილისში ელექტროენერგიის მოხმარება 20 პროცენტით გაზარდა. როგორც "თელასში" განაცხადეს, სიხშირის ვარდნის გამო დედაქალაქში ელექტროენერგიის პერიოდული გამორთვები გახშირდა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

ქუთაისი. კვირას სააქციო საზოგადოება "ჭიათურმანგანუმის" ადმინისტრაციის შენობაში 300-მდე კრედიტორი შეიჭრა. ისინი კუთვნილი დახმარებების ყოველთვიურ გაცემას მოითხოვდნენ. "ჭიათურმანგანუმის" ადმინისტრაციის წარმომადგენელთაგან აქციის მონაწილეებს არავინ შეხვედრია. მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში საწარმოს კრედიტორები ფართომასშტაბიანი აქციების გამართვით იმუქრებიან. როგორც მათ განაცხადეს, არ არის გამორიცხული, უახლოეს დღეებში კრედიტორებმა რკინიგზა გადაკეტონ. ს/ს "ჭიათურმანგანუმს" სულ 600-მდე კრედიტორი ჰყავს. ეს ის ხალხია, ვინც მთელი ცხოვრების განმავლობაში "ჭიათურმანგანუმში" მაღაროელად იმუშავა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. ენერგეტიკის მარეგულირებელ ეროვნულ კომისიაში (სემეკი) გუშინ თანამშრომელთა ატესტაცია დაიწყო. ატესტაციის ჩატარება კომისიის თავმჯდომარედ სათბობენერგეტიკის ექსმინისტრის - დავით მირცხულავას დანიშვნის შემდეგ გადაწყდა. როგორც სემეკში განაცხადეს, ატესტაცია, რომელიც 11 სექტემბერს დასრულდება, კომისიის აპარატის 70 თანამშრომელი გაივლის. საატესტაციო კომისიის შემადგენლობაში თავმჯდომარის გარდა შედიან : სემეკის ორი წევრი, ენერგეტიკის მინისტრის ორი მოადგილე და ენერგეტიკის სამინისტროს იურიდიული სამსახურის უფროსი. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

ბათუმი. ქობულეთისა და ბათუმის მოსახლეობა 25 ოქტომბერს ბუნებრივ აირს მიიღებს. ბუნებრივი აირი ქობულეთელებს 7 წლის წინ, სამტრედიის რაიონში მომხდარი ავარიის მიზეზით შეუწყდათ, ხოლო ბათუმში გაზსადენი წელს პირველად დამონტაჟდება. პირველ ეტაპზე ბუნებრივ აირს შავშეთის, მაიაკოვსკის, ბაგრატიონისა და სოხუმის ქუჩებზე მცხოვრები მოსახლეობა მიიღებს. მეორე ეტაპი კი მთელი ქალაქის გაზიფიცირებას ითვალისწინებს. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების "აჭარის ბუნებრივი აირის" დირექტორის თენგიზ გოგოლაძის ინფორმაციით, "ბუნებრივი აირი, თბილისთან შედარებით, იაფი იქნება". **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე ქვეყანაში ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის გააქტიურების აუცილებლობაზე საუბრობს და პარლამენტის მიერ მიღებულ შესაბამის კანონს "საკმაოდ ლიბერალურად" აფასებს.

როგორც პრეზიდენტმა შევარდნაძემ დღევანდელ ტრადიციულ რადიო-ინტერვიუში განაცხადა, ტრეფიკინგთან ბრძოლა ქვეყანაში "განსაკუთრებული სიმწვავით მიმდინარეობს", თუმცა ამ ორგანიზებულ დანაშაულში სხვადასხვა სტრუქტურები არიან ჩართულნი და პრობლემის დასაძლევად მეტი ძალისხმევაა საჭირო. მან იმედი გამოთქვა, რომ ჩვილ ბავშვთა საზღვარგარეთ გაყიდვაში დამნაშავე პირები სამაგალითოდ დაისჯებიან და გამოძიება ბოლომდე მიიყვანს საქმეს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. „მხედრიონის" ერთერთ ლიდერს გიგა გელაშვილს ისრაელიდან საქართველოში საბადრაგო სამსახურის თანამშრომლები 15 სექტემბერს ჩამოიყვანენ," - აცხადებს არასამთავრობო ორგანიზაცია „ყოფილი პოლიტპატიმრები – ადამიანის უფლებებისათვის" თავმჯდომარე ნანა კაკაბაძე. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. დღეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ლადო ჭანტურია და სომხეთის რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ჰენრიკ დანიელიანი ოთხდღიანი სამუშაო ვიზიტით გერმანიაში გაემგზავრნენ. სომხეთისა და საქართველოს სასამართლოების დელეგაციების ვიზიტი გერმანიაში განხორციელდა გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოების კავკასიური ინიციატივის პროექტის ფარგლებში. გერმანიაში გაიმართება შეხვედრები გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ეკონომიკური თანამშრომლობისა და იუსტიციის სამინისტროებში, ბუნდესტაგში, ფედერალური კანცლერის უწყებაში, ბერლინის უმაღლეს სასამართლოში და სხვ. ვიზიტის პერიოდში ბრემენის მიწის სასამართლოში გაიხსნება ქართველი მხატვრის გია გუგუშვილის ნამუშევრების გამოფენა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. კორუფციასთან და ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა ამხილეს 51 წლის მზია ლობჟანიძე, რომელმაც მაისში თაღლითური გზით (ყალბი დოკუმენტების გამოყენებით) შპს „თანადგომის" სახელით განაბაჟა საბაჟო კონტროლზე აყვანილი, თბილისში რეგისტრირებული „კაზაკთა კავშირის" კუთვნილი 25 000 ლარის ღირებულების საქონელი და მიითვისა იგი.

ლობჟანიძის მიერ მითვისებული საქონლის ნაწილი ამოღებულია. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

მოსკოვი. მოსკოვში გოჩა ინასარიძის სახელითა და გვარით დააკავეს საჩხერის შს რაიგანყოფილების მიერ ძებნილი, 31 წლის კონსტანტინე კალმახელიძე, რომელმაც 2003 წლის 16 ივნისს, საჩხერეში, ურთიერთშელაპარაკებისას პისტოლეტიდან გასროლით დაჭრა ბესიკ ფარქოსაძე, რომელიც მოგვიანებით გარდაიცვალა. მზადდება მასალები კალმახელიძის საქართველოში ექსტრადიციის მიზნით. **მედია-ნიუსი**

ყვარელში ნინო ბურჯანაძე ჰიტლერის აჩრდილს და სააკაშვილის რისხვას გადააწყდა

გიორგი ასანიშვილი

პერიფერიების მოსახლეობა ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენელთა სტუმრობით ნამდვილად არ არის განებივრებული. ამდენად, გასაგები უნდა იყოს ის დიდი ინტერესი, რომლითაც საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ხვდებიან. "ცნობისმოყვარენი" მრავლად არიან კახეთშიც: ნებისმიერ სოფელსა თუ რაიონულ ცენტრში მისვლისას, ნინო ბურჯანაძეს ხალხით გადაჭედილი დარბაზი და ყურადღებიანი მსმენელი "გარანტირებული" აქვს. "სავსე დარბაზები, რომლებიც აქ მხვდება, მიმტკიცებს რწმენას, რომ ადამიანებს ჯერ კიდევ არა აქვთ ყველაფერზე ხელი ჩაქნეული და ხვალინდელი დღის იმედი მაინც შემორჩათ", - ოპტიმიზმით აგრძელებს წინასაარჩევნო კამპანიას ბლოკ "ბურჯანაძე-დემოკრატების" ლიდერი.

ნინო ბურჯანაძე ყვარლელ მოსწავლეებთან.

ბესო ბელაშვილის ფოტო

ყვარლის რაიონში, ისევე როგორც საქართველოს სხვა კუთხეებში სტუმრობისას, ნინო ბურჯანაძეს სულაც არ გასჭირვებია მასპინძლების გულის მოგება. ამისთვის ხომ სულ ცოტა რამ არის საჭირო: საკმარისია, დეტალურად აღწერო ქვეყანაში შექმნილი უმძიმესი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, გულისტკივილით ისაუბრო იმ მიზეზებზე, რამაც საქართველო ღრმა უფსკრულში გადაჩეხა, გააკრიტიკო ქვეყნის დამაქცევარი ხელისუფლება...

ყოველივე ამას ნინო ბურჯანაძე საკმაოდ მარჯვედ და მოხერხებულად აკეთებს, - ვის, თუ არა მას, კარგად მოეხსენება ამ აღმასრულებელი ხელისუფლების "ავი ზნე". ჰოდა, ემუდარება ბურჯანაძე ყველას, რომ არ მიჰყიდონ "სული" (საარჩევნო ხმა) ეშმაკს.

"თუ ჩვენს სიმართლეში ვერ დაგარწმუნებთ, მაშინ არჩევნებზე ხმა მიეცით "ახლებს", "ნაციონალებს", სხვა ოპოზიციურ პარტიებს, ოღონდ - არა სახელისუფლებო ძალებს", - ემუდარებოდა პარლამენტის თავმჯდომარე მოსახლეობას ახალსოფელში, შილდასა თუ ყვარელში.

როგორც ხედავთ, თავისი წინასაარჩევნო ტურნეს დროს ბურჯანაძე "მონათესავე" ოპოზიციურ ძალებზეც "მუშაობს", თუმცა, ისიც საკითხავია, ქვაზე დადებული მადლი დახვდება თუ არა წინ ბლოკ "ბურჯანაძე-დემოკრატების" ლიდერს. მაშინ, როდესაც ის ყვარელში მიხეილ სააკაშვილის გუნდს "რეკლამას უკეთებდა", ეს უკანასკნელი თბილისში ბურჯანაძის პოლიტიკურ პარტნიორებს მწვავედ აკრიტიკებდა.

მიუხედავად იმისა, რომ "ნაციონალების" ლიდერის მიერ გაკეთებული მწვავე შეფასებები ნინო ბურჯანაძისთვის ყვარელში ცნობილი იყო, საპასუხო დარტყმისგან მან მაინც თავი შეიკავა.

"მიშა, ეტყობა, ჩემს მოთმინებას სცდის", - ღიმილით პასუხობს საკაშვილის მრისხანებას პარლამენტის თავმჯდომარე და მას ერთადერთ რამეს სთხოვს - "დემოკრატებს" იგივე მეთოდებით ნუ ებრძვის, რითაც... ხელისუფლება.

ბურჯანაძე მოუწოდებს "ნაციონალურ მოძრაობას", ერთმანეთი საჯაროდ კი არ აკრიტიკონ, არამედ, თუ რაიმე შეცდომებს შენიშნავენ, ამაზე ერთმანეთს მეგობრულად მიუთითონ.

თუ საკაშვილი "დაინდო", სამაგიეროდ, ყვარელში ყოფნისას, ბურჯანაძემ გამეტებით "ურტყა" ხელისუფლებას. ურტყა არა მარტო მან - სამთავრობო ძალების მიმართ თავად მოსახლეობაც საკმაოდ აგრესიულად იყო განწყობილი. გუშინ, ერთ-ერთი შეხვედრის დროს, ჰიტლერის ცნობილი სიტყვებიც კი გაიხსენეს - "მე თქვენ სინდისისგან გათავისუფლებთ" - და ისინი შევარდნაძესთან დაკავშირეს.

"პრეზიდენტმა შევარდნაძემ სინდისისგან გაათავისუფლა ხელისუფლების უდიდესი ნაწილი, რომელსაც ოდნავაც არ აღელვებს ის, რაც ქვეყანაში ხდება", - გულისტკივილით საუბრობდნენ "სტუმარ-მასპინძლები".

"ამ ხელისუფლების წარმომადგენლები აუცილებლად ჩამოვლენ თქვენთან ხმების სათხოვნელად და პირში უთხრიან ყველაფერი, რასაც მათზე ფიქრობთ", - გამომშვიდობებისას, ასეთი რჩევა დაუტოვა ნინო ბურჯანაძემ ყვარლელებს.

პარლამენტის თავმჯდომარე წინასაარჩევნო კამპანიას დღეს ლაგოდეხსა და დედოფლისწყაროში გააგრძელებს.

"ხალხი ვერ შესწვდა ძეხვსაო, პარლამენტია დღესაო"

პირველი გვერდიდან

როგორც ამას ერთ-ერთი დეპუტატი მოითხოვდა. საპარლამენტო-სამთავრობო ინტრიგებით დაბნეულ ზოგიერთ ტელემაყურებელს ისეთი შთაბეჭდილება შეექმნა, რომ სხდომის გამცდენმა დეპუტატებმა ამით პროტესტი რატომღაც საქართველოს სახელმწიფო ჰიმნს გამოუცხადეს.

პრობლემის არსი რომ მართლა ჰიმნის დაწუნებაში იყოს, სავარაუდოდ, მისი გადაწყვეტაც არ იქნებოდა დღევანდელი პარლამენტისათვის ადვილი, რაც პარლამენტართა (მათ შორის ზოგიერთი უსმენოს) არა მარტო პოლიტიკური, არამედ მუსიკალური გემოვნების ტრადიციული არათავსებადობით იქნებოდა განპირობებული.

სინამდვილეში სესია არა ჩვენი ჰიმნის მოსმენისადმი პარლამენტართა ალერგიულობამ, არამედ ბევრად უფრო რთულმა პრობლემამ გაანპირობა.

საყურადღებოა, რომ სახელისუფლებო ფრაქციებმა თავისათვის ხელსაყრელი საარჩევნო კოდექსის მისაღებად კვორუმისა და მხარდამჭერთა სათანადო რაოდენობის ხმების შეგროვებაც მოახერხეს, ხოლო სეკვესტრის გასატანად ხან კენჭისყრის დაწყების წინააღმდეგნი იყვნენ, ხანაც კვორუმს ვერ აგროვებდნენ. ასე რომ, სეკვესტრი პარლამენტს არ ჩაუდია, მას უბრალოდ კენჭი ვერ ეყარა, თუმცა მთავრობა ყველანაირად ცდილობდა, რომ ეს პარლამენტს დაბრალებოდა.

სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ ბიუჯეტის სეკვესტრი რომც დამდგარიყო კენჭისყრაზე, მაინც ვერ გავიდოდა, თუმცა ამ შემთხვევაში მთავრობის მხრიდან პარლამენტის დადანაშაულება აშკარად უპრიანი იქნებოდა. და თუ ეს ასეა, მაინც რატომ არ გამოიყენა მთავრობამ პარლამენტის დადანაშაულების ეს უტყუარი შესაძლებლობა?

საქმე იმაში გახლდათ, რომ ამ შემთხვევაში საპარლამენტო ოპოზიციას ხელთ უფრო ძლიერი "კოზირი" ეპყრა, რამეთუ თვით სეკვესტრის აუცილებლობა ხომ მთავრობის ცუდი მუშაობის შედეგს წარმოადგენს.

საპარლამენტო ინტრიგების გულუბრყვილო ტელემაყურებელი ელოდა იმას, რომ თუ მთავრობას მართლა უნდოდა სეკვესტრის გატანა, მისი მხარდამჭერი ფრაქციები საარჩევნო კოდექსის მიღებისას გარიგებაში შევიდოდნენ იმ ფრაქციებთან, რომელთა ინტერესებიც ამ კოდექსში გათვალისწინებულ იქნა. ფაქტია, რომ გარიგება არა თუ არ შედგა, არამედ, როგორც ეტყობა, ამის მცდელობაც კი არ ყოფილა.

რა თქმა უნდა, საბიუჯეტო პროცესის უარყოფით მხარეებში მხოლოდ მთავრობის დადანაშაულება არ იქნება გამართლებული. პარლამენტის მიერ 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დაშვებული ყველაზე დიდი შეცდომა ისაა, როცა ამ ბიუჯეტის ე.წ. პირველი ვარიანტი, რომელიც სინამდვილეში მხოლოდ ორ ფურცელზე გაწერილ ცხრილს წარმოადგენდა, საერთოდ განიხილა და კენჭისყრაზე ჩააგდო, იმის ნაცვლად, რომ მთელი სიმკაცრით მოეთხოვა მთავრობის გადაყენება, რომელსაც პარლამენტში ბიუჯეტის შესატყვისი კანონპროექტი საერთოდ არც კი ჰქონდა წარდგენილი. ამის შემდეგ პარლამენტმა თავი კიდევ ერთხელ მოიტყუა, როცა ა.წ. იანვრის ბოლოს პარლამენტში შეტანილ 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს (ამ შემთხვევაში უკვე მართლა პროექტს) უსაფუძვლოდ დაერქვა საერთაშორისო სავალუტო ფონდთან შეთანხმებული დოკუმენტის სახელი და, ამასთან ერთად, მაჟორიტართა ხმების მოსყიდვის მიზნით, ხარჯები ორმოცდაათი მილიონი ლარით იქნა "გაბერილი".

რაც შეეხება სეკვესტრის პროექტის კენჭისყრაზე არ დაყენებას, ამაში საპარლამენტო ოპოზიციის დადანაშაულების მცდელობა, მხოლოდ მცდელობაა და სხვა არაფერი.

ასეა თუ ისე, მთავრობა პარლამენტის წინაშე სეკვესტრის პროექტის კენჭისსაყრელად არ წარდგა, ხოლო პარლამენტმა კი არც ჰიმნს მოუსმინა და ვერც სესია დახურა.

ის რომ პარლამენტი ერთიანი გუნდი ვერ იქნება, ეს თუნდაც სუსტად დემოკრატიულ სახელმწიფოშიც სავსებით ბუნებრივია, რადგან სხვადასხვა პარტიების წარმომადგენლობა ძირშივე გამორიცხავს გუნდის არსებობას, მაგრამ ნეტა პრეზიდენტს რამ შეუშალა ხელი იმაში, რომ საქართველოს მთავრობა მაინც ყოლოდა გუნდური პრინციპით დაკომპლექტებული?

მთავრობა, რომელსაც პარლამენტში მისვლას მარულაზე გართობა ურჩევნია

ერთ მშვენიერ დღეს, როცა პარლამენტში სეკვესტრის პროექტის განხილვა უნდა დაწყებულიყო, აღმოჩნდა, რომ მთავრობა მარულაზე დასასრულებლად წავიდა და თან არაერთი მხარდამჭერი დეპუტატიც გაიყოლა. ამ ფაქტს ახსნაც მოეძებნა: მთავრობა იმიტომ არ მივიდა პარლამენტში, რომ ეს დღე ჩვენი რელიგიური დღესასწაული იყო.

მართლაც, ეს დღე ფერიცვალების ბრწყინვალე დღესასწაული იყო; მაგრამ, თუ ამ დღეს დასვენება იყო საჭირო, ხომ შეეძლო პრეზიდენტს (რომელიც იმავდროულად მთავრობის თავმჯდომარეცაა) გამოეჩინა საკანონმდებლო ინიციატივა და სხვა რელიგიური დღესასწაულების დარად, ეს შესანიშნავი დღეც დასვენების დღედ გამოეცხადებინა, მით უფრო, რომ მის ასეთ ინიციატივას პრაქტიკულად არც ერთი დეპუტატი არ დაუპირისპირდებოდა.

იმისდა მიუხედავად, რომ ეს დღე პრეზიდენტს არც კი უცდია დასვენების დღედ გამოეცხადებინა, მისმა მთავრობამ მაინც დასვენებისათვის გამოიყენა და ალბათ სწორედაც მოიქცა: თუ კი ვერ ახერხებს საერთაშორისო სავალუტო ფონდთან მოლაპარაკებას და, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებას, მაშინ მართლა სჯობია, დაისვენოს.

ნუთუ მართლა "უძაღლოა" ეს ქვეყანა, სადაც "თაგვებს" აკნავლებენ?

სამწუხაროა, მაგრამ პრაქტიკულად ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ ყველამ დაიჯეროს, თითქოს საქართველოში არა მარტო "ძაღლების", არამედ უკვე "კატების" დეფიციტიცაა და ამიტომ საცოდავმა "თაგვებმა" უნდა "იკნავლონ", რადგანაც "ყეფა" მათ შესაძლებლობას აშკარად აღემატება. მაინც ვის აძლევს ხელს ეს, ან რატომ კეთდება ასე?

გულწრფელად მჯერა: პრეზიდენტს სულაც არ უნდა სურდეს, რომ ეკონომიკა და ფინანსები არაპროფესიონალებმა და, რაც კიდევ უფრო სამწუხაროა, სახელმწიფო მართვის უმაღლეს ეშელონებში შემთხვევით მოხვედრილმა ხალხმა მართოს. ეს რომ ასეა, ამის მაგალითად საქართველოს ეროვნული ბანკი გამოდგება: პრეზიდენტს ქვეყნის ფინანსების მართვის მიმართ მართლაც და ბოროტი ზრხვა რომ ამოძრავებდეს, არც ეროვნულ ბანკში იქნებოდა მაღალპროფესიული გუნდი.

საქართველოს ფინანსების მართვაში ამ, ასე ვთქვათ, ორმაგი სტანდარტის ფენომენი, როცა ეროვნულ ბანკს პროფესიონალები ხელმძღვანელობენ, ხოლო სხვაგან მისაწვევად "კატებიც" კი გამოელიათ და "თაგვებს" მიადგნენ, უწინარეს ყოვლისა, ქვეყნის კონსტიტუციური მოწყობით აიხსნება.

კერძოდ, პრეზიდენტი იმავდროულად მთავრობის თავმჯდომარეცაა, მაშინ, როცა კონსტიტუციის შესაბამისად, ეროვნული ბანკი მთავრობას არ ექვემდებარება და მისი საქმიანობა ცალკე ორგანული კანონით რეგულირდება. სხვა სიტყვებით, ეროვნული ბანკის საქმიანობაში პრაქტიკულად ვერავინ ერევა, მთავრობის ხელმძღვანელს კი უშუალოდ ევალება მთავრობის გაძღოლა და წინააღმდეგობის გამწევი მინისტრი, განსაკუთრებით ქვეყნის ფინანსებში, სულაც არ არის ადვილი სამართავი.

ამ სენის წამალი მინისტრთა კაბინეტის შემოღებაა, როცა პრეზიდენტი, ვინც არ უნდა იყოს ის, მთავრობის თავმჯდომარეობის ტვირთისაგან განთავისუფლდება. მანამდე კი ნუ გაგვიკვირდება, რომ ქვეყანას "კატობაზე" პრეტენზიის მქონე "თაგვები" ეყოლება, რაც სულაც არ მეტყველებს იმაზე, რომ "ძაღლები" საერთოდ არ არსებობენ.

სავალუტო ფონდი "ხორეშან დედის" როლში, ანუ ფონდი, რომელიც თავისი პროგრამებით მთავრობას აზარმაცებს

რამდენადაც უცნაური არ უნდა იყოს, "ძაღლები" მთავრობაში არც საერთაშორისო სავალუტო ფონდს სჭირდება, რადგანაც იმის შესრულებას, რასაც ფონდის პროგრამა ჰქვია სინამდვილეში სულაც არ ესაჭიროება პროფესიონალებით (რომ არაფერი ვთქვათ მაღალპროფესიონალებით) დაკომპლექტებული ეკონომიკური გუნდი. სავსებით საკმარისია ფონდის რეკომენდაციების მორჩილად გამზიარებელი და დისციპლინირებული ფინანსების განმკარგავი მინისტრი, რომ ფონდის პროგრამა შესრულებულად ჩაითვალოს.

საქმე იმაში გახლავთ, რომ 2000 წლიდან მოყოლებული იმ დოკუმენტს, რომელსაც საერთაშორისო სავალუტო ფონდის პროგრამა ჰქვია, სინამდვილეში "პროგრამა" დიდი პირობითობით შეიძლება ეწოდოს. მასში უმთავრესად ყურადღება გამახვილებულია ყოველწლიურად მზარდი, მაგრამ მაინც რეალური სახელმწიფო ბიუჯეტის მიღებასა და მის შესრულებაზე, ანუ იმაზე რასაც საერთოდ არ ესაჭიროება სავალუტო ფონდი, რადგანაც სახელმწიფოებრიობის პრეტენზიის მქონე ქვეყანამ ეს ისედაც უნდა განახორციელოს.

ასეთ ვითარებაში არც ფონდის ინტერესშია, რომ მოლაპარაკების მაგიდას მოპირდაპირე მხარეს მხოლოდ პროფესიონალთა გუნდი ეჯდეს და ფონდის პროგრამის შედგენისას ვაშინგტონიდან გამოგზავნილ მისიას მუდმივად ახალი და თანაც თავსატეხი ამოცანები გაუჩნდეს გადასაწყვეტი. სამართალიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდი როგორც საჯაროდ აცხადებს, ის ქვეყნის საკადრო პოლიტიკაში არ ერევა...

ამასთან ერთად ისიც სამწუხაროა, რომ ის რეალური საკადრო რესურსიც, რომელიც ჯერ კიდევ პრეზიდენტის განკარგულებაშია, ჯეროვნად არ არის გამოყენებული; მაგარამ მისი სრულფასოვანი გამოყენება პრეზიდენტს მართლა რომ სჭირდებოდეს, ნეტა ამაში ხელს ვინ შეუშლის? ძნელი დასაჯერებელია, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში პრეზიდენტს თავისივე მინისტრების ეშინოდეს, თუმცა ვინ იცის...

სავალუტო ფონდის პროგრამები, 2000 წლიდან მოყოლებული, არა მარტო "შესუსტებულია", არამედ, ხშირ შემთხვევაში, ამ ფსევდოპროგრამის ყველა პარამეტრის შესრულებაც კი არ იყო საჭირო, რომ ის (პროგრამა) არ შეწყვეტილიყო. შედეგად, ასეთმა მიდგომამ საქართველოს მთავრობა საბოლოოდ გააზარმაცა, რამაც საქართველოს პრეზიდენტს ივნისში მთავრობის სხდომაზე, რომელიც ფონდის მორიგი მისიის ჩამოსვლის წინ გაიმართა, ისტორიული ფრაზა ათქმევინა: "ვინ მისცა უფლება სავალუტო ფონდს ეხლა მიგვატოვოს. თუ აქამდე მოგვიყვანა, ვალდებულია ხვალაც გვერდზე გვედგას და თუ ეს ასე არ იქნება, შემოდგომაზე გაეროს გენერალურ ასამბლეაზე მე მას დავადანაშაულებ... თუ კი მთავრობაა დამნაშავე, მაშინ შეცვალოსო". რა თქმა უნდა, ეს ფრაზა სტენოგრაფიული ჩანაწერიდან აღებული არ არის და შეიძლება, სიტყვა-სიტყვით პრეზიდენტის ნათქვამს არ ემთხვეოდეს, მაგრამ ის სრულად შეესაბამება იმას, რაც ითქვა, რასაც, როგორც ამ სხდომის უშუალო დამსწრე, ვადასტურებ.

ჩემდა უნებურად პრეზიდენტის ამ სიტყვებმა დიდი ილიას ლუარსაბ თათქარიძე გამახსენა, თანაც თენგიზ ჩანტლაძის მომხიბვლელი ინტონაციით ნათქვამი ფარაზით,: "ხორეშან დედი! განა მე არ მახსოვს, პატარა რომ ვიყავი, შენ რომ ძუძუს მაჭმევდი?"

ის, რომ სავალუტო ფონდმა ბოლო პერიოდში საქართველოში "ხორეშან დედის", ხოლო მთავრობის ეკონომიკურმა გუნდმა კი "ლუარსაბ თათქარიძის" ფუნქცია შეიძინა, მართლაც ტრაგედიაა, მაგრამ ამ შემთხვევაში საქართველო სულაც არ არის გამონაკლისი.

ეკონომიკის დარგში ნობელის პრემიის ლაურეატი, ჩიკაგოს უნივერსიტეტის პროფესორი გარი ბეკერი მიიჩნევს, რომ საგარეო ფინანსური დახმარება "რეფორმატორ" მთავრობას აზარმაცებს. ამიტომ, მეცნიერი ამ დახმარების გაწევის პრინციპული მოწინააღმდეგეა. ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორის ჯეფრი საქსის შეხედულებით კი, რეფორმატორ მთავრობათა ფინანსური მხარდაჭერა ეკონომიკის რეფორმირების მკაცრ პირობებზე უნდა იყოს მიბმული.

სავალუტო ფონდს, საქართველოში საქმიანობასთან დაკავშირებით, ჯეფრი საქსის ამ მოსაზრებაზე უკეთესს ვერაფერს ვურჩევთ.

...პარლამენტია დღესაო!

ეს წერილი სპეციალურად დღევანდელი დღისთვის დაიწერა, ანუ როცა პარლამენტის საშემოდგომო სესია უნდა გაიხსნას ისე, რომ ჯერ საზაფხულო არ დახურულა.

მთავრობას და მის მხარდამჭერ პარლამენტარებს ძალიან უნდათ, ამომრჩეველი დაარწმუნონ, რომ უხელფასობა და უპენსიობა საპარლამენტო ოპოზიციის, ანუ მარტივად რომ ვთქვათ, პარლამენტის ბრალია, მაგრამ აშკარად დაუჯერებელია, რომ ამ მიზნის მიღწევა მხოლოდ სხდომების ჩაშლით იყოს შესაძლებელი...

აქვე პრეზიდენტის იმ განცხადებების გახსენებაც არ იქნება ურიგო, რომ ის, თურმე, მხოლოდ სასამართლოთა საქმეებში, თორემ პარლამენტის საქმიანობაში არ ერევა.

ისე კი დღეს პარლამენტის სხდომაა დანიშნული, მაგრამ ვითომ მართლაც და "... პარლამენტია დღესაო?"

პარტიების რეიტინგები და "მაჟორიტარული ომი"

პირველი გვერდიდან

ასეთ სიტუაციაში, ფაქტია, რომ ხელისუფლების საარჩევნო სტრატეგიის დედაბოძი მის ხელთ არსებული ადმინისტრაციული ბერკეტებია, რომლის შესაქმნელადაც ედუარდ შევარდნაძემ ბოლო თვეების განმავლობაში ყველაფერი გააკეთა: გუბერნატორებისა და გამგებლების ჩანაცვლება იქნებოდა ეს (გავიხსენოთ თუნდაც სამცხე-ჯავახეთისა და ოზურგეთის გუბერნატორების თვალსაჩინო მაგალითები), თუ საარჩევნო ადმინისტრაციების შექმნა.

სახელისუფლებო ზეწოლა, რა თქმა უნდა, მოსალოდნელი არჩევნების მნიშვნელობიდან გამომდინარე, 2 ნოემბრის არჩევნებში, არსებული გამოცდილების სიმძიმის მიუხედავადაც კი, უპრეცედენტო იქნება. ამ ზეწოლას ოპოზიციის ადეკვატური მზადყოფნა სჭირდება, რაც, ჯერჯერობით, არ არსებობს.

დავიწყოთ "აღორძინებით", რომელსაც რეიტინგული კვლევაც არ სჭირდება იმის გასარკვევად, რომ აჭარის მოსახლეობის 99,9 პროცენტი და დანარჩენ საქართველოში "აღორძინების" პარტიის წევრთა საახლობლოს ხმები ახალ პარლამენტში თითქმის ყველაზე დიდი "ოპოზიციური" ფრაქციის შექმნის გარანტიას აძლევს.

რეიტინგიდან გამომდინარე, შედარებით მშვიდად ყოფნის საფუძველი აქვთ ლეიბორისტებს. ამასთან, პოლიტიკური ექსპერტებიც და პოლიტიკოსებიც ვარაუდობენ, რომ ლეიბორისტულ პარტიას, წარსული გამოცდილების საპირისპიროდ, ამჯერად ხელისუფლების კონტროლის ქვეშ მყოფი კომისიები ხმების არ გაუყალბებენ, უფრო სწორად, პარლამენტში შესვლის საშუალებას მისცემენ.

მსგავსი შეპირება, არსებული ინფორმაციით, მიღებული აქვთ "მრეწველებსაც", რომელთა მცდელობა "ახლებთან" შერწყმისა, როგორც ამბობენ, უშუალოდ საქართველოს პრეზიდენტის ჩარევით ჩაიშალა. ყოველ შემთხვევაში, კულუარებში საუბრობენ იმაზე, რომ თოფაძემ საკუთარ ბიზნესთან დაკავშირებით ისეთი გაფრთხილება მიიღო, რომელიც პოლიტიკური ვნებების დაშოშმინებაში დაეხმარა. ცხადია, რომ "მრეწველების" ეს არჩევანი მათი გასვლის შანსს პარლამენტში თითქმის მინიმუმამდე ამცირებს, რადგან პარტიას დამოუკიდებლად მოქმედების დიდი რესურსი აშკარად აღარ აქვს, ხელისუფლების წყალობის იმედად ყოფნა კი, იმ პირობებში, როცა სახელისუფლებო ბლოკს საკუთარი თავი გასჭირვებია, არარეალურია. მით უმეტეს, რომ დემოკრატიის ილუზიის შესაქმნელად პარლამენტში ოპოზიციად "ლეიბორისტების" გასვლაც იკმარებს, სხვა დანარჩენმა რომც ვერაფერი მოახერხოს.

სხვა დანარჩენთან დაკავშირებით კი, სიტუაცია მართლაც არ გახლავთ მარტივად.

"ახლები", "ნაციონალები" და "გაერთიანებული დემოკრატები", რომლებმაც ვერა და ვერ შეძლეს ერთ ბლოკად გაერთიანება, დღეს აშკარად დგანან სერიოზული საშიშროების წინაშე.

აგვისტოს მიწურულის მონაცემებით, თითოეული მათგანის რეიტინგი 10-სა და 15 პროცენტს შორის მერყეობს, რაც მომავალი არჩევნების "დემოკრატიულობის" სავარაუდო ხარისხის გათვალისწინებით, 7-პროცენტიანი ბარიერის გადალახვის გარანტიას სულაც არ იძლევა. თუ, რა თქმა უნდა, ამომრჩეველი იშვიათ სამოქალაქო შეგნებას არ გამოიჩენს და საკუთარ ხმებს მაქსიმალურად არ დაიცავს გაყალბებისგან.

თუმცა მაჟორიტარული "ომი", რომელიც, რატომღაც, სწორედ ამ პოლიტიკურ პარტიებს შორის დაიწყო და რომელიც გაცილებით სახიფათოა, ვიდრე ხელისუფლებასთან ომი, პარტიებს მდგომარეობის კიდევ უფრო გართულებას უქადის.

მას შემდეგ, რაც "მრეწველებთან" შერწყმა ჩაეშალათ, ცხადი გახდა, რომ "ახლებმა" საქართველოში ისედაც საკმაოდ მცირე "მემარჯვენე ელექტორატი" პრაქტიკულად მთლიანად უნდა გადაიბირონ. ამას დაემატა რეგიონებში "ახლების" გავლენის შესუსტება, რაც, "ახლებისადმი" სიმპათიის მქონე გამგებლების გათავისუფლებასთან ერთად, იგივე ოპოზიციურმა ნაბიჯმა – ქუთაისში ნინო ბურჯანაძის მაჟორიტარად წამოყენებამაც გამოიწვია. ქუთაისში, რომელსაც "ახლები" საკუთარი ხმების ერთ-ერთ ბეღელად თვლიდნენ, ნინო ბურჯანაძის აქტიურობა იმის წინაპირობაა, რომ "ახლების" ხმები "ბურჯანაძე-დემოკრატების" ბლოკში გადადინდეს. ამიტომ, ყველაფერთან ერთად, გაძლიერებული სახელისუფლებო ზეწოლის პირობებში, "24 საათის" ინფორმაციით, ბოლო პერიოდში "ახლებში" განსაკუთრებით გაძლიერდა ოპოზიციურ პარტიებთან ერთ მაგიდასთან დასხდომის ტენდენციები. სხვა საკითხია, რა წინადადებებით მივლენ "ახლები" ამ მაგიდასთან, თუმცა პირველი, რასაც ისინი უკვე ღიად აცხადებენ – მაჟორიტარებთან დაკავშირებით შეთანხმების მიღწევის აუცილებლობაა.

ტრადიციულ ფაზაშია გაერთიანებისადმი "ბურჯანაძე-დემოკრატების" მიდგომა, იმ განსხვავებით, რომ, მზარდი რეიტინგის გამო, ისინი, სავარაუდოდ, მოლაპარაკებების ბოლო რაუნდის დროს დაფიქსირებული პოზიციებისგან უკან აღარ დაიხევენ და კომპრომისს "ახლებისგან" და "ნაციონალებისგან" მოითხოვენ, რომლებმაც რეიტინგული პიკი გაზაფხულზე გაიარეს.

მაჟორიტარ

ცვლილებები

უსტაბაში

ირაკლი ბერიაშვილი

ჰეროსტრატე

ამას წინათ უცნაური სიზმარი ვნახე. ვითომ ეფესში ვიყავი და ძველი წელთაღრიცხვით 356 წელი იდგა. ვიღაც კლიენტს, სახელად ჰეროსტრატეს, არ ვიცი, ასანთით თუ გამადიდებელი შუშით, არტემიდეს ტაძრისთვის ცეცხლი წაეკიდებინა. სახანძრო რაზმი აგვიანებდა. ტაძრის გულშემატკივრები ხის კასრებით ეზიდებოდნენ წყალს. ადგილობრივი ხელმძღვანელობა პანიკაში იყო.

მოკლედ, ერთი გნიასი და წივილ-კივილი იდგა.

ნეტა რამ დამასიზმრა-მეთქი. ცოტა არ იყოს, შევშინდი კიდეც. მართალია, სიზმრების ახდენა-არახდენაზე მეცნიერები ჯერაც ვერ შეთანხმებულან, მაგრამ რა იცი... ყოველი შემთხვევისთვის შინ ყველას გასაგონად ორიოდე სიტყვა ვთქვი ხანძრის მავნებლობაზე და ვალმოხდილი ჩემს საქმეებს მივუბრუნდი.

ამ ბოლო დროს ხატვა შემეყვარდა. პორტრეტების ხატვა. პოლიტიკური პორტრეტების ხატვა. ეხლა, როგორი გამოდის, ჩემი გასარჩევი ნამდვილად არ არის, მაგრამ ამბობენ, კაცი იმას უნდა აკეთებდეს, რისი კეთებაც მოსწონსო. კაი ნათქვამია.

თუ გაინტერესებთ, ეს პროცესი დაახლოებით ასე გამოიყურება. მეც თქვენსავით ერთი ჩვეულებრივი მოქალაქე ვარ და, ბუნებრივია, თქვენსავით მიყვარს ტელევიზორის ყურება. იქ, ეხლა, თქვენც მშვენივრად იცით, რომ კაი ტიპებიც არიან და ცუდებიც. მე, ძირითადად, ცუდ ტიპებს ვინიშნავ უბის წიგნაკში. უფრო კი იმათ, ვინც რაღაცით მაინც გამოიჩინა თავი. კვირის მიწურულს გადავშლი ხოლმე და ჩამოვყვები. ცხადია, გადახაზულ გვარებს ვტოვებ. აჰა, დღეს ამის რიგია-მეთქი და... კარგად ვიცი, ბევრს ვერაფერს ვუშავებ, მაგრამ საკუთარსა და ჩემი რამდენიმე მეგობრის ჭიას ხომ მაინც ვახარებ. მოკლედ, დღეს გურამ შარაძის პორტრეტზე ვმუშაობ.

მისი მოღვაწეობის ძირითადი სფერო, ყოველ შემთხვევაში, ის, რითაც ამ ბოლო დროს გამოიჩინა თავი და მუხლჩაუხრელი შრომით ექსპერტის სახელიც დაიმკვიდრა, რელიგიური საკითხები, ჰერალდიკა და გენეტიკაა.

მე ნამდვილად არა მაქვს პატივი, პირადად ვიცნობდე ბატონ შარაძეს, მაგრამ გავბედავ და მკითხველის ნებართვით ერთი-ორი ტკბილი სიტყვით მივმართავ, თუ, რა თქმა უნდა, უკვე არ დავაგვიანე და ეს სფეროები ჩვენმა კეთილთვისებიანმა მთავრობამ (ეს სიტყვა ძალიან ხომ არ მომდევნო წერილში აუცილებლად გამოვიყენებ) პრივატიზაციის წესით აკადემიკოს შარაძეს არ ჩააბარა.

- როცა, მაგალითად, იეღოველებს რისხვას ატეხთ თავს, რის მიღწევას ცდილობთ?

სანამ პასუხს მოიფიქრებდეთ, გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, მოკლედ გეტყვით ჩემს აზრს ამ ადამიანებზე.

ეს ხალხი ცოდოა. ცოდოა იმიტომ, რომ კაცი, რომელიც ათასხუთასწლიან ტრადიციას ასი, თუნდაც ორასი ლარისთვის რაღაც სისულელეზე გაცვლის, არ შეიძლება, არ შეგეცოდოს. ცოდოები არიან, რადგან, დარწმუნებული ვარ, ეს უწიგნურობით, უპრინციპობითა და უკიდურესი გაჭირვებით მოსდით.

ეს რაც შეეხება იეღოველებს. და საერთოდაც: არავის საქმე არ არის, სად ვიქნები, როგორ ვიფიქრებ და რას ვიწამებ. კონკრეტულად კი აი, რას გეტყვი: შენი უზენაესი ნებართვით არ გავჩენილვარ ამქვეყანაზე და, როგორც ვხვდები, არც ჩემს მაგივრად აპირებ სიკვდილს. ამიტომ არც არავინ გეკითხება, ცეცხლს ვცემ თაყვანს, შამანს, ბუდას თუ საერთოდაც ფეხებზე დავიკიდებ ყველანაირ კერპსა და რელიგიას.

ესეც ისე, სხვათა შორის. მე უფრო ის მაინტერესებს, რის მიღწევას ცდილობ. ვითომ არ იცი, რომ ამ ჯერჯერობით მაინც მსუბუქი ტერორით უფრო აღვივებ და აძლიერებ ამ კატეგორიის ხალხის წინააღმდეგობას? ფიზიკის ელემენტარული კანონები მაინც არ გისწავლია? განგებ აკეთებ ამას? დაახლოებით ასეთი რამ ერთხელ უკვე დაგაბარალეს. მე, რა თქმა უნდა, ამას ვერ ვიზამ იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ საამისო საბუთებს არავინ მომცემს. ესეც არ იყოს, მაშინ ცნობა იმ ორგანიზაციიდან მოიტანე, რომლის წევრობასაც გაბრალებდნენ და ამის შემდეგ რა შანსი უნდა მქონდეს?

მაგრამ მოვრჩეთ იეღოველებზე. როგორც უკვე ვთქვი, ნამდვილად მეცოდება ეს ხალხი, თუმცა, იოტისოდენა პატივისცემაც კი არ გამაჩნია და, მართალი გითხრათ, არც მაინცდამაინც მაინტერესებს მათზე საუბარი. დროა, შარაძისადმი დაქვემდებარებულ სხვა სფეროებზეც გადავიდე.

- როცა, მაგალითად, ეგრეთ წოდებულ ხუთჯვრიან დროშას ხან კათოლიკურს უწოდებ, ხან საკაშვილისეულს და სოციალ-დემოკრატების მიერ გუშინწინ შეთითხნილი გაუგებრობა კი ჭეშმარიტ სახელმწიფო სიმბოლოდ მიგაჩნია, მაინც როგორი ლოგიკით ხელმძღვანელობ?

სანამ ამ შეკითხვაზე პასუხს მოიფიქრებდე, აუცილებლად უნდა ვთქვა, რომ მე თვითონ კარგა ხანს ვაფრიალებდი შენს მიერ მოწონებულ დროშას. მაშინ წითელ დროშასთან დასაპირისპირებლად ეგეც კარგი იყო. დღეს საქართველოს ჯვრიანი დროშა სჭირდება, თუნდაც, ხუთჯვრიანი. მაგრამ შენ ეს არ გინდა და თუ რატომ არ გინდა, ცოტა ქვემოთ გეტყვი. ისიც უნდა ვთქვა, რომ ცოტა უცნაურად იქცევი. ჯერ ერთი, მართლმადიდებლობის დამცველი კაცი, როგორ ილაშქრებ ჯვრის, თუნდაც ხუთის და თუნდაც თხუთმეტის წინააღმდეგ? და მეორეც: მართლმადიდებლობას რომ იჩემებ, ეგრე ცერად რატომ უყურებ საერთოდ ქრისტიანობას? არ გაგიგონია მაინც, გაჭირვების ჟამს როგორ უხმობენ ხოლმე ქართველები, მიშველეთ, ქრისტიანი არავინა ხართო, ან როგორ ამუნათებენ, რაც სჩადი, კაცო, ქრისტიანი არა ხარო? თუ მაინც ვერ გაიგე, რას გედავები, უფრო გასაგებად გეტყვი: რა უფრო მთავარია ქვეყნისთვის – გურულობა თუ ქართველობა?

სხვაც ბევრი შემიძლია გითხრა, მაგრამ, ვფიქრობ, აზრი არა აქვს იმის შეხსენებას, რომ ქართველების ყველაზე თავმოსაწონებელი ძეგლი – ასომთავრული, არათუ მართლმადიდებლური, ქრისტიანული წარმოშობისაც არ არის; რომ უამრავ წიგნში გაბნეული თეიმურაზ მეფის, გიორგი სააკაძის, ათობით სხვა პორტრეტისა და გეოგრაფიული ადგილის, სხვადასხვა თავყრილობებისა თუ თამაშობების ჩანახატები, უამრავი ფაქტი და ამბავი, რაც საქართველოს ისტორიის ყველაზე ბნელი პერიოდის ასე თუ ისე დანახვისა და შეფასების საშუალებას იძლევა, კათოლიკე ბერების დამსახურებაა; რომ კათოლიკე იყო მიხეილ თამარაშვილი, კათოლიკე იყო სულხან-საბა ორბელიანი... რა ვქნათ ახლა, ავკრძალოთ ამ ხალხის ნაშრომები და წიგნები? როგორ მოვიქცეთ, გადავაგდოთ ასომთავრული მხედრულთან და ნუსხურთან ერთად და, სომხების მსგავსად, ვინმეს შევუკვეთოთ, მაგალითად, იმ ორგანიზაციას, რომელმაც აკადემიკოსობა მოგანიჭა?!

და, საერთოდ, ერთხელ და სამუდამოდ რომ დავაცხრო ხუთჯვრიანი დროშით შენი გაღიზიანება, არც ათობით რუკაზე ამ დროშის არსებობის ფაქტს მივმართავ, არც ჯვაროსნულ ლაშქრობებს, არც მის გორგასალ-დავითიანობას, თავს ავარიდებ ნაწერსა თუ ნახატ დასაბუთებებს და ყველაზე ხელშესახებ, ნამდვილად ქართული წარმოშობის, ჭეშმარიტად ქართული ხუროთმოძღვრების ორ ნიმუშს, ორად ორ გეგმას წარმოგიდგენ:



შენგან მარცხნივ მეექვსე საუკუნის ძეგლის, მცხეთის ჯვრის გეგმაა, მარჯვნივ – მეშვიდე საუკუნის – დიდი ატენისა.

იმედი მაქვს, თვალებზე ხელს არ აიფარებ და შეამჩნევ, როგორ არის რეალიზებული ყველაზე მოკრძალებულ, უცხო თვალისთვის ყველაზე მორიდებულ ადგილას ხუთი ჯვრის იდეა.

ახლაც იტყვი, კათოლიკურიაო?! ახლაც უჩივლებ დროშას, სააკაშვილისა ხარო?!

ჰეე! მართლმადიდებლობისთვის დამაშვრალო და დაფერფლილო კაცო, კარგად, ძალიან კარგად ვიცი, რატომ ებრძვი ხუთჯვრიან დროშას. ამ დროშის დაკანონება ხომ ქრისტიანული ევროპის წევრობაზე პრეტენზიას ნიშნავს. ჩვენი ისტორიის გათვალისწინებით, ამ პრეტენზიის უარყოფა არც ისე იოლია. ეს დროშა ერთი პატარა, მაგრამ მაინც წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება ქრისტიანული ევროპის ოჯახში შესასვლელად. თქვენ, შენ და შენნაირებს, ეს არ გინდათ. თქვენ არ გინდათ ქრისტიანული და გინდათ მართლმადიდებლური, ისიც – ჩვენი დიდი მეზობლის ხათრით. ყველაფერი გასაგებია. თქვენ გინდათ, საქართველო სამუდამოდ დარჩეს რუსულ ჯაჭვზე გამობმული ფინიად.

და მაინც, გურამ შარაძის შემოქმედების აპოთეოზს წარმოადგენს ის, რასაც ყველა დროში ბარბაროსობას უწოდებდნენ.

როცა ცისფერი ეკრანით ცივილიზაციის ეს მონაპოვარი ვიხილე, ბუნებრივია, ჰეროსტრატე გამახსენდა და სათაურადაც შევიგულე. მკითხველი, ალბათ, ელოდება, რომ წერილი შარაძის ჰეროსტრატეობით უნდა დასრულდეს, მაგრამ, იძულებული ვარ, იმედი გავუცრუო. მართალია, აქაც და იქაც ცეცხლია, მაგრამ ამ ორს შორის ტოლობის ნიშნის დასმა მაინც არ შეიძლება. ჰეროსტრატეს, დანამდვილებით ვიცი, არც დამრიგებელი ჰყავდა და არც თანამზრახველები, იაქესავით მარტოკაცი იყო და მარტომ, უდიდესი რისკის ფასად, ჩაიდინა ის, რაც ჩაიდინა. სხვა რომ არაფერი, პპოლონის დის სახელობის ტაძარს წვავდა.

როცა გურამ შარაძე წიგნებს წვავს, როცა ტელეგადაცემებში თავის ოპონენტებს ხმას არ აღებინებს, როცა განსხვავებული რწმენის ადამიანების დარბევისკენ მოგვიწოდებს, როცა სოციალ-დემოკრატების დროშას აქებს და მართლა ქრისტიანულ დროშას აძაგებს, და, საერთოდ, როცა თითს უქნევს ყველას, იოტისოდენადაც არ რისკავს – კარგად იცის, რომ არც ჯორდანო ბრუნოსავით დაწვავენ, არც ციხეში მიაბრძანებენ დისიდენტური აზრებისა და საქციელისთვის, არც წოდებას ჩამოართმევენ და საერთოდაც... თუმცა, მცირე რისკი მაინც ახლავს ამ დაუდგრომელი კაცის შემოქმედებას – სულ იოლად შეიძლება, საბოლოოდ შეაჯავროს თავი საზოგადოებას.

და ბოლოს, შენს "კარონნი" ნომერზე, გენეტიკაზეც რომ არ გითხრა, ნამდვილად ვერ მოვისვენებ: არჩევანზე რომ მიდგეს საქმე, აკადემიკოსობას და, შენ რომ გაქვს, ემაგნაირ სახელს, სომხობაც მირჩევნია, ებრაელობაც, თათრობაც და, მართალია, გენეტიკაში ვერ ჯდება, მაგრამ, წარმოიდგინე, იეღოველობაც კი.

ეხლა, შენი სტილი რომ ვიცი, ორი რამის საღერღელი აგეშლება. ერთში, ესე იგი, ჩემი ბიოგრაფიის გაქექვაში მე თვითონ მოგეხმარები. მე რომ დავიბადე, ცოტა ხანში მამაჩემი საინგილოში ქართული სკოლის დირექტორად დანიშნეს. იქვე მუშაობდა დედაჩემიც. კარის მეზობელი ბეჟან გიორგაძე იყო, საზღვარგარეთ გაქცეული და მერე საბჭოთა ციხეში ნაჯდომი, კასტელი რომ გაშიფრა და თარგმნა, აი, ის. სხვათა შორის, აკადემიკოსებმა ჩაუქციეს სისხლი. ნათესავები ძირითადად ქიზიყში მყავს. ისე, მაინცდამაინც არ გირჩევ ბევრ ქექვას. განსაკუთრებით ჩემს ბოდბისხველ ბიძაშვილს მოერიდე – ეგრე ჩემსავით ნოტებით არ დაგელაპარაკება, მურდალი პირი აქვს.

რაც შეეხება მეორე მიმართულებას. ვიცი, ნერწყვი მოგდის, მაგრამ ვერაფრით დაგეხმარები. წინასწარ გიხდი მადლობას ტელედებატებში მიპატიჟებისთვის, რადგან მე, შენგან განსხვავებით, საკმაოდ მოკრძალებული წარმოდგენა მაქვს საკუთარ შესაძლებლობებზე. ტელეეკრანი ჩემი საქმე არ არის.

მინდოდა, წერილი ჰეროსტრატეთი დამემთავრებინა, მაგრამ უცებ სკოლისდროინდელი ანეკდოტი გამახსენდა. უფრო ზუსტად, ანეკდოტი-შეთავაზება. იყო ასეთი ჟანრი. ვინმე არიფს გამოიჭერდი და ჰკითხავდი: "არ გინდა, ღვინინი იყო და მკვდარი?" პირს დააღებდა და შემოგაჩერდებოდა.

ამ ბოლო დროს რაღაც მომიხშირდა ბავშვობის მოგონებები. ქუჩაში რომ გავდივარ, ერთი სული მაქვს, პირველივე შემხვედრს ვკითხო:

- არ გინდა, შარაძე იყო და მილიონი ვალი გქონდეს?

სახლი - მაღალი თუ დაბალი, საკრებულო გადაწყვეტს

გუშინ ქიაჩელის ქუჩის მცხოვრებლები ქუჩაზე მიმდინარე საცხოვრებელი სახლის მშენებლობის წინააღმდეგ გამოვიდნენ.

ქიაჩელის ქუჩაზე შენდება ოთხსართულიანი სახლი სარდაფით - ესეც ხუთი სართულიო, - ამბობენ მოქალაქეები, რომელთა აზრით, ახალი შენობა დააბნელებს სხვა სახლებს და ქუჩის სიმყუდროვესაც დაარღვევს. **"ნუთუ არ შეიძლება, რომ ბედად, ქაოსს გადარჩენილი ქუჩების თავდაპირველი არქიტექტურა შევინარჩუნოთ? ეს ქუჩა ხომ ორი ეკლესიისკენ მიდის,"** - ამბობენ მოქალაქეები.

საპროტესტო აქციის მხარდამჭერები ყოფილი მეზობლები და, უბრალოდ, თბილისელებიც იყვნენ. ქალაქის მთავარი არქიტექტორი, ირაკლი როსტომაშვილი მარტო უმკლავდებოდა მოქალაქეების გაცხარებულ შემოტევას: **"დოკუმენტში, რომელსაც მე ხელი მოვაწერე, რეგლამენტი დაცულია და ჩემგან უარის თქმა კანონის დარღვევა იქნებოდა. სახლის სიმაღლე რეგლამენტს არ გასცდება,"** - უხსნიდა ის მოქალაქეებს. ირაკლი როსტომაშვილმა მათ შეახსენა, რომ ბოლო ხანებში ნებისმიერი მშენებლობა მოქალაქეთა უკმაყოფილებას იწვევს, თუმცა მას არ აგონდება, რომ თავის დროზე რესპუბლიკის მოედნის რეკონსტრუქციის წინააღმდეგ ვინმე გამოსულიყო. დემოკრატიის მონაპოვარზე - თავისუფალი აზრის გამოთქმის უფლების არასწორად გამოყენების შემთხვევაზე მინიშნება მოქალაქეებმა არაფრად ჩააგდეს და გაიხსენეს, რომ თავის დროზე რესპუბლიკის მოედნის რეკონსტრუქციას მოწინააღმდეგეებმა ექვსი შეხვედრა მიუძღვნეს.

ეპიზოდი გაზეთის ფოტოდან

ქალაქის მთავარი არქიტექტორი ქიაჩელის ქუჩელებს მშენებლობის შეჩერებას დაჰპირდა.

საკრებულოს თავმჯდომარის, მიხეილ სააკაშვილის გამოჩენამ მოქალაქეთა მღელვარების ნაკადი მისკენ მიმართა. ვითარებაში გარკვევის შემდეგ საკრებულოს თავმჯდომარემ მთავარ არქიტექტორს სთხოვა, რომ საქმის ბოლომდე გარკვევამდე შეეჩერებინა მშენებლობა. ირაკლი როსტომაშვილმა მოქალაქეებს საკრებულოს თავმჯდომარის თანდასწრებით აღუთქვა, რომ მშენებლობის შესაჩერებლად იმავე დღეს განკარგულებას გასცემდა. როსტომაშვილის თქმით, ასეთი განკარგულებისთვის, კანონით, მოსახლეობის მოთხოვნაც საკმარისია. ამასობაში კი მოქალაქეებმა საკრებულოს თავმჯდომარეს ბევრი სხვა სატკივარიც გაუმხილეს და დახმარება სთხოვეს.

24 საათი

ციხეში დაწყებული ჟურნალისტური გამოძიება პროკურატურამდე მივიდა

პირველი გვერდიდან

გარიგებიდან რამდენიმე კვირაში თედიაშვილი ავჭალის მკაცრი რეჟიმის კოლონიაში გადაიყვანეს. ფარული ვიდეოკამერა მსჯავრდებულის კომპიუტერის ნდობით აღჭურვილმა პირმა სწორედ აღნიშნულ დაწესებულებაში შეუტანა. თედიაშვილმა, მოგვიანებით, დაწესებულების ხელმძღვანელობასთან აღიარა, რომ მან ერთ-ერთ კასეტაზე პატიმარი ცხვადაძე ჩაწერა, თითქოს იგი იყო დაწესებულების დირექტორის მოადგილე. კასეტაში თედიაშვილი და ცხვადაძე კორუფციულ გარიგებაზე საუბრობენ. დასახელებული მასალა დაწესებულებიდან უპრობლემოდ გამოვიდა და კომახიძემდეც მიაღწია. ამისათვის ჟურნალისტმა მსჯავრდებულს 300 დოლარი შეუგზავნა.

შოთა კოპაძის თქმით, მეორე კასეტა კომახიძეს 5 სექტემბერს უნდა მიეღო, მაგრამ რამდენიმე დღით ადრე მსჯავრდებულს მოსალოდნელი პასუხისმგებლობის შეეშინდა და ფარული კამერის არსებობის შესახებ დაწესებულების უფროსს შეატყობინა. ხელმძღვანელობამ პროფესიონალიზმი გამოიჩინა, სასამართლოდან შესაბამისი დადგენილება აიღო და კომახიძის "აგენტები" ფაქტზე "დაიჭირა". კასეტის წამოსაღებად მისული აღქესანდრე კვატახიძე და გიორგი კანდელაკი დაცვამ დაწესებულებაში შესვლისას საგულდაგულოდ გაჩხრიკა, მაგრამ მათ კანონსაწინააღმდეგო ნივთი ვერ აღმოუჩინეს. გამოსვლისას კი სტუმრებს კასეტა აღმოაჩნდათ, რომელიც მობილიზებულმა თანამშრომლებმა ჩამოართვეს და დალუქეს. დაილუქა და საგამოძიებო ორგანოებს გადაეცა 200 დოლარიც, რომელიც თედიაშვილმა მეორე კასეტის ჩაწერისთვის მიიღო.

"მოგეხსენებათ, სასჯელაღსრულების დაწესებულებაში რა მძიმე მდგომარეობაა. მაგრამ, ორი თვის განმავლობაში დეპარტამენტის თანამშრომლების თავდაუზოგავი მუშაობის დამსახურებით სისხლის სამართლის დანაშაული, ფაქტობრივად, არ დაფიქსირებულა. დღეს კი იმ დანაშაულზე გვიხდება საუბარი, რომლის წამქეზებელიც იმ საბჭოს წევრია, რომელიც აქეთ უნდა გვეხმარებოდეს დანაშაულის აღმოფხვრაში," – განაცხადა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარემ.

შოთა კოპაძემ მომხდარი ფაქტის იურიდიული შეფასებისგან თავი შეიკავა. მისი თქმით, მასალები სასჯელაღსრულებით დაწესებულებების ზედამხედველობის პროკურატურაშია გადაგზავნილი, სადაც ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე 158-ე მუხლით (კერძო საუბრის საიდუმლოების დარღვევა) უკვე აღიძრა. თუმცა, კოპაძე არ გამორიცხავს, რომ გამოძიებისას შესაძლოა, უფრო მძიმე დანაშაული გამოიკვეთოს (პრესკონფერენციაზე რამდენჯერმე გაიჟღერა გამოძალვის მცდელობამ) და კვალიფიკაცია შეიცვალოს.

სწორედ იმ დროს, როდესაც სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარე პრესკონფერენციას მართავდა, იუსტიციის სამინისტროში არასამთავრობო ორგანიზაციების ზედამხედველობის საბჭოს წევრები შეიკრიბნენ. მათ შეხვედრა მოითხოვეს მინისტრთან და სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ხელმძღვანელობასთან, მაგრამ შეხვედრა არ შედგა, ამიტომ საბჭოს წევრებმა დეპარტამენტის შენობაში გადაინაცვლეს.

"ეს აბსურდული ბრალდებაა. ამ ქვეყანაში ხელისუფლებას ყველაფრის გაკეთება შეუძლია, მაგრამ მის დამტკიცებას მაინც ვერ შეძლებენ. ეს ყველაფერი, როგორც ჩანს, თავიდანვე დაგეგმილი იყო და მიზანმიმართულია "60 წუთის" წინააღმდეგ," – ასეთი კომენტარი გააკეთა ფარული ჩაწერის ინიციატორმა ვახტანგ კომახიძემ.

კომახიძის თქმით, თედიაშვილი მას რამდენიმე თვის წინ თავად დაუკავშირდა და უთხრა, თუ როგორ იგეგმებოდა ერთ-ერთი ბიზნესმენის შვილის გატაცება. მართალია, ინფორმაციის მიღებიდან ორი კვირის შემდეგ გატაცება არ მოხდა, მაგრამ დასახელებული ბიზნესმენის ოჯახი მართლაც დააყაჩაღეს. ამის შემდეგ თედიაშვილს კომახიძესთან კავშირი არ გაუწყვეტია და დაწესებულებაში კორუფციისა და ნარკოტიკული ნივთიერებების მოძრაობის ფარულად ჩაწერას დაჰპირებია.

"დარწმუნებული ვარ, ასეთ ინფორმაციაზე არც ერთი ჟურნალისტი იტყოდა უარს, ამიტომ მეც დავთანხმდი დაწესებულებაში ფარული კამერის შეგზავნას, რომელიც, სხვათა შორის, გარკვეული ანაზღაურების საფასურად თავად დაწესებულების თანამშრომლებმა შეიტანეს. რაც შეეხება თანხას, მართლაც შევუგზავნეთ, რადგან ფულის გარეშე ვადაზე ადრე გათავისუფლება არ ხდება და იგი დაწესებულების თანამშრომლებისთვის უნდა გადაეცა, რასაც, შეთანხმების თანახმად, კასეტაზე დააფიქსირებდა", – ამბობს კომახიძე.

ერთი სიტყვით, ავჭალის კოლონიაში მომხდარ ფარულ ჩაწერასთან დაკავშირებით ორივე მხარე ურთიერთგამომრიცხავ ვერსიას ავრცელებს და საბოლოოდ გამოძიების შედეგებს ელოდება. თუმცა, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები პროკურატურას ბოლომდე ვერ ენდობიან და გამოძიებაში ჩართვას მოითხოვენ.

"არა გვგონია, რომ თედიაშვილს საკუთარი ინიციატივით შეეცვალა პოზიცია. მას შესაძლოა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ხელმძღვანელობა კი არა, უფრო ზევიდან მართავდნენ. არ არის გამორიცხული, რომ ეს ყველაფერი თავიდანვე "60 წუთის" წინააღმდეგ იყო დაგეგმილი. სამწუხაროდ, მასმედიის წინაღმდეგ ქვეყანაში ძალიან ცუდი ტენდენცია ინერგება, რომელსაც შორს გათვლილი მიზნები აქვს", – აღნიშნა ჩვენთან საუბარში არასამთავრობო ორგანიზაცია "ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისათვის" თავმჯდომარემ ნანა კაკაბაძემ.

სამართალდამცველებმა საშიში დამნაშავეები დააკავეს

ხათუნა ჭანგირაშვილი

სამი დღის წინ, სამართალდამცველებმა ჩვილი ბავშვებით მოვაჭრე კიდევ ერთი ორგანიზებული ჯგუფის წევრები დააკავეს. დაკავებულები, რომელთაც გუშინ მთაწმინდა-კრწანისის რაიონულმა სასამართლომ წინასწარი სამთვიანი პატიმრობა შეუფარდა, 40-50 წლის ქალბატონები არიან. მარიზა წიფურია, ლია ხოსიტაშვილი, მარიამ ნაპირელი, ეთერ უტიაშვილი მთაწმინდა-კრწანისის რაიონული სასამართლოდან გუშინ ორთაჭალის იზოლატორში ტრეფიკინგის ბრალდებით გაისტუმრეს.

"უკვე დადგენილია, რომ ეს დანაშაულებრივი ორგანიზებული ჯგუფი, რომელსაც მარიზა წიფურია ედგა სათავეში, უკვე სამი წელია ჩვილ ბავშვთა ვაჭრობით არის დაკავებული. ჯგუფი გაცილებით მრავალწევრიანია, დადგენილი გვაქვს დანარჩენების ვინაობაც და ტარდება ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები მათ დასაკავებლად", - აცხადებენ სამართალდამცველები.

დაკავებულებს ბრალი ედებათ გურჯაანის სამშობიარო სახლში დაბადებული შვიდი ჩვილის გაყიდვაში, რომელთაგან ექვსი ამერიკის შეერთებულ შტატებში, ერთი კი კანადაში გაიყვანეს. სამართალდამცველებს, ჯერჯერობით, დადგენილი არ აქვთ, რა თანხას უხდიდნენ ბავშვებით მოვაჭრე ჯგუფს უცხოელები თითო ბავშვში, თუმცა, აცხადებენ, რომ ეს თანხა საკმაოდ სოლიდურია. რაც შეეხება დაკავებულთა მიერ გაღებულ საფასურს, რომელსაც ისინი ბავშვების მშობლებს უხდიდნენ, ის 100 დოლარიდან 1000 დოლარამდე მერყეობს.

დაბადების ყალბი მოწმობები, შვილად აყვანის ყალბი დოკუმენტები და ყველანაირი ყალბი საბუთები – ეს ის მეთოდებია, რომელთა გამოყენებითაც ქართველი ბავშვებით მოვაჭრე ქალბატონები ახალშობილების საზღვარგარეთ გაყვანას და გაყიდვას ახერხებდნენ.

"გაყიდულ ბავშვებში უცხოელების მიერ გადახდილი ზუსტი თანხა მხოლოდ მას შემდეგ დადგინდება, როცა საქმეში ამერიკის შეერთებული შტატების შესაბამისი სამსახურები ჩაერთვებიან. ამ ჯგუფის მიერ ჩადენილ, დაახლოებით, 20 დანაშაულზე გვაქვს ინფორმაცია, მაგრამ ექვსი ფაქტის შესახებ მყარი მტკიცებულებები გაგვაჩნია, მიმდინარეობს გამოძიება და ყველაფერი ბოლომდე დადგინდება", - ასეთია სამართალდამცველთა მონაცემები.

კობა ნარჩემაშვილის მოადგილეები გუშინ ირწმუნებოდნენ, რომ გამოძიების შემდეგ საქმე ცუდად წაუვათ სანოტარო სამსახურის თანამშრომლებს, რომლებიც ყალბ საბუთებს უპრობლემოდ გასცემდნენ.

"დამნაშავეთა წრე კიდევ უფრო გაიზრდება. ეს ჯგუფი წლების განმავლობაში შენიღბულად მოქმედებდა. გვაქვს დაკავებულთა ჩვენებები, რომელთა მიხედვითაც დასაშვებია, მათ მიერ ჩადენილი სხვა დანაშაულებიც ამოტივტივდეს", - აცხადებენ კანონდამცველები.

შინაგან საქმეთა სამინისტროში გუშინ შეკრებილმა ჩინიანმა პოლიციელებმა, ბავშვებით მოვაჭრე ქალთა ჯგუფის აღმოჩენა-დაკავების გარდა, კიდევ ერთი დანაშაულებრივი ჯგუფის შესახებ იმსჯელს, რომლის წევრებიც რამდენიმე დღის წინ დააკავეს. "გოჩიტაშვილი, გაბელაია, ძმები ჯაჭვაძეები და ნამგალაძე – ეს ის პირები არიან, რომლებიც კარგა ხნის განმავლობაში თავს ესხმოდნენ და აყაჩაღებდნენ სახელმწიფო თუ კერძო ორგანიზაციებს და განსაკუთრებული სისასტიკით გამოირჩეოდნენ", - ასეთია იმ პირთა დახასიათება, რომელთა დაკავებითაც მინიჭებულ სიამაყეს გუშინ პოლიცელიტა ვერ მალავდა.

"თბილგაზი", მეხუთე გიმნაზია, მიწის მართვის დეპარტამენტი, დასუფთავების ტრესტის შენობა, გლდანი-ნაძალადევის რაიონის გამგეობა - ეს იმ დაწესებულება-ორგანიზაციების ჩამონათვალია, სადაც გოჩიტაშვილი, გაბელაია, ჯაჭვაძეები და ნამგალაძე უპრობლემოდ აღწევდნენ, ანგრევდნენ ბუღალტრის ოთახის კედლებს, არბევდნენ მთლიანად შენობას, ტეხავდნენ სეიფებს და დიდძალი ფულით ხელდამშვენებულები ტოვებდნენ იქაურობას. ჯგუფის ხელწერა ყველა შემთხვევაში ერთნაირი იყო – დაყაჩაღებულ-დარბეულ ორგანიზაცია-დაწესებულებებში შეჭრილი შეიარაღებული ყაჩაღები სასტიკად ნაცემ და გაკოჭილ დარაჯებს ტოვებდნენ.

ერთი სიტყვით, სამართალდამცველებისთვის ბოლო დღეები ნაყოფიერი აღმოჩნდა. შინაგან საქმეთა მინისტრის დაუსწრებლად, გუშინ მისი მოადგილეები და ხელქვეითები წარმატებებზე საუბრობდნენ, თუმცა მესტიის პრობლემაზე დასმული ყველა კითხვა მათ უპასუხოდ დატოვეს.

ნამდვილი ამბავი

არასამთავრობო ორგანიზაცია "საფეხურების" პროექტი - "მარგინალური ჯგუფების ინტეგრაცია საზოგადოებაში მედიის საშუალებით", აგრძელებს სერიას "ნამდვილი ამბავი". ისტორიებს ქმნიან ადამიანები, ჩვენი საზოგადოების წევრები. ისინი საუბრობენ თავიანთ პრობლემებზე. პროექტის საშუალებით შესაძლებელია მოვუსმინოთ და დავეხმაროთ მათ.

ბიჩინგაურების მრავალშვილიანი ოჯახი უსახლკაროა. ისინი, მშენებარე სახლის კარკასის ბოლო სართულზე ცხოვრობენ. ამასწინათ მათ სახლმმართველობამ უწყება გაუგზავნა, ბინის დაცლის მოთხოვნით.

მაია არაბულს ხუთი შვილი და II ჯგუფის ინვალიდი მეუღლე – ალეკო ბიჩინგაური ჰყავს. ბატონი ალეკო პენსიას ჯგუფის დაუდგენლობის გამო ვერ იღებს.

"ორი კვირა საავადმყოფოში უნდა დაწვეს, იმისათვის, რომ ჯგუფი დაუდგინდეს. ამას კი ფული სჭირდება", - ამბობს ქალბატონი მაია.

1998 წელს ბიჩინგაურებმა თბილისის ერთ-ერთ გარეუბანში ოროთახიანი ბინა გაყიდეს, უფრო დიდის ყიდვას აპირებდნენ. ისინი "ვიღაც ქალმა" მოატყუა, შეასახლა პრივატიზებულ სამოთახიან ბინაში.

"ის ქალი მერე კი დაიჭირეს და ხუთი წელი მიუსაჯეს, მაგრამ ჩვენ ქუჩაში დავრჩით", - ამბობს ქალბატონი მაია. მას შემდეგ ოჯახი ქირით ცხოვრობს. მაია არაბულის თქმით, მათ ბინის ქირაობა ძალიან უჭირდათ, რადგან არავის სურდა ამოდენა ოჯახის სახლში შეშვება, ბინები კი 70 ლარზე ნაკლები არ ღირდა.

"ხუთი წელი ვქირაობდი ბინას და შუა ზამთარში ყოველთვის ბინის დაცლა გვიწევდა, რადგან ფულს ვერ ვიხდიდით", - გვიამბობს მრავალშვილიანი დედა.

უმცროს ვაჟს, 8 თვის ლაშა-გიორგის, სამი თვის წინ, კუჭში გაუვალობის გამო ოპერაცია დასჭირდა. ბავშვთა II საავადმყოფოში მას უფასოდ ჩაუტარდა ოპერაცია. მას შემდეგ ლაშა-გიორგის განსაკუთრებული კვება სჭირდება.

13 წლის ბექას რევმატიზმი აქვს, ამ დაავადებამ მას ნერვული სისტემა დაუზიანა, შარდის შეუკავებლობა აქვს და ღამ-ღამობით ისველებს. ბექას მკურნალობისთვის ოჯახს ფული არ აქვს.

12 წლის ნათიას ტუბერკულოზი ჰქონდა, მას ცხრათვიანი მკურნალობა უფასოდ ჩაუტარდა, მაგრამ საკმარისი არ აღმოჩნდა, მას პერიოდულად მედიკამენტოზური ჩარევა ესაჭიროება, მაგრამ ოჯახს ამის საშუალება არა აქვს.

დათო 4 წლისაა, ის ჯანმრთელია, მაგრამ მას გული მარჯვენა მხარეს აქვს და ყურადღების მიქცევას საჭიროებს.

უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახი

უფროსი ვაჟები, ჯონი და ბექა, სკოლაში სწავლობენ.

"შარშან, ბიჭებს სწავლა გაუცდათ იმის გამო, რომ ჩასაცმელი არ ჰქონდათ

ესპანეთში ალ-ჯაზირას ჟურნალისტი დააკავეს

გუშინ ესპანელმა მოსამართლემ გადაწყვიტა, ალ-ჯაზირას დაკავებულ კორესპონდენტს პატიმრობის ვადა სამი დღით გაუგრძელოს .

ტაისერ ალუნიმ სახელი 11 სექტემბრის შემდეგ ბინ-ლადენისაგან აღებული ინტერვიუთი გაითქვა. მას ბრალი ალ-ქაიდასათვის ფულისა და ინფორმაციის გადაცემაში ედება.

მოსამართლის გადაწყვეტილება იმას ნიშნავს, რომ ან პოლიციამ სამი დღის ვადაში უნდა წარმოადგინოს საკმარისი მტკიცებულებები, ანდა დაკავებულ ჟურნალისტს გაათავისუფლებენ. თავად ალუნი ამტკიცებს, რომ უდანაშაულოა.

გამოძიება ამტკიცებს, რომ ავღანეთსა და თურქეთში ყოფნისას ალუნიმ რამდენჯერმე გადასცა 3000-4000 დოლარი ალ-ქაიდას წევრებს. რამდენიმე მათგანი მან ესპანეთში მდებარე საკუთარ სახლშიც შეიფარა.

"ალ-ჯაზირა გმობს ამ გადაწყვეტილებას. ჩვენ მოვითხოვთ დაკავებული კოლეგის გათავისუფლებას. გარწმუნებთ, რომ იგი მხოლოდ ჟურნალისტია და ტერორისტებთან საერთო არაფერი აქვს".

11 სექტემბრის შემდეგ ესპანეთში, ტერორიზმთან ბრძოლის საბაბით, ძალიან ბევრი ადამიანი დააკავეს, თუმცა სამხილების უკმარისობის გამო, მათი დიდი ნაწილის გათავისუფლება მოუხდათ.

მოკლედ

რუსეთი. კვირას რუსეთის ფედერაციაში სვერდლოვსკის, ნოვგოროდის და ომსკის გუბერნატორთა არჩევნები გაიმართა.

ნოვგოროდის ოლქის გუბერნატორმა მიხეილ პრუსაკმა პირველივე ტურში ამომრჩეველთა ხმების 80%-ის მიღება შეძლო, რითაც ყველანაირ ეჭვს და იმედს მისი გადარჩევის თაობაზე წერტილი დაუსვა. ის გუბერნატორის პოსტზე უკვე მესამე ვადით არის არჩეული.

პოსტის მესამე ვადით შენარჩუნება მოახერხა ომსკის გუბერნატორმა ლეონიდ პოლეჟაევმაც. მას ამომრჩეველთა 56%-მა დაუჭირა მხარი.

რაც შეეხება სვერდლოვსკის ოლქს, აქ გუბერნატორის არჩევნებში გამარჯვებულის გამოვლენა პირველ ტურში ვერ მოხერხდა. მეორე ტური კი 21 სექტემბერს გაიმართება, სადაც ერთმანეთს მოქმედი გუბერნატორი ედუარდ როსელი და ოლქის საკანონმდებლო კრების დეპუტატი ანტონ ბაკოვი შეერკინებიან. თუმცა, უნდა ითქვას, რომ როსელს ამომრჩეველთა 43%-მა დაუჭირა მხარი, როდესაც მისი მოწინააღმდეგე ბარკოვის მომხრე სულ 14,5% აღმოჩნდა.

■ ■ ■

მაკედონია. ჩრდილოეთ მაკედონიაში ადგილობრივი უშიშროების ძალებსა და ალბანელ ბოევიკებს შორის შეტაკება მოხდა. ექსპერტთა თქმით, ეს ალბანელებსა და მაკედონიის სამთავრობო ძალებს შორის ბოლო ორი წლის მანძილზე ყველაზე სერიოზული და ფართომასშტაბიანი შეტაკება იყო.

მაკედონიის შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობით, ორმხრივი სროლის დროს სამთავრობო ძალებმა რამდენიმე ბოევიკი გაანადგურეს. ყველაფერი იმით დაიწყო, რომ ალბანელმა ბოევიკებმა მაკედონიის არმიის საპატრულო მანქანას ცეცხლი გაუხსნეს. ამის შემდეგ მაკედონიის არმიის რაზმმა სპეცოპერაცია განახორციელა და ორ სოფელში ალბანელი ბოევიკების დაჯგუფება აღმოაჩინა.

მაკედონიის საკითხებით დაკავებული ექსპერტების განცხადებით, მათ იმედი ჰქონდათ, რომ მაკედონიის მთავრობა, რომლის შემადგენლობაში ალბანური გამსახელროებული ფორმირებების ყოფილი წევრებიც შედიან, ალბანელ ბოევიკებთან ურთიერთობის მოწესრიგებას და ქვეყანაში სტაბილურობის დამყარებას შეძლებდა. თუმცა, როგორც რეალობა გვიჩვენებს, ალბანელებით დასახლებულ მაკედონიის ბევრ რაიონში კვლავაც არ არის წყნარი ვითარება. ბევრი ექსპერტი ამის მიზეზად ნარკობიზნესში ალბანელი ბოევიკების აქტიურ მონაწილეობას ასახელებს.

■ ■ ■

ვენესუელა. ვენესუელის პრეზიდენტმა უგო ჩავესმა აშშ-ს ადმინისტრაციას ლათინური ამერიკის საშინაო საქმეებში უხეშად ჩარევაში დასდო ბრალი.

მოსახლეობისადმი რადიომიმართვაში, ჩავესმა განაცხადა, რომ არც მისი ხელისუფლება და არც ვენესუელელი ხალხი თვიანთ საქმებში აშშ-ს ჩარევას ვერ მოითმენენ.

მის თქმით, ვენესუელაში აშშ-ს ელჩმა ჩარლზ შაპირომ გასულ კვირას ქვეყნის საქმეებში უხეში ჩარევა სცადა, როდესაც საყოველთაო რეფერენდუმის ორგანიზებაში დახმარების ინიციატივა გამოთქვა. როგორც იგეგმება, ვენესუელაში საყოველთაო რეფერენდუმზე ხალხმა უნდა გადაწყვიტოს, სურთ თუ არა პრეზიდენტად უგო ჩავესი. რეფერენდუმის ჩატარება ოპოზიციის გამოსვლების შემდეგ გადაწყდა, თუმცა ზუსტი დრო, ჯერჯერობით, ცნობილი არ არის.

პალესტინის პრემიერ-მინისტრის პოსტზე ახალი კანდიდატურაა

ლევან ღირსიაშვილი

პალესტინის ადმინისტრაციის ლიდერმა იასირ არაფატმა პრემიერ-მინისტრის ვაკანტურ პოსტზე ახალი კანდიდატურა წამოაყენა. არაფატმა ამ თანამდებობის დაკავება პალესტინის პარლამენტის ამჟამინდელ სპიკერს აჰმედ კორეის, იგივე აბუ ალას შესთავაზა. ახლა ჯერი თავად კანდიდატურაზეა. დათანხმდება თუ არა აჰმედ კორეი ამ ურთულეს თანამდებობას? სააგენტო "ასოშეიტედ პრესის" ცნობით, მან ფაქტობრივად თანხმობა განაცხადა. თუმცა, სააგენტო "როიტერი" იტყობინება, რომ კორეი იმ შემთხვევაში დაიკავებს პრემიერის სავარძელს, თუკი ის აშშ-სგან და ევროკავშირისგან სამშვიდობო პროცესში მყარი მხარდაჭერის გარანტიას მიიღებს. არაბული ტელეკომპანია "ალ-ჯაზირაც" ანალოგიურ ცნობას ავრცელებს. ტელევიზიის თქმით, პალესტინის პარლამენტის სპიკერმა განაცხადა, რომ ვიდრე ის შეთავაზებულ წინადადებას დათანხმდება, უნდა დარწმუნდეს, რომ რეგიონში სამშვიდობო პროცესი აუცილებლად განახლდება.

ამავე დროს, ექს-პრემიერის მაჰმუდ აბასის მთავრობის ერთერთმა მთავარმა ფიგურამ, უშიშროების სამსახურის შეფმა მოჰამედ დაჰლანმა ახალ მთავრობაში შესვლაზე უარი განაცხადა, თუკი მინისტრთა კაბინეტს კვლავ მაჰმუდ აბასი არ ჩაუდგება სათავეში.

აჰმედ კორეის კანდიდატურა მოძრაობა "ფათჰის" ცენტრალური კომიტეტის სხდომაზე შეირჩა. სხდომა რამალაში გაიმართა და მას თავად იასირ არაფატი თავმჯდომარეობდა.

ბრიტანული გამოცემა "სკაი ნიუსის" გადმოცემით, ისრაელის მთავრობამ უკვე განაცხადა, რომ შესაძლოა არაფატის მიერ დაყენებულ პრემიერის კანდიდატურას მხარი არ დაუჭირონ.

REUTERS

პალესტინის პრემიერ-მინისტრობის ახალი კანდიდატი აჰმედ კორეი.

პალესტინური წყაროების განმარტებით, აჰმედ კორეი არაფატის ერთგულ პიროვნებად განიხილება, რომელიც თავის ლიდერს არასდროს დაუპირისპირდება.

ასეთი ადამიანი კი, რასაკვირველია, ისრაელის ხელისუფლებას პარტნიორად ვერ გამოადგება. ჯერ კიდევ 2 სექტემბერს ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრმა სილვან შალომ განაცხადა, რომ მაჰმუდ აბასი ერთადერთი პალესტინელი პოლიტიკოსია, რომელთანაც ისრაელი მოლაპარაკების მაგიდასთან დაჯდება. **"ისრაელი არ აპირებს მოლაპარაკების წარმოებას იმ მთავრობასთან, რომელიც იასირ არაფატის ბრძანებით და გავლენით იქნება ფორმირებული,"** - განუცხადა სილვან შალომ ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის კოორდინატორს ჰავიერ სოლანას. თუმცა, უკვე გუშინ გაჩნდა ინფორმაცია ისრაელის ახალი პოზიციის შესახებ. ოფიციალურ თელ-ავივს პალესტინის პრემიერ-მინისტრის პოსტზე ამჟამინდელი ფინანსთა მინისტრის სალამ ფაიადის ხილვა სურს.

ვინ არის აჰმედ კორეი? ის 1937 წელს აღმოსავლეთ იერუსალიმის გარეუბანში დაიბადა. დაარსების დღიდან მოძრობა "ფათჰის" აქტივისტია. ასევე კოორდინაციას უწევდა პალესტინური დელეგაციების მუშაობას ისრაელთან გამართული სამშვიდობო მოლაპარაკებების დროს. კორეი 1993 წელს ოსლოში გაფორმებული პალესტინა-ისრაელის შეთანხმების ერთ-ერთი ავტორიცაა. ყველასათვის ცნობილია, რომ პალესტინის ავტონომია სწორედ ამ შეთანხმების საფუძველზე შეიქმნა.

გუშინვე კორეი იერუსალიმში აშშ-ს ელჩის მოვალეობის შემსრულებელს ჯეფ ფელდმანს შეხვდა, რის შემდეგაც ის ახლო აღმოსავლეთში რუსეთის ფედერაციის წარგზავნილმა ანდრეი ვდოვინმა მიიღო.

ვიდრე ისრაელი და საერთაშორისო თანამეგობრობა კორეის კანდიდატურის თაობაზე ოფიციალურ კომენტარს გააკეთებენ, რაზეც, ალბათ, მისი თანხმობაა დამოკიდებული, პალესტინის პრემიერის პოსტზე კვლავ მაჰმუდ აბასი რჩება.

ენერგეტიკა - რუსეთის მთავარი იარაღი

ვირველი გვერდიდან

"ვფიქრობ, რომ პუტინის სახით, რუსეთი სულ უფრო პრაგმატული ქვეყანა ხდება," – განაცხადა უზბეკეთის პრეზიდენტმა კარიმოვმა. საინფორმაციო საშუალებების ცნობით, შეხვედრაზე განხილული იყო, ძირითადად, ეკონომიკური საკითხები, მათ შორის, უზბეკური ბამბისა და გაზის ექსპორტი რუსეთის გავლით და რუსული კომპანიების მონაწილეობა უზბეკური ნავთობისა და გაზის საბადოების ათვისებაში.

უფრო ადრე რუსეთმა იგივე შინაარსის შეთანხმება გააფორმა ყირგიზეთთან. "გაზპრომსა" და ბიშკეკს შორის მაისში დადებული ხელშეკრულების თანახმად, მოსკოვმა მიიღო კონტროლი ქვეყნის ენერგეტიკულ ინფრასტრუქტურაზე და პრივილეგიური უფლება, მონაწილეობა მიიღოს ნავთობისა და გაზის საბადოების ათვისებაში. ამჟამად, გაზპრომი მოლაპარაკებებს ტაჯიკეთის მთავრობასთან აწარმოებს.

თუმცა, ჯერჯერობით, შუა აზიაში რუსეთის ყველაზე დიდი წარმატება თურქმენეთთან დადებული ხელშეკრულება იყო, რომლითაც ამ ქვეყანაში მოპოვებული ბუნებრივი აირის ტრანსპორტირების მონოპოლიური უფლება მან 25 წლით მიიღო.

საერთაშორისო ურთიერთობებში დამკვიდრებული ტრადიციის საწინააღმდეგოდ, ცენტრალურ აზიაში რუს ვაჭრებს სამხედროები მიჰყვებიან და არა პირიქით. "კომერციული" ხასიათის ხელშეკრულებების დადების პარალელურად, შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაცია, რომელიც დიდხანს მხოლოდ ქაღალდზე არსებობდა, გააცოცხლდა და პირველი ანტიტერორისტული წვრთნებიც ჩაატარა. "დსთ-ს ბიშკეკის ანტიტერორისტული ცენტრი", რომლის გახსნასაც წლების მანძილზე საშველი არ ადგებოდა, "ტაშკენტის ანტიტერორისტულ ცენტრად" იქცა, და მომავალ წელს გაიხსნება. გაჩნდა კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციის სწრაფი რეაგირების ჯარები, რომელმაც ყირგიზეთში საკუთარი სამხედრო-საჰაერო ბაზა გახსნა. ამ ორგანიზაციის გრძელი სახელის მიღმა რუსის ჯარი იმალება. ეს ორგანიზაცია ამ შემოდგომაზე ფართომასშტაბიანი სამხედრო მანევრების გამართვასაც გეგმავს სახელწოდებით: "თანამეგობრობის სამხრეთი ფარი".

უზბეკეთი და ცენტრალური აზიის სხვა ქვეყნები, ცხადია, უარყოფენ, რომ რუსეთთან დაახლოება მათი საგარეო-პოლიტიკური პრიორიტეტების შეცვლასა და კურსის მოსკოვზე აღებას გულისხმობს. "ღრმად ვართ დარწმუნებული: ისინი, ვინც ფიქრობენ, რომ ერთ ქვეყანასთან კავშირების განმტკიცება აუცილებლად მეორესთან ურთიერთობების შესუსტებას გამოიწვევს, ცდებიან," – განაცხადა კარიმოვმა. თუმცა, ამ მოსაზრებას არ ეთანხმებიან არც ვაშინგტონში, და არც მოსკოვში.

"კრემლის წარმატებები ძირს უთხრის ამერიკის გავლენას რეგიონში," - წერს აშშ საგარეო ურთიერთობათა საბჭოს ვიცე-პრეზიდენტი ილენ ბერმანი თავის სტატიაში "სანამ დასავლეთს სძინავს, ცენტრალური აზია რუსეთის ორბიტაში ბრუნდება". "...და ეს მხოლოდ დასაწყისია. კრემლი წლითი-წლობით ცდილობს ცენტრალურ აზიაში თავისი სტრატეგიული მიზნის მიღწევას - იქცეს გაბატონებულ ძალად პოსტ-საბჭოთა სივრცეში. თუ 11-მა სექტემბერმა და ტერორიზმის წინააღმდეგ გამოცხადებულმა ომმა ამერიკის გეგმები დროებით შეაფერხა, ამჟამად მათი განხორციელება გაორმაგებული ძალით ხდება".

"თუ ჩუბაისი თავისი გეგმების განხორციელებას შეძლებს, გრძელვადიან პერსპექტივაში ერთიანი ენერგეტიკა შეიძლება იქცეს იმ ფაქტორად, რომლითაც რუსეთი შეძლებს "მიიბას" ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები," – წერს რუსული პრესა.

"თანამედროვე მსოფლიოში ელექტროენერგია ნებისმიერი წარმოებისათვის უმთავრეს რესურსად ითვლება. იგი ყველა ქვეყანას სჭირდება. არ შეიძლება არ ვაღიაროთ, რომ რაოს გეგმები ემთხვევა რუსეთის სტრატეგიულ ინტერესებს, რომელიც დსთ-ს სახელმწიფოთა რეალურ გაერთიანებას გულისხმობს".

ეს, წესით, კარგად უნდა ესმოდეთ დსთ-ს იმ სახელმწიფოებსაც, რომლებსაც რუსეთი ხელახლა უპირებს "დიდ ძმობას", მაგრამ ბევრი მიზეზის გამო, იძულებულნი არიან ცეცხლთან თამაშზე წავიდნენ.

"როდესაც საბჭოთა კავშირი დაიშალა, ბევრი ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკა ეიფორიაში აღმოჩნდა. მათ ეგონათ, რომ ახალი სავაჭრო პარტნიორების მოძიებას შეძლებდნენ. მაგრამ ეს იმედი აუხდენელი აღმოჩნდა. ახლა დროა, ყოფილ სოციალისტურ რესპუბლიკებს, ამ შემთხვევაში - უზბეკეთსა და რუსეთს შორის სავაჭრო-ეკონომიკური კავშირების აღდგენა დავიწყოთ," – განაცხადა სამარყანდის სამიტის შემდეგ კარიმოვმა. ბოლო ათი წლის მანძილზე, დსთ-ს ლიდერებს შორის, კარიმოვი ერთ-ერთ ყველაზე ანტი-რუსულად ითვლებოდა.

გარდა იმისა, რომ ყოფილმა რესპუბლიკებმა ნორმალური, კონკურენტუნარიანი ეკონომიკების შექმნა ვერ მოახერხეს, მათი საწარმოებისა და რესურსების რუსეთის ხელში ინტენსიურად გადასვლას სხვა მიზეზიც აქვს.

იმავე ბერმანის თქმით, ამერიკა მეტისმეტად "გაერთო" ახლო აღმოსავლეთში დემოკრატიის მშენებლობით და დაავიწყდა, რომ ტერორიზმის წინაშე ომს ძალზე ფართო ფრონტი აქვს, რომელიც ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებზეც გადის.

თალიბანის რეჟიმის დამხობის შემდეგ, ამერიკამ აშკარად დაკარგა ინტერესი ამ რეგიონის უსაფრთხოებისა და ეკონომიკური განვითარებისადმი, რითაც თავის შუააზიელ მოკავშირეებს, ფაქტობრივად, ზურგი შეაქცია, - დასძენს იგი.

ერაყსა და ავღანეთში ამჟამად აშშ-ს სახმელეთო ჯარების ნახევარი - 150 ათასი ამერიკელი ჯარისკაცი იმყოფება. პრეზიდენტმა ბუშმა გუშინ კონგრესს ამ ქვეყნებისათვის 87 მილიარდი დოლარი მოსთხოვა. ეს კი რუსეთს თავის პატარა და ღატაკ მეზობლებთან ურთიერთობაში ხელ-ფეხს უხსნის.

ტერორიზმის დასამარცხებლად ბუში დამატებით 87 მილიარდ დოლარს ითხოვს

ვირველი გვერდიდან

- დასძინა თეთრი სახლის მეთაურმა. მან თავის ხალხს განუცხადა, რომ 11 სექტემბრის ტრაგედიის შემდეგ ტერორიზმთან ბრძოლაში ერაყი ცენტრალურ ფრონტს წარმოადგენს. ტერორიზმის დასამარცხებლად კი, პრეზიდენტმა კონგრესს 87 მილიარდი დოლარის გამოყოფა სთხოვა. ეს თანხა, ბუშის თქმით, ავღანეთსა და ერაყში ტერორიზმთან ბრძოლას მოხმარდება.

ბუშმა განაცხადა, რომ მისი ადმინისტრაციის სტრატეგია ერაყში სამი მიზნისგან შედგება:

ტერორისტების განადგურება;

სხვა ქვეყნების მხარდაჭერის მოპოვება თავისუფალი ერაყის შექმნის საქმეში;

ერაყელებისათვის დახმარების გაწევა, რათა მათ აიღონ პასუხისმგებლობა საკუთარი ქვეყნის და მომავლის მშენებლობაზე;

ერაყთან დაკავშირებული ახალი რეზოლუციის პროექტის შესახებ საუბრისას, ბუშმა ხალხს განუცხადა, რომ გაერო-ს ამ დოკუმენტის მიხედვით შესაძლებლობა ექნება, თავისუფალი და დემოკრატიული ერაყის მშენებლობაში უფრო აქტიური როლი შეასრულოს.

მან ერაყში შექმნილი ვითარება მეორე მსოფლიოს ომის შემდგომ პერიოდს შეადარა, როდესაც ომის შედეგად გერმანია და იაპონია თითქმის მთლიანად იყო დანგრეული და აშშ მათ ფეხზე წამოდგომასა და გაძლიერებაში დაეხმარა. **"მაგრამ ამას დრო და თავგანწირვა სჭირდება,"** - აღნიშნა ბუშმა გერმანიასთან და იაპონიასთან ერაყის შედარების დროს.

პრეზიდენტის აღნიშნულ გამოსვლას უკვე მოჰყვა საკმაოდ მკვეთრი კრიტიკა დემოკრატების მხრიდან. პრეზიდენტობის პოსტზე მათმა ერთ-ერთმა კანდიდატმა ჰოვარდ დინმა განაცხადა, რომ პრეზიდენტის თხუთმეტწუთიანი გამოსვლა 15 თვეს ვერანაირად ვერ გაამართლებს, რომლის განმავლობაშიც ამერიკელი ხალხი შეცდომაში შეიყვანეს იმასთან დაკავშირებით, თუ რატომ სჭირდებოდა აშშ-ს ერაყში სამხედრო კამპანიის დაწყება.

დემოკრატთა მეორე კანდიდატმა სენატორმა ჯონ კერიმ კი აღნიშნა, რომ პრეზიდენტმა ბევრი კითხვა უპასუხოდ დატოვა.

ამას ისიც დაერთო თან, რომ გუშინვე პრეზიდენტის მიმართვიდან რამდენიმე საათში, ბაღდადში კვლავ დაიღვარა ამერიკელი ჯარისკაცების სისხლი. მათი ავტომანაქანა ტიგროსზე გადებულ ხიდზე გადასვლის დროს ნაღმზე აფეთქდა, რის შედეგადაც ორი სამხედრო მოსამსახურე მძიმედ დაიჭრა. პირველი მაისის შემდეგ, რაც პრეზიდენტმა ბუშმა ავიამზიდ "აბრაჰამ ლინკოლნიდან" ამერიკელ ხალხს ერაყის ომში გამარჯვება მიულოცა, ერაყელ პარტიზანთა თავდასხმებს 67 ამერიკელის და 11 ბრიტანელი ჯარისკაცის სიცოცხლე შეეწირა. ეს პრეზიდენტ ბუშის რეიტინგზე უარყოფითად მოქმედებს. წინ კი საპრეზიდენტო არჩევნებია.

ფოტოსტატი

"ლაგუნა-ვერეს" აქციონერებისა და თანამშრომლების ღია წერილი ანტიკორუფციულ საბჭოს

ბადრი წილოსანს, საეჭვო გზით შეძენილი უამრავი ქონების გარდა, "ლაგუნა-ვერეს" "დათრევაც" უნდა

დიდი ხანია, საცურაო აუზები შეძლებული ადამიანების კომფორტის შემადგენელ ნაწილად იქცა. შესაბამისად, საკუთარი საცურაო აუზის ქონა ე.წ. "ახალი ქართველებისთვისაც" პრესტიჟულად ითვლება. თუმცა, ცხადია, კიდევ უფრო საშური საქმეა საკუთრებაში დიდი სპორტული კომპლექსის დაგულვება. "ელექტროვაგონშემკეთებელი" ქარხნის მეპატრონემ და დირექტორმა ბადრი წილოსანმაც ერთადერთი მწყობრში მყოფი საწყალოსნო კომპლექსის - "ლაგუნა-ვერეს" ხელში ჩაგდება განიზრახა. აქციათა 17 პროცენტის შეძენის შემდეგ მას სრული პაკეტის ფლობის სურვილიც გაუჩნდა და მისთვის აქციათა გადაცემის მოწინააღმდეგე დირექტორებს მუქარის ტონით დაუწყო საუბარი: სამართალდამცველებთან სიახლოვე თქვენი დაპატიმრების შანსს მაძლევს და თუ აქციებს არ მომყიდით, ამ გზით ჩავიგდებ ხელში "ლაგუნა-ვერესო". ამგვარ ულტიმატუმებს, როგორც წესი, ფიზიკური ანგარიშსწორების მუქარაც ახლავს ხოლმე.

სიტყვა - სიტყვად, მაგრამ საქმიდანაც ჩანს, რომ საწყალოსნო კომპლექსის ხელში ჩაგდების მსურველ წილოსანს რამდენიმე მინისტრი (ყოფილი თუ ახლანდელი), გენერალური პროკურორი და სასამართლოს მოხელეები მართლაც უწყობენ ხელს განზრახვის შესრულებაში.

და მაინც, ვინ არის ამ უსასრულო შესაძლებლობების მქონე ბადრი წილოსანი?

დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი სოფლიდან ჩამოსულმა ახალგაზრდამ თბილისში ფეხი ადვილად მოიკიდა და ახლა უკვე საკუთარ თავს წარმატებულ ბიზნესმენს უწოდებს.

სააქციო საზოგადოება "ლაგუნა-ვერეს" აინტერესებს და ამ ინტერესის დაკმაყოფილების მიზნით არაერთხელ მიმართა პროკურატურას, თუ როგორ შეძლო ბადრი წილოსანმა ამჟამად მის საკუთრებაში არსებული აურაცხელი ქონების "შეკონწიწება" (სწორედ ეს სიტყვა იხმარა მან გადაცემა "60 წუთის" მიერ მომზადებულ გადაცემაში).

"შეკონწიწებული" 50 000 დოლარი გაგზავნა ამერიკაში; "ლაგუნა-ვერეს" აქციების 17 პროცენტში 45 000 დოლარი გადაიხადა, შეიძინა მილიონებად ღირებული "ელექტროვაგონშემკეთებელი" ქარხნის აქციების 75 პროცენტი, აიშენა სასახლეები თბილისში, ბაკურიანში, ქობულეთში, ლანჩხუთში.

თავად წილოსანი საკუთარი ქონების წარმომავლობას კერძო ბანკის ფლობით ასაბუთებს - ფულს სწორედ ბანკიდან ვშოულობო. ჩვენი ინფორმაციით კი, იგი საუბრობს ბანკ "ელდორადოს" შესახებ, საიდანაც მან ასეულობით ათასი დოლარის ოდენობის კრედიტები გაიტანა და გააქრო, 80 000 მეანაბრე კი "მშრალზე დატოვა". მალე ბანკი გაკოტრდა კიდეც. სხვათა შორის, ჩვენი ინფორმაციით, ამ ბანკის შენობის გამო მას უსიამოვნება ჰქონდა პიტერ შოუსთან.

რაც შეეხება ლანჩხუთის ჩაის ფაბრიკისთვის ბადრი წილოსანისა და მისი მეუღლის სახელით გატანილ კრედიტს – 25 ათას დოლარს, ფაბრიკას ეს თანხა ჩამდვილად არ მოუხმარია. თუმცა, პროკურატურა ამ ფულით არ დაინტერესებულა; ასევე არავითარი სამართლებრივი რეაგირება არ მოჰყოლია არც სხვადასხვა, საგანგებოდ შექმნილი ფირმების სახელით (ამ ფირმებს წილოსანის მეგობარი და კომპანიონი თამაზ ჩხიკვიშვილი ხელმძღვანელობს) "ელექტროვაგონშემკეთებელი" ქარხნიდან წლების მანძილზე უამრავი ლეგირებული შავი და ფერადი ლითონის, დაჭრილი რელსებისა და ვაგონების არალეგალურად გაზიდვასა და რკინიგზის საშუალებით საქართველოდან მათ გატანას.

როგორც ჩვენთვის ცნობილია, თბილისში "ელ-დეპოს" სახელწოდების მქონე რესტორნები და კაფეები, პროფილაქტიკებისთვის რკინიგზისთვის ჩამოჭრილი ტერიტორიები და სხვა უამრავი რამ მას და მის პარტნიორებს ეკუთვნით.

ახლა რაც შეეხება ბადრი წილოსანის ფართოდ რეკლამირებულ მიღწევას – ძველი, გარემონტებული და გადაღებილი ვაგონებისა და ელმავლებისგან აწყობილ ვითომდა ახალ ჩქარ მატარებელს, რომელიც "ელექტროვაგონშემკეთებელმა" ქარხანამ ერთ მილიონად შეაფასა, სინამდვილეში გზადაგზა იშლება და დანიშნულების ადგილამდე მისაღწევად ხუთი საათის ნაცვლად ზუსტად ორჯერ მეტი დრო სჭირდება. მაგალითად, 24 აგვისტოს ბათუმიდან შუადღის 2 საათზე გამოსული ჩქარი მატარებელი თბილისში ღამის პირველ საათზე ჩამოდგა, რადგანაც გზაში სამჯერ გახდა საჭირო მწყობრიდან გამოსული ელმავლის გამოცვლა. ამასთან, მატარებელში არასოდეს მუშაობს კონდიციონერი, ხოლო ტელევიზორებს მხოლოდ ინტერიერის შელამაზების ფუნქცია აკისრია.

ჩვენ, სააქციო საზოგადოება "ლაგუნა-ვერეს", გვაინტერესებს, ვინ არის ბადრი წილოსანი, როგორ შეძლო არაფრიდან ამხელა ქონების "შეკონწიწება", ისეთი ძლიერი მფარველების შეძენა, რომ ყოველგვარი პასუხისმგებლობის თავიდან აცილება შეუძლია. გვაინტერესებს, კონკრეტულად ვინ დგას მის ზურგს უკან, როდესაც სრულიად დარწმუნებული აცხადებს: "მინდა და დავითრევ". მაინც რა განსაკუთრებული ინტერესი ამოძრავებს მას, როცა ყოველგვარი დაუშვებელი ხერხით ცდილობს "ლაგუნა-ვერეს" ხელში ჩაგდებას. რა თქმა უნდა, მის ინტერესებს მიღმა დგას ქართული საწყალოსნო სპორტის სახეობების განვითარება. "რა დროს სპორტია, მთავარია, დივიდენდები მივიღოო", - განაცხადა მან სააქციო საზოგადოების კრებაზე. ერთ-ერთ ჟურნალისტს კი კითხვაზე – მართლაც აპირებს თუ არა "ლაგუნა-ვერეზე" რესტორნებისა და სამორინეების გახსნას, უპასუხა: "რესტორანი იქ ნამდვილად უნდა იყოს. კაცი საცურაოდ რომ შეხვალ, ნორმალურად დანაყრების პრობლემა არ უნდა შეგექმნასო". ამ პასუხიდან ნათლად ჩანს, რომ ბადრი წილოსანისთვის გაუგებარია, მაძღარ მდგომარეობაში მყოფი ადამიანისთვის ცურვა და, მითუმეტეს - სპორტული, მავნებელი და ჯანმრთელობისთვის საშიში რომ არის; თუმცა, რომ ესმოდეს, რა მნიშვნელობა ექნებოდა – სპორტი მის ინტერესებს მიღმა დგას, მთავარია - დივიდენდები.

ჩვენ მოგმართავთ თქვენ - ანტიკორუფციულ საბჭოს, რადგანაც პროკურატურაში იბლოკება ყველა ჩვენი განცხადება – ბადრი წილოსანს იქ ბევრი მფარველი ჰყავს. გთხოვთ, დაგვეხმაროთ მისი ქონების წარმომავლობის გარკვევაში. გაგვაგებინოთ, ვინ დგას მის უკან ისეთი, რომ წილოსანს სრული დაუსჯელობის გარანტიას ანიჭებს.

დასაფიქრებელია ისიც, თუ სოფლიდან ჩამოსულმა ბიჭმა შეძლო სხვადასხვა მაქინაციებით მილიონები "შეეკონწიწებინა", ამდენი უძრავ-მოძრავი ქონება შეეძინა, მაშ, რა შეძლეს მათ, ვინც მის უკან დგას? ვეცდებით, ამის თაობაზე ჩვენს მომდევნო წერილებში მოგახსენოთ. მანამდე კი, ჩვენ - სააქციო საზოგადოება "ლაგუნა-ვერეს" აქციონერები მივმართავთ ანტიკორუფციულ საბჭოს, დადგეს ჩვენს გვერდით, რათა ერთად დავიცვათ სიმართლე და გამოვავლინოთ სახელმწიფო ქონების დამტაცებლები.





სააქციო საზოგადოება "ლაგუნა-ვერეს" ხელმძღვანელობის თქმით, ბაკურიანსა და თბილისში აშენებული ეს სასახლეები ბადრი წილოსანს ეკუთვნის.

კალათბურთი

ლიტველთა საიდუმლო იარაღი

სერბი პრედრაგ სტიოაკოვიჩისა და ესპანელი პოლ გაზოლის დუელი

შვედეთში მიმდინარე ვაჟ კალათბურთელთა ევროპის ჩემპიონატი გადამწყვეტ ფაზაში შევიდა. გამოვლინდა ჯგუფების გამარჯვებული ოთხი მეოთხედფინალისტი - საფრანგეთი, ლიტვა, ესპანეთი, საბერძნეთი და ის გუნდები, რომლებიც მეოთხედფინალის დანარჩენ საგზურებს ურთიერთშეხვედრებში გაითამაშებენ. მოკლედ, დადგა პლეი-ოფების დრო. ჯგუფური ეტაპის უკანასკნელ ტურში მოვლენები საინტერესოდ განვითარდა.

ნორჩოპინგში ლიტვის ნაკრებმა გერმანიის ძლიერი გუნდი დაამარცხა - 93:71. თამაშის დაწყების წინ ლიტველთა მწვრთნელი სირეიკა აცხადებდა, რომ გერმანელების წინააღმდეგ მას საიდუმლო იარაღი აქვს, რომელმაც აუცილებლად უნდა იმოქმედოს და გუნდი მეოთხედფინალში გაიყვანოსო. აღმოჩნდა, რომ ეს საიდუმლო იარაღი გუნდური თამაში ყოფილა. თამაშის მსვლელობისას ლიტველებს პრაქტიკულად ყველაფერი გამოსდიოდათ. გერმანელებს კი დირკ ნოვიცკიმაც ვერ უშველა.

ბალტიისპირელთა შემადგენლობაში საუკეთესო იყო შაულიუს შტომბერგასი. მის ანგარიშზე 28 ქულაა. ლიტველთა ჯგუფიდან მომდევნო ეტაპზე გააღწია ისრაელის ნაკრებმაც, რომელიც მეოთხედფინალის საგზურს სლოვენიელებს შეეცილება.

დრამატულად წარიმართა C ჯგუფის შეხვედრები. აქ პირველობა ესპანეთის ნაკრებმა მოიპოვა. ესპანელებმა ევროპისა და მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონი, სერბეთის გუნდი დაამწუხრეს - 75:67 და ჯგუფში მესამე ადგილზე გაამწესეს. ესპანელთა შორის საუკეთესონი იყვნენ ნავარო და გაზოლი, რომლებმაც გუნდს 42 ქულა მოუტანეს. თამაში მეტისმეტად ნერვული გამოდგა. უკანასკნელ წუთებზე სერბებს ნერვებმა უმტყუნათ - წამდაუწუმ წესებს არღვევდნენ.

თუმცა, წაგების მიუხედავად, სერბები მაინც გადარჩნენ. მათ ტურნირზე ადგილი რუსებმა შეუნარჩუნეს. რუსეთის გუნდს რომ შვედები არ დაემარცხებინა, სერბები სამშობლოში გაემგზავრებოდნენ, მაგრამ სლავებმა დაამარცხეს ტურნირის მასპინძლები და სერბებს კიდევ ერთი შანსი მისცეს.

ახლა სერბებს თურქებთან მოუწევთ საქმის გარკვევა, რუსებს კი - ხორვატებთან, რომლებიც სწორედ თურქებთან შეხვედრაში დამარცხდნენ (72:75). ამ ჯგუფში გაიმარჯვა საბერძნეთის ნაკრებმა, რომელმაც უკრაინის გუნდი დაამარცხა.

და ბოლოს, A ჯგუფის გამარჯვებული საფრანგეთის ნაკრები გახდა. ფრანგებმა უკანასკნელ ტურში სლოვენიელებს სძლიეს (88:82). თავი გამოიჩინა "სან-ანტონიო სფერსის" პლეიმეიკერმა ტონი პარკერმა, რომელმაც გუნდს 21 ქულა შესძინა. საუკეთესო მატჩი ჩაატარეს ლორან ფუარემ და დალასელმა აბდულ ვახადმა. მათ ანგარიშზე 19-19 ქულაა. რაც შეეხება სლოვენიელებს, ისინი, იტალიელებთან ერთად, მეოთხედფინალის საგზურისთვის იბრძოლებენ.

მერვედფინალში ერთმანეთს შეხვდებიან: რუსეთი - ხორვატია, სლოვენია - ისრაელი, გერმანია - იტალია, თურქეთი - სერბეთი.

TV-სპორტი

სამშაბათი. 9 სექტემბერი

НТВ + ФУТБОЛ
13:00, 16:30, 23:20 თავისუფალი დარტყმა
13:15 კალათბურთი. შვედეთი. ევროპის ჩემპიონატი. პლეი-ოფი
14:45 ირლანდია - რუსეთი. მიმოხილვა
15:00 ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი
15:30 საერთაშორისო ჟურნალი "FUTBOL MUNDIAL"
16:15 "ევროფანკლუბი" "მილანი"
16:45 კალათბურთი. შვედეთი. ევროპის ჩემპიონატი. პლეი-ოფი
18:15 ევრო 2004. შესარჩევი მატჩი. უკრაინა - ჩრდ.ირლანდია
20:00 "პოსტსკრიპტუმი"
20:30 ხვალინდელი პროგრამა
20:55 ევროპის ჩემპიონატი ახალგაზრდულ გუნდებს შორის. რუსეთი - შვეიცარია
22:50 ევრო 2004. შესარჩევი ტურნირის მატჩების მიმოხილვა
23:35 "პოსტსკრიპტუმი"
00:05 ევრო 2004. შესარჩევი მატჩი. ისლანდია - გერმანია

НТВ + СПОРТ
11:00, 14:25, 17:15, 22:15 "პრესცენტრი"
11:15, 22:00 "ოლიმპის შვილები"
11:20, 14:40 აერობიკა
11:45 კალათბურთი. WNBA. ნახევარფინალი
13:15 ჭადრაკი. რუსეთის ჩემპიონატი. გადაცემა კრასნოიარსკიდან
13:45 "რკინის ფაქტორი". ტელეჟურნალი
15:10 ამერიკული ფეხბურთი. ფილადელფია - ტამპა ბეი
17:30 სპიდვეი. ჩეხეთის გრან-პრი
19:00 ფიგურული სრიალი
20:00 ჭადრაკი. რუსეთის ჩემპიონატი. გადაცემა კრასნოიარსკიდან
20:30 "სპორტული გლობუსი"
21:00 ვარსკვლავური სამშაბათი
22:05 ხვალინდელი პროგრამა
22:30 კალათბურთი. WNBA. ნახევარფინალი
00:00 ამერიკული ფეხბურთი. ფილადელფია - ტამპა ბეი

EUROSPORT
11:30 მოტორბოლები. პორტუგალიის გრან-პრი
13:00 სპიდვეი. შვედეთის გრან-პრი
14:00 ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი
16:00 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო ტურის ეტაპები
16:30 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო ტური. იტალია
17:30 ველორბოლა. ესპანეთის ტური
20:15 მულტისპორტი. კვირის სტუმარი
21:00 ფრანბურთი. ევროპის ჩემპიონატი. გერმანია
22:00 მძლეოსნობა. სპრინტერები
23:00 ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი
02:00 ევროსპორტის სიახლენი
02:15 ავტორბოლები
03:15, 03:45 მოტორბოლები
04:15 ევროსპორტის სიახლენი

მოკლედ

ყველაფერი დავიწყებულია - ჩვენ ისევ გვჯერა გამარჯვების

საქართველოს ნაკრები ტირანაში ჩაფრინდა

აკა ტონია
მიხეილ აბაიშვილი
ტირანიდან

საქართველოს ნაკრები ტირანაში გუშინ დილით გაემგზავრა. ავიაკომპანია აირზენას კუთვნილმა ბოინგ 737, რომელიც კახი ასათიანის სახელს ატარებს, ალბანეთისკენ ათ საათზე აიღო გეზი. საქართველოს ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრები გუნდების ფეხბურთელებთან, მწვრთნელებთან, ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენლებთან და რამდენიმე გულშემატკივართან ერთად, თვითმფრინავში სამი ჟურნალისტიც ვიყავით. ჩვენი ნაკრები გუნდები, ეროვნულიც და ახალგაზრდულიც, ტირანაში იმავე შემადგენლობით გაემგზავრნენ, როგორითაც გასულ შაბათს თბილისში ეთამაშნენ ალბანელებს. გამონაკლისი მხოლოდ ლადო ბურდულია - შაბათს მან ტრავმა მიიღო, რის გამოც 10 სექტემბერს ვერ ითამაშებს. დანარჩენი ფეხბურთელები მწყობრში არიან და სრული დატვირთვით ემზადებიან. შემადგენლობაშია გოჩა ჯამარაულიც, რომელსაც ჯერ კიდევ თბილისური მატჩის წინ აწუხებდა ტრავმა. შაბათს ჯამარაულმა ალბანეთის წინააღმდეგ ითამაშა. როგორც ჩანს, ის 10 სექტემბერსაც შეძლებს "ქემალ სტაფაზე" გამოსვლას.

ტირანამდე სამსაათნახევარი უნდა იფრინო, დროში განსხვავება კი სამი საათია. ასე რომ, ტირანაში ჩასულებს, თითქმის იგივე დრო დაგვხვდა, რა დროსაც თბილისიდან გავფრინდით. ჩვენი გუნდის განწყობა საბრძოლოა და სრულებითაც არ იგრძნობა, რომ ევროპის ჩემპიონატზე გასვლის მხოლოდ თეორიული შანსი დაგვრჩა. ალბანეთის წინააღმდეგ თბილისში 3:0 გამარჯვების შემდეგ, კვლავ დავიწყეთ ჯგუფიდან გასვლის რეალურ შანსებზე საუბარი. გულშემატკივართა მცირერიცხოვანი ჯგუფი, რომელიც ნაკრებს ტირანაში ახლავს, ფაქტობრივად, დარწმუნებულია, რომ ალბანელებს მათ მოედანზეც მოვუგებთ. თუ ამას მოვახერხებთ, მაშინ რუსეთის დამარცხებაც უნდა შევძლოთ... მოკლედ, განწყობა ნამდვილად ოპტიმისტურია. თუმცა, შიგადაშიგ გაისმის დამაფიქრებელი სიტყვებიც: "ალბანეთი ძალიან ძლიერია საკუთარ მოედანზე."

საქართველოს ეროვნული ნაკრები ქალაქის ცენტრში, სასტუმრო "შერატონში" დაბინავდა, იქვე, ახლოს, "თირანა ინტერნეიშენალ ჰოტელში" კი - ჩვენი ახალგაზრდული ნაკრები. ჟურნალისტებიც მათთან ვართ. სასტუმროში მისულებს, ცოტა ხანში შემოგვიერთდა ალბანეთის ნაკრების პრესატაშე, ჩვენი ძველი მეგობარი ლუსიენი, რომელმაც საორგანიზაციო საკითხების მოგვარება აღგვითქვა. მადლობის მეტი არაფერი გვეთქმის. ახალგაზრდულმა ნაკრებმა გუშინ, ხუთ საათზე, "ნიკო დოვანას" სახელობის სტადიონზე ივარჯიშა. ეს სტადიონი ტირანიდან 40 წუთის სავალზე, დურსიში მდებარეობს და 10 000 კაცს იტევს. სწორედ აქ გაიმართება ახალგაზრდული გუნდების დღევანდელი მატჩი. თამაში 17.00 საათზე დაიწყება.

ტირანაში ახლა ისე არ ცხელა, როგორც ჩვენთან, თბილისში იცის ხოლმე. საღამოობით სასიამოვნოდ გრილაო, - გვითხრეს.

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ხელმძღვანელობამ გუშინდელი ვარჯიშისთვის ყინული მოითხოვა. ლუსიენმა სასმელი წყლითაც მოგვამარაგა და სავარჯიშოდ ბურთებიც მოგვიტანა. ხუთ საათზე არველაძის გუნდი "ნიკო დოვანას" სტადიონზე თავის პირველ და დღევანდელი მატჩის წინ უკანასკნელ ვარჯიშს ატარებდა. არველაძე დიდ ფიზიკურ დატვირთვებს მოერიდა. "ახალგაზრდულმა" ერთ საათს ივარჯიშა.

შვიდ საათზე კი ეროვნული ნაკრები გაემგზავრა სავარჯიშოდ. ფეხბურთელები არც მერაბ ჟორდანიას გადაუტვირთავს. თუმცა, მატჩის წინ ნაკრები კიდევ ერთ ვარჯიშს გამართავს – დღეს, საღამოს, "ქემალ სტაფას" სტადიონზე.

ახლა ცოტა ჩვენს მეტოქეზეც ვისაუბროთ. ლუსიენმა დაწვრილებით გვიამბო იმ შთაბეჭდილებებზე, თბილისში სტუმრობის შემდეგ რომ დარჩათ. ალბანელებს, თურმე, გამარჯვების დიდი იმედი ჰქონდათ და დამარცხებამ ძალიან გააკვირვა. როგორც ლუსიენმა გვითხრა, "ქემალ სტაფაზე" ანშლაგს არ უნდა ველოდოთ, რადგან თბილისში დამარცხების შემდეგ აქაურებს საკუთარი გუნდისა აღარ სჯერათ. თუმცა, თავად ჰანს პეტერ ბრიგელი ოპტიმისტურად ყოფილა განწყობილი. ალბანურმა პრესამ თბილისში წაგება სასირცხვილოდ მიიჩნია. ბრიგელს კი შეცდომის გამოსწორების იმედი აქვს და ხვალინდელ მატჩში უპირობო გამარჯვებას გეგმავს. ამ თამაშს დიდ ყურადღებას უთმობს აქაური ტელევიზიაც. ვიხილეთ ბრიგელისა და მეკარე ფატო სტრაკოშას ინტერვიუებიც. იმის გამო, რომ ალბანური ენა ჩვენს შორის არავინ იცის, მათი საუბარი, უბრალოდ, ვერ გავიგეთ, თუმცა, სტრაკოშამ რამდენჯერმე ახსენა არველაძის გვარი. არცაა გასაკვირი – შოთა არველაძეს სტრაკოშას კარში უკვე ხუთი გოლი აქვს გატანილი...

ალბანეთის ნაკრები თბილისში შესუსტებული შემადგენლობით იყო ჩამოსული. ხვალინდელ მატჩში მათ წამყვანი ფეხბურთელები შეუერთდებიან. თუმცა, ყველა არა. თბილისურ მატჩში დისკვალიფიკაციის გამო ვერ ითამაშა ნახევარმცველმა ალტინ რაკლიმ. ახლა ის გუნდთან ერთად ვარჯიშობს და ხვალ, ალბათ, ითამაშებს კიდეც. გამოჯანმრთელდა ნახევარმცველი ერმან შკომბი, რომელმაც თბილისში ტრავმის გამო ვერ ითამაშა. ისევ ტრავმირებულია ალტინ ლალა. ეს ნახევარმცველი გერმანული "ჰანოვერის" კაპიტანია და ჩვენს მეტოქეს უდავოდ წააგებოდა ხვალინდელ მატჩში.

საქართველოს ნაკრები ალბანეთში გამგზავრების წინ

ჩოგბურთი

რა გატირებს, ბიჭო, ენდი?!

ენდი როდიკი

ჯიუსტინ ენინ-არდენი

სანდრო ნავერიანი

ესეც ასე! დასრულდა რიგით მეოთხე და უკანასკნელი დიდი სლემის გათამაშება. ამერიკული ჯილდო ამერიკაში დარჩა. ტურნირის ტრიუმფატორად ენდი როდიკი მოგვევლინა. ოცდაერთი წლის ამერიკელმა ფინალში ესპანელი ხუან კარლოს ფერერო დაამარცხა. როდიკმა სამ სეტში მოაგვარა საქმე. წინა მატჩთან შედარებით, როდიკის ტაქტიკა განსხვავებული იყო: ძლიერი მოწოდების შემდეგ ცდილობდა ბადესთან გასვლას, რამაც სასურველი შედეგი გამოიღო. ფერერომ კი, რომელიც საუკეთესოა უკანა ხაზზე თამაშში და რომლის მიღებასაც აგასისას ადარებენ, როდიკის მოწოდებებს ვერაფერი მოუხერხა. მატჩის შემდგომი შთაბეჭდილება ისეთი იყო, თითქოს როდიკმა კი არ ითამაშა ძლიერად, არამედ ფერერომ ბოლომდე ვერ გამოავლინა თავისი შესაძლებლობები. ასეა თუ ისე, როდიკი ჩემპიონი გახდა. სიტყვა, რომელიც მან ამერიკელ ხალხს მისცა, პირნათლად შეასრულა. წაგებული ფინალის მიუხედავად, ფერერო მაინც პირველ ჩოგნად დარჩა, მეორე თანრიგი კი როდიკმა დაიკავა. მატჩი როდიკის ეისით დასრულდა, დაჯილდოების ცერემონია კი ამერიკელის ცრემლებით დაიწყო. გახარებული როდიკი არ მოერიდა ოცნათესაიან პუბლიკას – ტიროდა და ტიროდა. ტრიბუნებზე ყველა ნაცნობს ჩაეხუტა, მადლობა გადაუხადა და თავისთვის იმეორებდა: I don't belive (არ მჯერაო). ბრძენს უთქვამს: არასდროს დაიჯერო შენი გამარჯვება და ყოველთვის გამარჯვებული იქნებიო. ალბათ, როდიკსაც წაუკითხავს ან გაუგია ეს სიტყვები, ალბათ, ამიტომაც აჯერებდა საკუთარ თავს, რომ არ დაჯერებინა ეს ყველაფერი. ცერემონიალი ფერეროს დაჯილდოებით დაიწყო. ფერერო მწუხარე და სევდიანი სახით მივიდა ჯილდოსთან, ჩაიბარა "სასალათე", ჩეკი, რომელზეც 500 000 დოლარი ეწერა, მოისმინა ქათინაურები, დამთავრდა ქალთა ტურნირიც. ფინალი ბელგიური აღმოჩნდა. ერთმანეთს დაუპირისპირდნენ კიმ კლიშტერსი და ჯუსტინ ენინ-არდენი. საერთოდ, საეჭვო იყო ამ ფინალის ჩატარება. მიზეზი ის იყო, რომ ენინ-არდენისა და კაპრიატის ნახევარფინალური შეხვედრა სამ საათსა და რვა წუთს გაგრძელდა, რის გამოც ენინ-არდენს ჯანმრთელობასთან დაკავშირებით პრობლემები შეექმნა, მაგრამ ყველაფერი კარგად დამთავრდა, ჯუსტინი ფინალში გავიდა და მოიგო კიდეც. მიუხედავად იმისა, რომ კლისტერსი ენინ-არდენმა ორჯერ დაამარცხა და ეს ყველაფერი სხვადასხვა ტურნირის ფინალში ხდებოდა, კლისტერსი მაინც პირველი ჩოგანია, ჯუსტინი კი – მეორე. ენინ არდენმა კი მოიგო ეს usopen-ქალთა ტურნირი, მაგრამ თვითონ გამარჯვებას სრულფასოვნად არ თვლის. მიზეზი ერთია: ტურნირზე არც ერთი უილიამსი არ გამოდიოდა. ამიტომ, ბელგიელი ჩოგბურთელი ამ გამარჯვებით მთლად კმაყოფილი არ არის.

პროფესიონალ ჩოგბურთელთა ახალი რეიტინგი

ვაჟები:

1. ხუან კარლოს ფერერო (ესპანეთი)	4250
2. ენდი როდიკი (აშშ)	4165
3. როჟე ფედერერი (შვეიცარია)	3825
4. ანდრე აგასი (აშშ)	3670
5. გილიერმო კორია (არგენტინა)	3105
6. კარლოს მოია (ესპანეთი)	2685
7. ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალია)	2525
8. რაინერ შუტლერი (გერმანია)	2415
9. დავიდ ნალბანდიანი (არგენტინა)	2145
10. სებასტიან გროსჟანი (საფრანგეთი)	1850

საჩემპიონო რბოლა:

1. ენდი როდიკი (აშშ)	807
2. ხუან კარლოს ფერერო (ესპანეთი)	714
3. როჟე ფედერერი (შვეიცარია)	629
4. ანდრე აგასი (აშშ)	605
5. გილიერმო კორია (არგენტინა)	589
6. რაინერ შუტლერი (გერმანია)	477
7. კარლოს მოია (ესპანეთი)	398
8. დავიდ ნალბანდიანი (არგენტინა)	358
9. ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალია)	290
10. მარკ ფილიპუსისი (ავსტრალია)	276

ქალები:

1. კიმ კლიისტერსი (ბელგია)	6589.00
2. ჟიუსტინ ენინ არდენი (ბელგია)	6259.00
3. სერენა უილიამსი (აშშ)	4955.00
4 ლინდსი დევენპორტი (აშშ)	3577.00
5. ჯენიფერ კაპრიატი (აშშ)	2809.00
6. ვინუს უილიამსი (აშშ)	2508.00
7. ამელი მორესმო (საფრანგეთი)	2341.00
8. ანასტასია მისკინა (რუსეთი)	1996.00
9. ელენა დემენტიევა (რუსეთი)	1881.00
10. ჩანდა რუბინი (აშშ)	1866.00

მორიგი ვიზიტი ევროსაბჭოდან

ხვალ თბილისში ოფიციალური ვიზიტით ევროსაბჭოს კულტურის, კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის დეპარტამენტის დირექტორი ხოსე მარია ბალესტერი ჩამოვა. ევროსაბჭოს გავლენიანი ექსპერტი თბილისის ისტორიული ნაწილის რეაბილიტაციის პროექტს გაეცნობა და"თბილისის პროექტის" ურთიერთგაგების მემორანდუმს მოაწერს ხელს.

თბილისში ერთკვირიანი ვიზიტისას ბალესტერი საქართველოს კულტურის მინისტრს სესილი გოგიბერიძესა და ძეგლთა დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარეს კახა ტრაპაიძეს შეხვდება. ასევე გაიმართება შეხვედრები საგარეო საქმეთა სამინისტროში, თბილისის მერიასა და ურბანიზაციის სამინისტროში. ხოსე მარია ბალესტერი თბილისში, კუს ტბაზე მდებარე ეთნოგრაფიულ მუზეუმში ევროპის მემკვიდრეობის დღეების გახსნას დაესწრება.

ლარა კროფტი - საფლავების მძარცველი: სიცოცხლის აკვანი

დაე, ძრწოდნენ ბოროტები – კაცობრიობის ბედი ამიერიდან ლარას უპყრია ხელთ. მისი ბადალი ქალი მთელს ქვეყანაზე არ მოიპოვება. ის ღვთაებრივად ლამაზია, არნახულად ჭკვიანი და უზომოდ მამაცი. ის ხელჩართული ბრძოლის ყველა სახეობას ფლობს, ნებისმიერი იარაღის ხმარება იცის და ყველაზე მძიმე ვითარებიდანაც უვნებლად შეუძლია გამოსვლა. ეს ქალი ლორდის ასულია. მას ლედი ლარა კროფტი ჰქვია. მის როლს ანჯელინა ჟოლი ასრულებს.

ფილმის გადაღებები 2002 წლის 26 აგვისტოს ინგლისში დაიწყო. შემდეგ მას კენიაში, ჰონკონგში, უელსსა და კუნძულ სანტორინიზე იღებდნენ;

ფილმში ნაჩვენებ ჯირითობის, მოტოციკლეტით ქროლვისა და კლდეზე ცოცვის სცენების უმრავლესობაში ანჯელინა თავად მონაწილეობს;

უელსში, გადაღებების დროს, ანჯელინას 13 თვის შვილობილმა მძიმე დამწვრობა მიიღო. ადგილობრივ საავადმყოფოში მას საუკეთესოდ უმკურნალეს, რის შემდეგაც გულაჩუყებულმა მსახიობმა ექიმებს 50 ათასი გირვანქა სტერლინგი გადაურიცხა;

ანჯელინა ჟოლის მამას, ჯონ ვოიტს, რომელიც ლარა კროფტის პირველ თავგადასავალშიც მის მამას თამაშობს, ამჯერადაც უნდოდა ფილმში მონაწილეობის მიღება, მაგრამ სცენარისტებმა უარი განუცხადეს – მამა-შვილური ურთიერთობები აღარ აინტერესებდათ.

ფოტოგრაფების შიშით

ამერიკელი მსახიობი ჯორჯ კლუნი ზაფხულში თავის იტალიურ ვილაში იყო "შემძვრალი" – მისი თქმით, იმისთვის, რომ ყოველი მდედრობითი სქესის არსების გაცნობისთანავე ფოტოგრაფებს არ ჩავარდნოდა ხელში. კლუნი ჰოლივუდის ერთ-ერთი ყველაზე სასურველი საქმროა, სხვა თუ არაფერი, მის იტალიურ ვილაში 15 საძინებელი ოთახია!

"როგორც კი ვიღაცასთან ერთად გავივლი ხოლმე, უმალვე ფოტოგრაფების საკბილო და ჭორების საგანი ვხდები, მაშინათვე ყველა მეკითხება: "ვინ არის ეს ქალი?" ძალიან გასაღიზიანებელია," თქვა კლუნიმ ჟურნალ Vanity Fair-ისთვის მიცემულ ინტერვიუში, "არადა, სანამ ადამიანები ერთმანეთს გაიცნობენ და მათი ურთიერთობა სერიოზულ ხასიათს მიიღებს, ცხადია, ცოტა ხანი გავლა-გამოვლა და თითო ჭიქის აწევა მაინც უწევთ ხოლმე".

მსახიობის მდგომარეობას მობილური ტელეფონებით გადაღების შესაძლებლობაც ართულებს – ვიღაც უცნობმა რესტორანში ისე გადაუღო სურათები, რომ მან ვერც კი შენიშნა. "ქალი გადმოიხარა და მაკოცა. მერე სახლში მივედი და ამას უკვე ტელევიზორში აჩვენებდნენ. ისტერიული ამბავია".

მართალია, სხვა მამაკაცებთან შედარებით ჯორჯ კლუნის მაინც ბევრი უპირატესობა აქვს, და ამას თავად აღიარებს. თუნდაც ის რად ღირს, რომ რაც არ უნდა თქვას ან ქნას, არც ერთი ქალი თავზე თეფშს არ აფშვნის - პაპარაცების შიშით.

"თბილისი საკმაოდ მოდუნებული ქალაქია. აქ ძალიან ბევრი მეძინა"

Banco de Gaia გრძელი თბილისური უიკენდის შემდეგ

Banco de Gaia-მ თბილისში პირობა შეასრულა. ინგლისელი მუსიკოსის საღამოები კლუბებში – "ნოა-ნოა", "აჭარა მიუზიკ ჰოლი" და "ჯოი" ერთმანეთისგან განსხვავებული იყო. ძირითადი განმასხვავებელი ნიშანი კი ტობი მარკსის მუსიკით შექმნილი განწყობა გახლდათ. რაც მთავარია, სამივე დღეს შენარჩუნდა Banco de Gaia-ს მოღვაწეობის ძირითადი არსი – შექმნას და მსმენელს შესთავაზოს სრულიად არაკომერციული მუსიკა. ტობი მარკსის აზრით, თბილისელები მუსიკისადმი ასეთ მიდგომას დადებითად შეხვდნენ.

ვერა ნეფარიძე

Banco de Gaia ქართველ მუსიკოსებთან აპირებს თანამშრომლობას

ტობი მარკსი ფოტოზე

6 სექტემბერი თბილისის საკლუბო ცხოვრებაში საინტერესო თარიღი იყო. ამ დღეს თბილისელ კლუბერებს არჩევანი ჰქონდათ გასაკეთებელი: სად მისულიყვნენ, "16 რაუნდში" თუ "აჭარა მიუზიკ ჰოლში"? ორივეგან ხომ ლონდონის კლუბებში ცნობილი მუსიკოსები გამოდიოდნენ. "16 რაუნდი" ინგლისელ დი-ჯეი Quivver-ს (ჯონი გრეჰემი) მასპინძლობდა; "აჭარაში" კი არაოფიციალურად სეზონი მსოფლიოში Banco de Gaia-ს ფსევდონიმით ცნობილმა მუსიკოსმა (და არა დი-ჯეიმ) გახსნა.

ერთი სიტყვით, უიკენდი კლუბ "ნოა-ნოაში" პარასკევს დაიწყო. ორგანიზატორი კომპანია სამი დღის განმავლობაში უხვად უმასპინძლდებოდა Banco de Gaia-ს მსმენელს გემოვნებიანი სიგარეტით (უბრალოდ, დავეყრდნობი ჩვენში გავრცელებულ მოსაზრებას და არანაირად არ მივმართავ თამბაქოს ნაწარმის რეკლამას). მაგრამ მომხმარებელთა სიმპათიებს "კენტი" მხოლოდ ამის გამო როდი იმსახურებს. კომპანია "კენტის" მენეჯმენტის მუსიკალური გემოვნება არამწეველებმაც სათანადოდ დააფასეს. "კენტის" გადაწყვეტილება – მოეწვიათ ისეთი არაკომერციული მუსიკის ავტორი, როგორიც ტობი მარკსია, საკმაოდ სარისკო ეჩვენა ვანიკო თარხნიშვილს, რომელსაც ორგანიზატორებმა პროექტის პროდიუსერობა შესთავაზეს. ახლა უკვე შეიძლება ითქვას, რომ პროექტმა გაამართლა, იმის მიუხედავად, რომ თავად ვანიკო თარხნიშვილის აზრით, Banco de Gaia-ს "გრძელი უიკენდის" სახით, ჩვენმა საზოგადოებამ მისთვის ზედმეტი დოზით მიიღო "ტკბილი ლუკმა". ამაზე მეტყველებდა კლუბ "ჯოიში" შეკრებილი აუდიტორიის რაოდენობა. როგორც ჩანს, "აჭარა მიუზიკ ჰოლში" მიღებული ეთნო-ტრანს დოპინგი ამ ჯერზე ჩვენთვის საკმარისი იყო.

"თბილისური უიკენდით ძალიან კმაყოფილი ვარ. ჩემი აზრით, აქაურ მსმენელსაც მოეწონა ჩემი მუსიკა. განსაკუთრებით "აჭარა მიუზიკ ჰოლში", სადაც ხალხი სიამოვნებით ცეკვავდა, საკმაოდ კარგი რეაქცია ჰქონდათ. ისე, თბილისი არაჩვეულებრივი ქალაქია, თუმცა ეტყობა, საკმაოდ მოდუნებულიც - აქ ძალიან ბევრი მეძინა", - თბილისური შთაბეჭდილებები გაგვიზიარა უიკენდის მთავარმა გმირმა ტობი მარკსმა. მუსიკოსს განსაკუთრებით დაამახსოვრდა კლუბ "ჯოის" მცირერიცხოვან აუდიტორიასთან გამართული კონცერტი. თუმცა, არანაკლებად სასიამოვნო გამოდგა ეს დღე "ზუმბელებისთვის". "ჯოიში" ხომ Banco de Gaia-თან მათი სახელდახელო სეიშენი გაიმართა. **"ამ ერთობლივი ნომრის გამო წინასწარ ვღელავდი. ჩემთვის, და ალბათ გამონაკლისი არ ვარ, ცოტა საპასუხისმგებლოა უცნობ მუსიკოსებთან ერთად სცენაზე გამოსვლა. თუმცა, შედეგმა ყველანაირ მოლოდინს გადააჭარბა. ძალიან მინდა მათთან ერთად ჩანაწერიც გავაკეთო. დარწმუნებული ვარ, მოგვიანებით, ამას შევძლებ",** - ტობი მარკსი მომავალში თბილისში საკუთარ ბენდთან ერთად აპირებს ჩამოსვლას. და თუკი ასე მოხდა, აუცილებლად თან იქონიებს მობილურ პროგრამას, რომლის დახმარებითაც თბილისში Banco de Gaia-სა და "ზუმბას" თანამშრომლობა ჩაიწერება. ჩემი აზრით, ამ შემთხვევაში, Banco de Gaia-ს მორიგი გასტროლი თბილისში გაცილებით საინტერესო იქნება ფართო საზოგადოებისთვისაც. თუნდაც იმიტომ, რომ ერთი ადამიანის მოსმენას ყოველთვის სჯობს ჯგუფის ცოცხალ კონცერტზე დასწრება; მითუმეტეს, თუკი ის სრულფასოვანი საკლუბო კონცერტის პირობებს დააკმაყოფილებს. რისი იმედიც უნდა ვიქონიოთ, რადგანაც ტობი აპირებს, ახალი საკონცერტო პროგრამისთვის საგანგებო ვიზუალური მასალა შექმნას. თბილისში მომავალი გასტროლის დროს ბენდის წევრებთან ერთად, Banco de Gaia-ს ახალ საკონცერტო პროგრამას ვიზუალური გაფორმებითაც ვიხილავთ. მანამდე კი ტობი ახალ ალბომზე მუშაობს. მუსიკოსის აზრით, ეს იქნება პროექტის საუკეთესო ჩანაწერი. ამიტომაც ტობი არ იზიარებს დასავლელი კრიტიკოსების აზრს, თითქოს, Banco de Gaia-ს საუკეთესო ნამუშევარია 1997 წლის ალბომი Big Man Cry. **"მაგალითად, ბრიტანეთში მიაჩნიათ, რომ ჩემი საუკეთესო ალბომი იყო Last Train to Lhasa. კრიტიკოსების აზრს ყურადღებას საერთოდ არ ვაქცევ. ასე რომ არ მოვქცეულიყავი, მაშინ მუსიკისთვის სულ უნდა დამენებებინა თავი",** - ამბობს ტობი მარკსი, რომელიც ასეთი დამოკიდებულების მიუხედავად, პრესასთან უპრობლემოდ და მეგობრულადაც კი ურთიერთობს.

Banco de Gaia არ გამოირჩევა სხვადასხვა ცნობილ სახელებთან თანამშრომლობით. ცალკეულ მუსიკოსებთან მხოლოდ სტუდიაში მუშაობს, მაგრამ ეს არ არის კომერციული ნაბიჯი. ეს ჩვეულებრივი შემოქმედებითი პროცესის ნაწილია. საერთოდ, ცდილობს აკეთოს მაქსიმალურად არაკომერციული მუსიკა. თითქმის არასდროს უსმენს ელექტრონიკას. უპირატესობას ის არაკომერციულ მუსიკას ანიჭებს. თუმცა, მათ შორის, ვის შემოქმედებასაც სიამოვნებით ადევნებს თვალს, კომერციულად წარმატებული შემსრულებლები თუ ჯგუფებიც არიან. მაგალითად ისეთები, როგორებიცაა: Radiohead, Massive Attack ან ბიორკი. **"Radiohead საერთოდ, უკანასკნელი ათწლეულის უდიდეს ჯგუფად მიმაჩნია. ეს მუსიკოსები იმდენად თამამები არიან, რომ კრიტიკასაც უჭირს სწორად მიიღოს მათი მუსიკა",** - ამბობს Banco de Gaia.

Banco de Gaia-სთვის უცვლელია მუშაობის ძირითადი მიზანი – ეთნიკური მუსიკისა და თანამედროვე ჟღერადობის შერწყმა. დასაწყისში ეთნიკურ მუსიკალურ მასალას მოგზაურობის შედეგად აგროვებდა. ასე მოიარა თურქეთი, ჩეხეთი, რუსეთი, პაკისტანი, - ყველა ქვეყნის ჩამოთვლა მუსიკოსს ახლაც უჭირს. **"ყურადღებას არასდროს ვამახვილებდი მხოლოდ აღმოსავლურ მუსიკაზე. მე მაინტერესებს ყველა ხალხის, საინტერესო მელოდია",** - ვფიქრობ, Banco de Gaia-მ ეს თბილისში შესრულებული მუსიკალური პროგრამითაც დაადასტურა. რაც შეეხება აეროპორტში დაპირებულ მოულოდნელობას, რომ აუცილებლად შეასრულებდა რაიმეს ქართული ფოლკლორიდან, ტობი მარკსმა ის უპირობოდ შეასრულა. ბრიტანელი მუსიკოსისთვის უცნობი მელოდია, რომელიც მოსკოვში ნაჩუქარი დისკიდან შემოგვთავაზა, "განდაგანა" აღმოჩნდა.

ფოლკლორის გარდა, ტობი მარკსის ინტერესის საგანია საუნდთრეკი. მსოფლიო მუსიკალურ საზოგადოებაში საკმაოდ ცნობილი პროექტის ავტორს ჯერაც მიუღწეველი აქვს მიზანი, დაწეროს მუსიკა დიდი ფილმისთვის. **"რამდენიმეჯერ შევქმენი მუსიკა პატარა ფილმებისთვის, თუმცა მგონია, რომ ამ მიმართულებით ჩემი შესაძლებლობები ჯერ არ გამომიყენებია სრულად. ძალიან მაინტერესებს და მინდა დავწერო მუსიკა დიდი ფილმისთვის",** - იმედი გვაქვს, Banco de Gaia-ს თბილისში მორიგ სტუმრობას, ამ მიზნის მიღწევა ხელს არ შეუშლის.

ცივი ქარი და ცხელ-ცხელი რიტმები

რას გვთავაზობს "კრისტიან დიორი", "გერლენი", "ჟივანში" და "კენზო"

თამარ სუხიშვილი

"სოდის მიღების უამრავი ხერხი არსებობს, მაგალითად, ილიკო ჩიგოგიძე ენაზე იყრის და პირდაპირ ისე ყლაპავს, ილარიონ შევარდნაძე კი ერთ სუფრის კოვზ სოდას ერთ ჭიქა თბილ წყალში ურევს და სულმოუთქმელად სვამს პახმელიაზე, ბებია-ჩემი კი..." - გახსოვთ ალბათ ცნობილი ეპიზოდი "მე, ბებია, ილიკო და ილარიონიდან". ციტირებას მოვახდენ: სხეულის მოვლის უამრავი ხერხი არსებობს. ჯერ კიდევ ძველი დროიდან მოყოლებული მშვენიერთა სქესის წარმომადგენლები დაუღალავად ზრუნავდნენ საკუთარ სილამაზეზე და "რჩეულსა ნელსაცხებელსა იცხებდნენ". სანამ ჩვენამდე ევროპული კოსმეტიკური საშუალებები მოაღწევდა, მშვენიერთა სქესის წარმომადგენლები შინაურულ, ბებიებისგან ნასწავლ მეთოდებს სჯერდებოდნენ. მაგალითად, ასეთს. "ნავაზშმევს ეკვირინემ თავის ხელით დაუსხა წყალი სონიას და სურნელოვანი საპნით, თავისივე ხელით, შეუფუთნა თავ-პირი, რომ ღამის ასე გათევით ლოყები გაბიჟვინებოდა და უფრო პირსუქნად ჩვენებოდა... დილას შუშით თავისი უმარილი მოურბენინა პუდრის მაგიერ - ერთობ ათეთრებს პირსო... წარბებზე კაკლის დამწვარი გული გადაასმევინა წარბების გასამშვენებლად და ასაბზინებლად..." ("ქამუშაძის გაჭირვება"). დროთა განმავლობაში საშუალებები შეიცვალა, მიზანი კი უცვლელი დარჩა: ეცადე, იყო რაც შეიძლება ლამაზი. თუ ისევ ქართული ლიტერატურის ერთ პერსონაჟს დავესესხებით (სიტყვებს მოვიშველიებთ), "ხალხს ისეთი უნდა ეჩვენო, რომ მტერს თვალი დოუდგეს, გული მოუკლა და ენა მუცელში ჩაუგდო!.. ძალათი, რომ არ უნდოდეს, მაინც ათქმევინო შენი თავის ქება, აბა!.."

7 სექტემბრის საღამოს შერატონ-მეტეხი პალასში მისულ მამაკაცებს ამდენი ლამაზი ქალის დანახვაზე ენა მართლაცდა მუცელში ჩაუვარდათ. თქვენ თვითონ წარმოიდგინეთ, ერთად შეკრებილი 100-ზე მეტი ქალბატონი (ყველა ასაკის), კარგად მოვლილი, ლამაზი, ზღვაზე დასვენებული, მზით გარუჯული, ძვირფას სუნამო დაფრქვეული და სიფრიფანა საღამოს კაბებში გამოწყობილი...

ქართული საღამო ფრანგულ დეკორაციებში, სახელწოდებით Body Power ("სხეულის ძალა") "კრისტიან დიორის", "გერლენის", "ჟივანშისა" და "კენზოს" საქართველოს წარმომადგენლობისა და მაღაზიათა ქსელ "ვულე-ვუს" ორგანიზატორობით მოეწყო კომპანია Style-თან (დირექტორი გიორგი კეკელიძე) ერთად.

ამ წვეულების გამართვის იდეა შარშან დაიბადა. ორგანიზატორებმა გადაწყვიტეს ერთგული კლიენტებისთვის სიურპრიზი გაეკეთებინათ და ამით თავიანთი მადლიერებაც გამოეხატათ. იფიქრეს, იფიქრეს და მოიფიქრეს: კარგი იქნება, თუ დათქმულ დროს მუდმივ კლიენტებს სადმე დავპატიჟებთ, ჩვენს ახალ პროდუქციასაც გავაცნობთ და იმის საშუალებასაც მივცემთ, დრო სასიამოვნოდ გაატარონო. ასე დაიგეგმა ერთი წლის წინ პირველი შეხვედრა მუდმივ მომხმარებელთან. წელს წვეულება მეორედ გაიმართა, ორგანიზატორებს იმედი აქვთ, რომ ის ტრადიციად იქცევა.

"კრისტიან დიორი" წარმოგვიდგენს...

წლევანდელი საღამო, რომელსაც კვლავ "მეტეხმა" უმასპინძლა, ორი ნაწილისაგან შედგებოდა: სტუმრებმა ჯერ სხეულის მოვლის საშუალებების გამოფენა დაათვალიერეს, მერე კი ღია ცის ქვეშ, აუზთან გადაინაცვლეს, სადაც ცოცხალი მუსიკა, პრიზების გათამაშება და ალკოჰოლიან-უალკოჰოლო სასმელები ელოდათ.

"სახელწოდება (Body Power) და თემატიკა შემთხვევით არ შეგვირჩევია. ჩვენი საუკუნე სხეულის გაფეტიშების საუკუნეა, სხეული ხელოვნების ობიექტია. თანაც, ამ საღამოს ერთგვარი მარკეტინგული დატვირთვაც აქვს. ზაფხული მიიწურა, დასასვენებლად წასულნი თბილისს უბრუნდებიან, სხეულს კი, მით უმეტეს ნამზეურებ კანს, განსაკუთრებული მოვლა სჭირდება, კანის მოვლის საშუალებები სხეულის ვიტამინებია, გარეგანი ვიტამინები," - გვეუბნება ჩვენი მასპინძელი ხათუნა მზარელუა.

დარბაზში გამოფენილ სტენდებზე სხეულის მოვლის მრავალგვარი საშუალებები ვიხილეთ. არომატული ნელსაცხებლები გარუჯული თუ სიცხისგან გამომშრალი კანისთვის - სადაფისა თუ ზღვის ნიჟარების ნაწილაკებით, აეროზოლები, შამპუნები და მრავალი სხვა. "დიორის", "გერლენის", "კენზოსა" და "ჟივანშის" სიახლეები Bikini (Christian Dior), Eau Torride (Givenchy), Flower By Kenzo, Issima (Guerlain), Higher (Dior) ახლა უკვე მაღაზიებშიც გამოიფინება და ქართველ ქალბატონებთან ერთად ქართველ მამაკაცებსაც დააინტერესებს, რადგან ამ სიახლეთა ერთი ნაწილი მამაკაცების პარფიუმერიაა.

როგორც ორგანიზატორებმა გვითხრეს, თუ, მაგალითად, ორი წლის წინ მომხმარებელი ძირითადად სუნამოებს ეტანებოდა, წელს სხეულის მოვლის საშუალებებზე დიდი მოთხოვნილებაა. ამასთან, ახლა კლიენტებთან ურთიერთობა უკვე აღარ ატარებს სპონტანურ ხასიათს, ყველა ბუტიკს თავისი მუდმივი კლიენტი ჰყავს. შარშანდელთან შედარებით მომხმარებელთა რაოდენობა თითქმის გაორმაგდა. და კიდევ, სიახლე ჩვენში და ევროპის სხვა ქვეყნებში ერთდროულად შემოდის.

პრეზენტაცია-წვეულებაზე ყველაფერი საოცრად ლამაზად იყო ჩაფიქრებული, მასპინძელი სტუმრებს შესასვლელში ღიმილით ხვდებოდა და მომცრო დარბაზში შეიპატიჟებდა, სტენდებთან კონსულტანტები გვეგებებოდნენ, ასევე ხალისიანად და დაუზარელად გვაძლევდნენ რჩევებს და გვაცნობდნენ ახალ პროდუქციას. დიდხანს ვერ მოწყვეტდი თვალს გემოვნებიანი დიზაინით გამორჩეულ სტენდებს, რომელთაც წარმოდგენილი პარფიუმერული ფირმების რეკლამებთან ერთად ამ რეკლამებთან შეხამებული ფერადოვანი დეკორიც ამშვენებდა... ყვავილებით, ფერადი ქაღალდის ნაკუწებითა და გაზეთის ნახევებით შექმნილმა კაბებმა (ეს ორიგინალური მოდელები მანეკენებს ეცვათ) კი ისეთი მოწონება დაიმსახურა, რომ მანეკენები მალე სამოსელის გარეშე დარჩნენ, მათი კაბებით სტუმრები შეიმოსნენ და დიდხანს პოზიორობდნენ ფოტოკამერების წინ...

საღამოს მეორე ნაწილი განსაკუთრებით შთამბეჭდავი აღმოჩნდა. ცოცხალი მუსიკა, ფრანგული პრიზების გათამაშება (სულ თორმეტი პრიზი გათამაშდა) და დიდი ხალისი. ერთადერთი, ამინდმა არ გაამართლა, ქარი ქროდა და ციოდა. თუმცა, შილიფად გამოწყობილმა ქალბატონებმა სიცივეს შეუპოვრად გაუძლეს, ცხელ-ცხელმა ლათინოამერიკულმა ჰანგებმა, დასარტყამების ენერგიულმა რიტმებმა მაინც თავისი ქნა და წვეულებაც გვიანობამდე გაგრძელდა...

სად უფრო ჯობია დგომა: კამერის წინ თუ მიღმა?



ჰელენ კრისტენსენის ახალი ჰობი

როდესაც სუპერ-მოდელი ხარ, ეს ნიშნავს – ესთეტიკასთან უწყვეტ კავშირს, შემოქმედ ადამიანებთან ურთიერთობას, ყველაზე წარმოუდგენელი ფანტაზიის რეალობად ქცევას, მოგზაურობას უამრავ ქვეყანაში... როდესაც მოდელი ხარ და თან გონებაგახსნილიც, მაშინ არ გემართება ამაოების შეგრძნებით გამოწვეული დეპრესია და პირიქით – ბუნებრივად გებადება სურვილი, არა მხოლოდ მოირგო ტანზე სხვისი შემოქმედების შედეგი, არამედ თავადაც შექმნა.

ჰელენა კრისტენსენი სუპერ-მოდელია და თან გონებაგახსნილიც. პოდიუმებზე მრავალგზის სეირნობის და Victoria's Secret-ის რეკლამებში მონაწილეობის შემდეგ მან ფოტოგრაფობა გადაწყვიტა. ფოტო დიდი ხანია, მისი ჰობია, ხატვის, ინტერიერის დიზაინისა და როკ-მუსიკის მსგავსად. მაგრამ ახლა ჰობი პროფესიად აქცია და ამიერიდან ეცდება ის პასუხისმგებლობაც ზიდოს, რაც პროფესიონალ ფოტოგრაფობას მოაქვს – კრიტიკა, შეფასებები, ქება...

ეს პროცესი ჰელენა კრისტენსენისთვის უკვე დაიწყო. მისი გამოფენა ლონდონში, "ფრაუდის" გალერეაში ორიოდე დღის წინ გაიხსნა. ექსპოზიცია, რომელსაც უამრავი დამთვალიერებელი ჰყავს, 4 ოქტომბრამდე გასტანს.

პუბლიკას "ფრაუდში" რამდენიმე მიზეზი იზიდავს: ფოტოგრაფის ავტორიტეტი – ჰელენა ხომ ჩვეულებრივი დამწყები ხელოვანი არ გახლავთ, ის უმშვენიერესი სუპერ-მოდელია, რომელსაც მთელი მსოფლიო იცნობს, და მისი ნამუშევრები – ჰელენამ ამ გამოფენისთვის თავისი მეგობრები გადაიღო, მაგრამ ეს მეგობრები საერთაშორისო ცნობილი სახეები აღმოჩნდნენ: ბონო, რობი ვილიამსი, მაიკლ სტაიპი R.E.M.-იდან, ორლანდო ბლუმი... სულ, 16 პოპულარული სახე. ერთი სიტყვით, "ფრაუდის" ექსპოზიცია წმინდა წყლის ვარსკვლავური შოუ გამოდგა. პირველ დღეს ფოტო-ობიექტივის მიღმა მოკალათებული კოლეგა სხვა სუპერ-მოდელებმაც დააფასეს, სტუმრებს შორის იყო ბრიტანელი ჯოდი კიდიც.

"ბი ბი სი"-სთან ინტერვიუში ჰელენამ რობი ვილიამსთან მუშაობის პერიოდი გაიხსენა. "მთელი გადაღებების განმავლობაში ის საშინლად იქცეოდა, სულ ხუმრობდა, ლაზღანდარობდა. რობის იუმორის საოცარი გრძნობა აქვს და მეც იძულებული ვიყავი, გადაღება შემეწყვიტა და გაგუდვამდე მეცინა... მაგრამ ხანდახან იყო პერიოდები, როცა რობი უცებ გაჩუმდებოდა და ჩაფიქრდებოდა. მე მგონი, შეძელი ფირზე მისი ეს ორბუნებოვანება ნათლად გადამეტანა".

ჰელენას ძირითადად შავთეთრი ნამუშევრები მართლაც საინტერესოა. თითოეული პორტრეტი გამორჩეულია ჩრდილებით, შუქის ოსტატურად განაწილებით, ობიექტის მდებარეობით, რაკურსით, ფოტოში თითქოს დაუდევრად და შემთხვევით მოხვედრილი ნივთებით, განსაკუთრებული ხასიათითა და მოძრაობით. ანუ, პროფესიონალ სუპერ-მოდელს ნამდვილად აქვს შანსი, პროფესიონალი ფოტოგრაფიც გახდეს.

ამ ახალ ამბავს, ბუნებრივია, პრესა დაუყოვნებლივ გამოეხმაურა. გაზეთ "თაიმსის" მიმომხილველი მოსწრებულად შენიშნავდა, რომ, ალბათ, არასდროს ისურვებდა, ჰელენა კრისტენსენს მისი ფოტო გადაეღო და აი, რატომ: "მიუხედავად იმისა, რომ ჰელენა უკვე 34 წლის არის და დღე-ღამეში მხოლოდ ოთხი საათი სძინავს, ის მაინც ისეთივე სინათლეს აფრქვევს, როგორც 16 წლის წინათ – როცა მოდელობა დაიწყო... ამიტომ ვფიქრობ, რომ ჰელენას მშვენება ყველა მოკვდავს დათრგუნავდა და აიძულებდა, გადაღებები მიეტოვებინა და გაქცეულიყო"... თუმცა, თავად ჰელენას მაინც უკვირს, მისი ვარსკვლავი მეგობრები რატომ გრძნობდნენ კამერის წინ თავს შებოჭილად. "ისინი ძალიან ნერვიულობდნენ და სულ მიკვირდა, რატომ. ეს ადამიანები ხომ 150-ათასიანი აუდიტორიის წინაშე მღერიან, ცეკვავენ და არ ეშინიათ, კამერის წინ კი ნერვიულობისგან ოფლი ასხამდათ".

თავად ჰელენას ეს განცდა თითქმის არ ჰქონია. ის კამერასთან ისეთი ბუნებრივია, რომ ჟურნალისტები წერენ, მისი სექსუალურობა გაზეთის ფურცლიდანაც კი იღვრებაო. ჯანი ვერსაჩე მასზე ამბობდა, ჰელენას რომ ტანი აქვს, ეგეთი – არავისო; კარლ ლაგერფელდი კი დღემდე ამტკიცებს, რომ არავის აქვს მისნაირი ლამაზი ფეხები, სხვები ჰელენას არაჩვეულებრივი ფერების გამო აღმერთებენ (ეს ეგზოტიკური ელფერი მას დანიელი მამისა და პერუელი დედისგან აქვს)...

ერთი სიტყვით, კრისტენსენი ძალზე წარმატებული მოდელია. თუმცა, ახლა ის აღიარებს, რომ მოდელობა, პირველ რიგში, იმიტომ უხაროდა, რომ ბევრს იმოგზაურებდა და საკუთარი ფოტოების გადაღებას შეძლებდა. ამ ოცნების ასრულება კი მან 1986 წლიდან დაიწყო, როდესაც ჰელენა "მის დანია" გახდა და 18 წლისა პარიზში სამოდელო სააგენტოში სამუშაოდ გაემგზავრა. მისი პირველი ფოტო ჟურნალ "ელისთვის" გადაიღეს, შემდეგ პიტერ ლინდერბერგმა ის "ვოგის" გარეკანზე გამოიყვანა და აღმასვლაც აქედან დაიწყო. მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში მცხოვრებ მამაკაცებს ჰელენა კიდევ ერთი უნიკალური "დამსახურების" გამო უყვართ – ის კრის აიზეკის მუსიკალურ ვიდეოში Wicked Game-ში მონაწილეობს. თითოეულ ამ მამაკაცს თვალნათლივ ახსოვს ზღვის სანაპიროზე განვითარებული მოქმედება... ვიდეო რამდენიმე ხნის წინ MTV-მ ყველა დროის ყველაზე სექსუალურ კლიპად აღიარა.

ახლა, აწმყოში კი ჰელენას აქვს ფოტოგრაფის ახალი პროფესია, რომელზეც ყოველთვის ოცნებობდა, ლონდონში წარმატებით გამართული გამოფენა, ფლობს ოთხ სახლს – მშობლიურ კოპენჰაგენში, ლოს ანჯელესში, ნიუ იორკსა და მონაკოში; და, რაც მთავარია, მის გვერდითაა საყვარელი კაცი ნორმან რიდასი და სამწლინახევრის ვაჟი მინგუსი. ასე რომ - ჭირი იქა, ლხინი აქაც თავისუფლად შეგვიძლია ვთქვათ და დავასრულოთ.

TV პროგრამა
9 სექტემბერი

რუსთავი - 2

07.00 დილა მშვიდობისა **07.10** სერიალი „პაწაწინა ონავრები“ **09.40** სერიალი „ასულ ტეკილა“ **10.20** დოკ. ფილმი „მეოცე საუკუნე“ **11.00** სერიალი „ჯვაშუში“ **12.00, 15.00** კურიერი **12.15** სერიალი „სასტიკი ანგელოზი“ **13.30** მხ. ფილმი **15.20** მხ. ფილმი **17.00** სერიალი „ასულ ტეკილა“ **17.30** სერიალი „პაწაწინა ონავრები“ **18.00, 21.00, 02.00** კურიერი **18.20** ბუნება **18.50** პერეკროსტოკი **19.10** თ. ჩაგელიშვილის გადაცემა „საქართველო-უახლესი ისტორია“ **19.50** სერიალი „სასტიკი ანგელოზი“ **22.00** სერიალი „განდგომილი“ **22.50** ღამის კურიერი **00.10** სერიალი „სექსი დიდ ქალაქში“ **00.40** მხ.ფილმი „პატარა“. მთ. რ-ში: ჟერარ დეპარდიე, ჟერალდინ პაილა.

პირველი არხი

07.30 ალიონი **09.40** მულტსერიალი „კიტუ“ **10.10** მხ. ფილმი „ერთი ეპიზოდი პოლიუელის ცხოვრებიდან“ **11.45** დოკ.სერიალი „ბუნების სამყაროში“ **12.00, 15.00, 20.00** მოამბე **12.15** ტელესერიალი „ეშმაკუნა“ **13.00** ნაშუადღევს **14.00** მოამბე ინგლ. ენაზე **14.05** ლერერის შოუ **15.15** მხ. ფილმი „სუნამო“ **17.00** დოკ. სერიალი „მსოფლიოს ქალაქები“ **17.15** მულტსერიალი „კიტუ“ **17.30** საქართველო და გარე სამყარო **18.00** ვესტნიკი **18.25** ტელესერიალი „ეშმაკუნა“ **19.15** და არს მუსიკა **19.40** ბასტი-ბუბუ **21.00** ტელეთამაში „იმღერე რამე“ **21.30** ავიაშოუ **21.45** „ჩვენი ფეხბურთი“ **22.30** რა ხდება **00.00** მხ. ფილმი „სასიკვდილო გადაკიდება“.

პირველი სტერეო

08.00 მუსიკა **09.00** ტოროლა **12.00** ფილმი **14.00** მუსიკა **16.00** ფილმი „ჯო ბინძურის თავგადასავალი“ მთ.რ-ში დევიდ სპეიდი, დენის მილერი. **18.00, 19.15** ქართული მუსიკა **19.00, 20.00, 21.00, 22.00** ინფორმატორი **19.30, 20.15** ვიდეორადიო **20.50** ათი ლექსი **21.15** უცხ. მუსათეული **22.35** მუსიკა **23.00** სველი ხაზი **00.00** „ბრავო“ „ნაპოლეონი“ **3-46. 03.00** პაუზის გარეშე.

მეორე არხი

19.00, 22.00 „მოამბე“ მეორე არხზე **19.10** მულტფილმი **19.30** კინოსეანსი „სამოთხე“ **21.00** ისტორიანი **21.30** ასპარეზი **22.10** მხ. ფილმი „სრულ მზადყოფნაში“.

კავკასია

12.00 მხ. ფილმი „გადამზიდავი“ **13.30** მხ. ფილმი „სახლი თურქეთის ქუჩაზე“ **15.00** მხ. ფილმი „ნიღაბი“ **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა „დღეს“ **17.15** მხ. ფილმი „დიდი კუში“ **19.20** სპექტრი **21.00** მხ. ფილმი „ფორესტ გამპი“ **23.30** მუსიკა.

იბერია

08.00 ანონსი, აღსავალი **08.05** დიალოგი **10.35, 14.50, 19.30, 20.30, 23.30** მუსიკა **11.00** სერიალი „სანჰაერო პოლიცია“ **13.10, 17.30** მულტსერიალი „კაპიტანი სიმიანი და კოსმოური მაიმუნები“ **13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, 22.45** ახალი ამბები **13.30** დოკ. ფილმი **15.15** მხ. ფილმი „მშვენიერი ქვეყანა“ **18.00** დოკ. ფილმი **20.00** ბურთი და მოედანი **21.00** სერიალი „სანჰაერო პოლიცია“ **22.15, 23.00** დიალოგი **23.45** მხ. ფილმი „მალე ყველაფერი მოგვარდება“ **00.55** მუსიკა.

მეცხრე არხი

08.00 პროგრამა „დილა“ **10.00, 14.30, 17.30, 20.30, 00.00** დღის ამბები **10.10** მულტსერიალი „კონკია“ **10.35** სერიალი „პატარა აინშტაინები“ მე-7 ს. **11.10** სერიალი „ინდიგოს მინა“ **12.10** მხ. ფილმი „მოჩვენება და ბნელეთი“ **14.20, 15.10, 16.20, 17.50, 18.50, 22.10** მუსიკა **14.50** „ოსტატი“ - მჭედელი **15.30** მხ. სერიალი „გამანადგურებლები“ 1-ლი ს. **16.30** დოკ. სერიალი „ზღვარზე“ მე-6 ს. **17.00** მხ. სერიალი „სამოდელო სკოლა“ მე-8 ს. **18.00** მულტსერიალი „კონკია“ **18.30** სერიალი „პატარა აინშტაინები“ **19.00** სერიალი „ინდიგოს მინა“ **20.00** „ევროპის სტადიონებზე“ **21.15** სერიალი „გამანადგურებლები“ **22.25** „ტელემეტრი“-ბოქსიორის ჯიში, სკოლა. **22.40** მოკლ. მხ. ფილმი „სისხლი და ღალატი“ **23.20** „ცხელი ცხრიანი“ **00.30** მხ. ფილმი „ქსელების მბრძანებელი“.

იმედი

07.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00 ქრონიკა **07.15, 09.00, 13.15, 17.20, 01.25** იმედის მელოდიები **07.45** „იმედის“ დილა **09.30** სერიალი „იუდას ქალი“ **10.30** სპორტ. პროგრამა „გოლი“ **11.05** დოკ. სერიალი „მსოფლიოს ყველაზე იდუმალი ადგილები“ **12.10** სერიალი „ჩამსხვრეული ლამპიონების ქუჩები“ **13.30** სერიალი „უკიდურესი ზღვარი“ **14.05** სერიალი „ამაზონია“ **15.15** მხ. ფილმი „სამი უნდა მოკვდეს“ **17.00, 18.00, 19.00, 22.00** ქრონიკა **17.30** დოკ. სერიალი „ისტორიის ერთი კვირა“ **18.05** სერიალი „იუდას ქალი“ **19.20** სერიალი „ჩამსხვრეული ლამპიონების ქუჩები“ **20.15** ლარის მახე **20.40** „დროებითი ზღვარი“ **23.35** მძაფრსიუჟეტიანი კინო „მკვლელის ხელწერა“ **01.10** ქრონიკა .

აჭარა

08.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი **08.40, 10.50, 13.45** მუსიკა **09.00, 12.00, 16.00** საინფორმაციო გამოშვება „დღეს“ **09.10, 12.10, 16.10** საინფ. გამოშვება „ნოვოსტი“ **09.20** სათავგადასავლო ფილმი „ოქროს კულულები“ **11.00** დოკუმენტური ფილმი **12.20** მხატვრული ფილმი „ნათლიმამა“ **14.00, 18.00** საინფ. გამოშვება „დღეს მსოფლიოში“ **14.05** კომედია „ფან-ფან ტულპანი“ **15.40, 05.30** მუსიკა **16.20** მულტფილმი „ჯუნგლების წიგნი-2“ **17.30** მელოდრამა „ფარიკაობის მასწავლებელი“ **19.00, 22.00, 00.00** საინფორმაციო გამოშვება „დღეს“ **19.15, 22.30, 00.20** საინფორმაციო გამოშვება „ნოვოსტი“ **19.30 Пресс-папье 19.35** დოკუმენტური ფილმი **20.20** მხატვრული ფილმი „ნათლიმამა“ **21.55** „გალერეა“ **23.00** „რა არ ხდება“ **23.10** დოკუმენტური ფილმი **00.45** საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე **00.50** საინფორმაციო გამოშვება გერმანულ ენაზე **00.55** საინფორმაციო გამოშვება ფრანგულ ენაზე **01.00** თრილერი „ბრიგადა“ 7 ს. **01.50** დოკუმენტური ფილმი **03.30** მხატვრული ფილმი „სამურაის გზა“ 10 სექტემბერი.

VII არხი

09.10 მელოდია **09.15** „აჩიკუდა“ **09.35** „ბედნიერი ერი“ **09.30** საყოფაცხოვრებო ტექნიკა **10.00** მელოდია **10.10** მობილურები **10.55** სპორტული პროგრამა - „ევროპული ფეხბურთი“ - საფრანგეთის ჩემპიონატის მიმოხილვა (განმეორებით) **11.25** აუდიო-ვიდეო-ტელე **12.15** ტელესერიალი - „მაქმანები“ - მე-2 სერია **12.55** დისნეი და მისი მეგობრები **13.15** „ავტოტრეკინგი“ - განმეორებით. **14.15** კომპიუტერული თამაშები **18.20** აუდიო -ვიდეო- ტელე **19.00** „აჩიკუდა“ **19.25** კომპიუტერული თამაშები **19.30** მელოდია - მოკლე შეტყობინებები **20.10** საყოფაცხოვრებო ტექნიკა **20.35** სპორტული პროგრამა - „ევროპული ფეხბურთი“ - ინგლისის ჩემპიონატის მიმოხილვა **21.05** „ღამის კაპარიზი“ **22.05** კომპიუტერული ტექნიკა **22.45** „კინოკლუბი“ - „დევნილები“. მძაფრსიუჟეტიანი. რეჟ: კევინ ჯეუქსი. როლებში: სტივენ ბოლდუინი, ლორენს ფიშბორნი. **00.15** მელოდია **00.20** ტელესერიალი - „ნათლიდედა“ - მე-10 სერია **01.15** მობილურები..

1 ОРТ

07.00 „Доброе утро!“ **09.00, 10.00, 13.00, 16.00, 19.00** Новости **09.10, 20.00 Сериал „Земля любви, земля надежды“ 10.20 Худ.фильм „Две судьбы“ 11.30 Боевик „Петр Великий“ 12.40** Дисней-клуб: „Ким Пять-с-плюсом“ **13.20** Шоу „Город женщин“ **14.10 Детектив „Закон Коломбо“ 16.20** „Фабрика звезд 3“ **16.40** „Ералаш“ **17.00 Сериал „Берег мечты“ 18.00** „Большая стирка“ **19.30** „Просто смех!“ **20.50 Сериал „Убойная сила“**. „Золотая обойма“ **22.00, 00.30** „Время“ **22.30 Худ.фильм „Две судьбы“ 23.40** Док.фильм „Пейзаж перед битвой. Правый фланг“ **00.50** „На футболе“ **01.20** „Русский экстрим“ **01.50 Боевик „Сделка века“.**

РТР

06.00 „Доброе утро, Россия!“ **09.45, 21.55 Сериал „Каменская 2“ 10.50** „Не скуЧАЙ!“ с М.Евдокимовым **12.00, 15.00, 18.00, 21.00** „Вести“ **12.30, 15.10, 17.40, 21.30** „Местное время. Вести - Москва“ **12.50** Ток-шоу „Короткое замыкание“ **13.50, 23.00 Детектив „Марш Турецкого. Новое назначение“ 14.45, 17.25, 01.15** „Вести. Дежурная часть“ **15.30** Ток-шоу „Что хочет женщина“ **16.30 Сериал „Лучший город Земли“ 18.10 Сериал „Бригада“ 19.10 Мелодрама „Ундина“ 20.00 Сериал „Комиссар Рекс“ 21.50** „Спокойной ночи, малыши!“ **00.00** „Вести+“ **00.20** „Раскрыть и доказать“ **01.30** „Народный артист“ **01.40 Худ.фильм „Пленки Андерсона“ 03.45** „Дорожный патруль“ **04.00 Сериал „Ангелы Чарли“ 05.00 Сериал „Екатерина Великая“.**

НТВ

07.00 „Утро на НТВ“ **09.55 Сериал „Черный ворон“, 1 с. 11.00** „Сегодня утром“ **11.25** „Намедни“ с Л.Парфеновым **13.00, 16.00, 18.00, 20.00, 01.05** „Сегодня“ **13.30** „Красная стрела“ **13.50** Ток-шоу „Страна советов“ **14.35 Сериал „Улицы разбитых фонарей 4“ 15.45** „По праву“ **16.35** Ток-шоу „Принцип домино“. „Хочу вернуться в коммуналку“ **18.30 Сериал „Супершпионки“ 19.25** Территория выживания **20.40 Сериал „Улицы разбитых фонарей 4“ 21.50 Сериал „Черный ворон“, 2 с. 23.00** „Страна и мир“ **23.35** „Красная стрела“ **00.00 Сериал „Клан Сопрано“ 01.30** „Гордон“ **02.35** „Кома: это правда“ **03.05 Сериал „За гранью возможного“.**

შესანიშნავი შვიდეულის ახალი ქართული დუბლიაჟი

პირველი სერია

აქციებში მონაწილეთა და ხელისუფლების ურთიერთდამოკიდებულება

კალვერა: “შვიდი კაციც ვერ შემიქმნის ვერავითარ პრობლემებს”.

კრისი: “თქვენ საერთოდ არ გექნებათ პრობლემები, თუ წაეთრევით აქედან”.

ნინო ბურჯანაძის საარჩევნო გაერთიანება

ჩიკო: “ო! ეს ყველაზე უკეთესი გასროლაა, რომელიც მე მინახავს!”

ბრიტი: “ყველაზე უარესი, მე ცხენს ვუმიზნებდი...”

ქვეყნის თავდაცვისუნარიანობა

კრისი (გლეხებს): “იარაღის ყიდვას სჯობს ხალხი დაიქირაოთ, ჩვენ დროში ხალხი გაცილებით იაფია იარაღზე”.

პოლიტიკოსთა საპარლამენტო და სატელევიზიო დებატები

კოვბოი (ბრიტს): “მან თქვა, რომ ეს შენ თქვი, მე კი ვამბობ, რომ სტყუი ... და შენ რას იტყვი?”

სწავლა ლონდონში

ხელმისაწვდომ ფასად

ტექნოლოგიისა და მენეჯმენტის სკოლა (ლონდონი) გვთავაზობს ხარისხის მოსაპოვებლად შემდეგი პროგრამების ფარგლებში, ტექნოლოგიისა და მენეჯმენტის სკოლის (ლონდონი) კამპუსი მდებარეობს ლონდონ ბრიჯთან, ეს ის ადგილია, სადაც ლონდონის ღირსშესანიშნაობებია თავმოყრილი. პროგრამები ბაკალავრის ხარისხის მოსაპოვებლად ხორციელდება სანდერლენდის (გაერთიანებული სამეფო) უნივერსიტეტთან ერთად; ხოლო პროგრამები მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად ხორციელდება ისტ ლონდონის (გაერთიანებული სამეფო) უნივერსიტეტთან ერთად. პროგრამები ცხადდება წელიწადში სამჯერ (ნოემბერი / აპრილი / აგვისტო). მორიგი კურსის დაწყების თარიღია 2003 წლის 27 ნოემბერი.

MBA მარკეტინგი / ფინანსები / IT
ოპერაციების კონტროლი / HRM
პროექტის მენეჯმენტი

MSc საინფორმაციო ტექნოლოგიები
კომპიუტერული სისტემის ინჟინერია
ინტერნეტის ინჟინერია

სრული კურსის ფასი **£3950**

პიზნესის ან პიზნეს ინფორმაციის ტექნოლოგიის პროფესიების ფარგლებში ბაკალავრის ხარისხის მოსაპოვებლად 2-წლიანი დაჩქარებული კურსის - **BA (Hons)** მთლიანი ღირებულებაა £ 6950. 3-წლიანი კურსის ინფორმაციის ბაკალავრის ხარისხის მოსაპოვებლად **B. Eng (Hons)** მთლიანი ღირებულებაა £ 10 950

ზემოთ აღნიშნული თანხის გადახდა შესაძლებელია ეტაპობრივად

იმ სტუდენტებისთვის, რომლებიც ზემოაღნიშნული პროგრამებით სწავლობენ, ერთწლიანი ინტენსიური ინგლისური ენის კურსის გავლა შესაძლებელია დამატებითი £ 1000 გადახდის შემთხვევაში. იმ სტუდენტებისთვისაც, რომელთაც მაღალი აკადემიური მოსწრება არა აქვთ, ხელმისაწვდომია მოსამზადებელი პროგრამები.

დამატებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით: ნინო მესხიშვილს, ტექნოლოგიისა და მენეჯმენტის სკოლის მიმღებ განყოფილებაში
მისამართი: 12 Bul Bul Ave., Student Travel International (STI),
Tel/Fax: +994 12-989906, 98 99 08, +994 50 - 201 01 69
E-mail: stmgeorgia@hotmail.com; nm@sti.az
ან აკადემიური წარმომადგენელს: ნინა მესხიშვილს
ტელ.: 34 61 62, 8-93 35 20 67

"საოჯახო ტოტოს" მომავალი გათამაშების კოეფიციენტთა ცხრილი

იმ შემთხვევაში თუ ჯეკპოტი არ გათამაშდა, ის მოთამაშე, რომელიც პირველი შეავსებს ბარათს სწორი კოეფიციენტით ერთად მიიღებს დამატებით 5000 კოეფიციენტს

ლიცენზიის ნომერი: 01-7/982

სვლა	კოეფიციენტი	სვლა	კოეფიციენტი
15	25000	46	1500
16	25000	47	1200
17	25000	48	1000
18	25000	49	700
19	25000	50	500
20	25000	51	300
21	25000	52	200
22	25000	53	100
23	25000	54	80
24	25000	55	70
25	25000	56	60
26	20000	57	50
27	19000	58	40
28	18000	59	30
29	17000	60	25
30	16000	61	20
31	15000	62	18
32	14000	63	16
33	13000	64	14
34	12000	65	12
35	11000	66	10
36	10000	67	9
37	9000	68	8
38	8000	69	7
39	7000	70	6
40	6000	71	5
41	5000	72	4
42	4000	73	4
43	3000	74	3
44	2500	75	3
45	2000	76	2

ESM-თბილისის სკოლა-ლიცეუმი აგრძელებს მოსწავლეთა მიღებას II, III, IV და V კლასებში. დანარჩენ კლასებში კონტიგენტი შევსებულია მისამართი: ნუცუბიძის ქ. N223.
ტელ: 32 97 83

თქვენი რეკლამა ჩვენს გაზეთში
20-24-24
20-00-24

წამალი "სალხინო"
ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.